პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 15 ნოემბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 263 (2609)

დღიური

— ინგლისის კომპარტიის მოწოდება ინდოეთის მშრომელებისადმი
— ბერლინის და ხარკოვის მუშების რევოლუციონური შეჯიბრება
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი ბიუჯეტის ირგვლივ
— 102 სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მშენებლობა საბჭოთა კავშირში
— გერმანიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

სოციალისტური კულტურა მასებში

(საქ. „წერა-კითხვის“ კვირეულისათვის)

ჩვენ შევუდექით მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. ამ მიზნით შედგენილია სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელება სრულიად შესცვლის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას; უპირველეს ყოვლისა ის მოგვცემს საწარმოო ძალების უჩვეულოთ ზრდა - განვითარებას, და ამავე დროს ეს იქნება გიგანტური, უზარმაზარი ნაბიჯის გადადგმა სოციალიზმისაკენ. უკვე ხუთწლედის მეორე წლის დასაწყისში ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას ჩვენ შევძლებთ უფრო მოკლე ვადაში, ვინემ ხუთი წელი, ე. ი. ოთხი წლის განმავლობაში.

ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორთაგანი, რომელიც აჩქარებს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის განვითარების ტემპს, არის **უფართოეს მშრომელ მასების, მუშათა და გლეხთა მასების აქტიური ჩაბმა** სოციალისტურ მშენებლობაში, ეს არის ამ მასების უდიდესი და უცხოველესი ყურადღების მიპყრობა ამ მშენებლობისადმი. მასების ასეთმა აქტივობამ და დაინტერესებამ ამ უკანასკნელ დროს უკვე პოვეს თავისი ბუნებრივი გამოხატულება ისეთ ფორმებში, როგორიც არის **სოციალისტური შეჯიბრება, ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის დღე, მუშათა დამკვრელ ბრიგადები,** ერთი მხრით, **და კრიტიკა და თვითკრიტიკა,** რასაც სულ უფრო და უფრო ნაყოფიერად და მიზანშეწონილად იყენებენ მშრომელთა მასები, მეორე მხრით. ყველამ კარგად იცის, თუ რა ნაყოფი გამოიღეს ზევით დასახელებულმა ფაქტორებმა, მაგრამ ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს ისიც, რომ როგორც სოციალისტური შეჯიბრება და მუშათა დამკვრელი ბრიგადები, ისე განსაკუთრებით თვითკრიტიკა ჯერ კიდევ სავსებით გამოყენებული არაა. არის მრავალი გარემოება, რაც ხელს უშლის ყველა ამ უძლიერეს ფაქტორების ამომწურავი სისრულით გამოყენებას. თავისთავად იგულისხმება, რომ იმავე დროს საჭიროა ყველა ამ დამაბრკოლებელ და ხელისშემშლელ გარემოებათა თავიდან აცილება. ამ ხრით პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს კულტურულ და ტეხნიკურ ჩამორჩენას. საერთო უცოდინარობას რომ აქ თავი დავანებოთ, ჩვენ მივადგებით **წერა - კითხვის უცოდინარობას,** რაც წარმოადგენს ჩვენი კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენის უმთავრის საფუძველს. შეუძლებელია ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენისაგან თავის დაღწევაზე ან და მთელი მშრომელი მასის სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიურ ჩაბმაზე მანამ, სანამ მუშათა კლასში, ერთი მხრით, და ღარიბ და საშუალო გლეხობაში, მეორე მხრით, ადგილი ექნება წერა-კითხვის უცოდინარობას. მთელ საბჭოთა კავშირს რომ თავი დავანებოთ და ავიღოთ მარტო საბჭოთა საქართველო, რომელიც შედარებით კულტურულ კუთხედ ითვლება, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოც, საერთოდ, წერა - კითხვის ცოდნის მხრით საკმარისად ჩამორჩენილი ქვეყანაა. უნუგეშო სურათს წარმოადგენენ ამ მხრით არა მარტო განაპირა ადგილები და ავტონომიური ერთეულები, არამედ, თუ გნებავთ, იგივე დღევანდელი თბილისის ოლქი, რა თქმა უნდა ქალაქ თბილისის გამოკლებით. თავის თავადაც გასაგებია ის, რომ წერა - კითხვის უცოდინარობა გავრცელებულია შედარებით უფრო მეტად გლეხკაცობაში და კიდევ უფრო ეროვნულ უმცირესობათა გლეხკაცობაში (თურქები, ბერძნები, ოსები და სხვ.). მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარობას ადგილი აქვს აგრეთვე აქა-იქ თვით ქალაქის მუშებშიაც რაც დღეს ყოვლად დაუშვებელია. და ეს მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლების დამკვიდრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით რამდენიმე ასი ათასმა კაცმა შეისწავლა წერა - კითხვა.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, სოციალისტური მეურნეობის ჩქარი ტემპით განვითარება და ამ საქმეში მშრომელთა უფართოეს მასების აქტიურად ჩაბმა დაჟინებით თხოულობს წერა - კითხვის უცოდინარობის დაკვრითი წესით მოსპობას. ქალაქის მრეწველობას რომ თავი დავანებოთ და ავიღოთ მარტო სოფლის მეურნეობა, ჩვენ დავინახავთ, რომ იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებსაც ჩვენ ვაყენებთ დღეს სოფლის მეურნეობაში, ე. ი. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა საბჭოთა მეურნეობების და კოლექტივების ჩქარი ტემპით განვითარების გზით, ერთი მხრით, და უმაღლესი აგრონომიულ - ტეხნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით მეორე მხრით, ამ ამოცანების გადაჭრა, ვიმეორებ, უკიდურესად გაძნელდება და შეფერხდება, თუ წერა-კითხვის უცოდინარობას ბოლო არ მოუღეთ უახლოეს ვადაში. ამნაირად წერა - კითხვის უცოდინარობის მოსპობა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხკაცობის ძირითად კადრებში წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და მორიგ ამოცანათაგანს, რომლის გადაჭრა უნდა მოხდეს დაკვრითი წესით. სწორედ ასე დგას ეს საკითხი დღეს ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიმწვავით, და, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ის უნდა იქნეს გადაჭრილი. ის აღფრთოვანება და აქტიური მონაწილეობა, ის თვითმოქმედება და შემოქმედებითი ინიციატივა, რასაც მუშათა კლასი იჩენს დღეს სოციალიზმის შენებაში, უნდა იქნას გამოჩენილი აგრეთვე წერა - კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეში. უნდა შეგნებულ იქნას სავსებით, თუ რა დიდ დაბრკოლებასთან გვაქვს ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე, ერთი სიტყვით, როგორც არა ერთხელ თქმულა, წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში უნდა ჩაებნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეები, რა თქმა უნდა უპირველეს ყოვლისა პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული ორგანიზაციები; პირველ რიგში უნდა დადგეს კომკავშირი, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. გარდა საბჭოთა, პარტიული, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და კომკავშირის ორგანიზაციებისა, ამ მუშაობაში ამა თუ იმ სახით ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა თითოეულმა მუშამ, მოსამსახურემ და გლეხმა. ჩემი აზრით, აქაც შესაძლებელია და კიდევაც უნდა იქნას გამოყენებული, **სოციალისტური შეჯიბრება.** ერთი სიტყვით, წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა დღეს ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ფრონტია. ჩვენ უთუოდ უნდა გავიმარჯვოთ ამ ფრონტზედაც და გავიმარჯვებთ კიდევაც, რა თქმა უნდა, თუ ყველა ჩვენი ორგანიზაცია, საბჭოთა მთელი საზოგადოება, თითოეული მუშა და გლეხი გამოიჩენენ აღფრთოვანებასთან ერთად საკმარის ენერგიას და ხალისს ამ ბრძოლაში. უამისოდ კულტურული რევოლუციის მოხდენა ძლიერ დაგვიანდება. ამიტომ ჩვენ ვამბობთ:

გაუმარჯოს წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას!

გაუმარჯოს ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას!

ფ. მახარაძე.

განვავითაროთ სამრეწველო მეფრინველეობა

მეფრინველეობა სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია. გარდა შინაური მოხმარებისა და ადგილობრივ ბაზრებზე გატანისა, საქართველოს მეფრინველეობის ნაწარმოები თვალსაჩინო როლს თამაშობს ჩვენს ექსპორტში; ომის წინა წლებში საქართველოდან საშუალოდ ყოველწლიურად უცხოეთში გაჰქონდათ 300 ათას ოქროს მანეთის კვერცხი, ხოლო უკანასკნელ ხანებში, როცა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მეოხებით განადგურებული მეფრინველეობა კვლავ აღორძინდა, კვერცხის გაზიდვა თანდათან ფართოვდება.

მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ მეფრინველეობა ჩვენში და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში ჯერ ძალიან დაბალ დონეზე დგას, როგორც რიცხობრივად, ისე ნაყოფიერების მხრივ. თუ მაგალითად, დანიაში მოსახლეობის თვითეულ სულზე 1924 წ. მოდიოდა ექვსი ქათამი და ჩრდილოეთ ამერიკაში — 4, საბჭოთა კავშირში 1927 წ. მოდიოდა 1,2-ს. საქ. სტატ. სამმართველოს ცნობებით, ამჟამად ჩვენს სოფლის მეურნეობაში ითვლება 3,3 მილიონამდე ქათამი, რაც მეტად მცირედ უნდა მივიჩნიოთ. ასევე არა დამაკმაყოფილებელია ჩვენში მეფრინველეობის მოსავლიანობა: ამერიკაში მისი პროდუქციის საერთო ღირებულება წლიურად უდრის 2.250 მილიონ მანეთს, საბჭოთა კავშირში კი მხოლოდ 229 მილიონ მანეთს. ჩვენებური ქათამი წელიწადში სდებს დაახლოებით 60 კვერცხს, დანიაში — 170, ამერიკაში — 100. ცნობილია აგრეთვე, რომ ჩვენებური ქათამი და კვერცხი გაცილებით პატარა წონისაა, ვინემ მაღალი ჯიშის ქათამი და მისი ნაწარმოები.

ბოლო დრომდე მეფრინველეობას ჩვენში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ მხრივ მიწათ-მოქმედების ზოოტეხნიკურ სადგურის მუშაობას და შინაურ ფრინველების გაშენებას საბჭოთა მეურნეობებში, რაც მეტად ვიწრო ჩარჩოებში იყო მომწყვდეული და რასაც ამიტომ არ შეეძლო ცოტად თუ ბევრად საგრძნობი გავლენა მოეხდინა მეფრინველეობის განვითარებაზე. მხოლოდ მიმდინარე წელში იქნა დაარსებული სათანადო სპეციალური ორგანო მეფრინველეობის ცენტრის სახით სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში და მას დაევალა ამ დარგის ხელმძღვანელობა საქართველოს მასშტაბით და მეურნეობის განსავითარებლად საჭირო ღონისძიებათა გამომუშავება - გატარება. რა ზომები უნდა მივიღოთ მეფრინველეობის რაციონალურ საფუძველზე დასაყენებლად? მისი ჩამორჩენილობის უმთავრესი მიზეზი, როგორც საერთოდ ჩვენი სასოფლო მეურნეობისა, არის ამ დარგის წარმოების წვრილი და ინდივიდუალური ხასიათი, რომელიც შეუძლებელს ხდის მის განვითარების მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე დამყარებას. აქედან — ჩვენი მუშაობა უნდა წარიმართოს მეფრინველეობის სოციალიურ - ტეხნიკურ რეკონსტრუქციისაკენ. ერთი მხრით, მეფრინველეობა ფართედ უნდა დავაყენოთ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებმაც აქაც უნდა შემოიკრიბონ თავისი გარშემო ახლო-მახლო მოსახლეობა და გავლენა მოახდინონ მასზე. როგორც მეფრინველეობის გაუმჯობესებისა, ისე მისი კოოპერატიული გაერთიანებისათვის.

ამისათვის კი, პირველ ყოვლისა საჭიროა საზოგადოებრივ ინკუბატორიუმების ქსელის მოწყობა. ჩვენს გლეხობას კვერცხიდან ხელოვნურად ნაყოფის გამოყვანაზე წარმოდგენაც არა აქვს. ამ მხრივ მთლად კრუხზე ვართ დამოკიდებული. ამავე დროს კი ინკუბაციის საშუალებით ფრინველი შეუდარებლად მრავლდება, საილუსტრაციოდ ვიტყვით, რომ ამერიკაში არსებობენ ისეთი ინკუბატორები, რომელთაგან თითო იტევს 1,800 ათას კვერცხს და ყოველდღიურად 75 ათას წიწილას უშვებს. საბჭოთა რუსეთში და, კერძოდ, უკრაინაში ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯებია გადადგმული. აუცილებლად საჭიროა მეფრინველეობის მთავარ რაიონებში — კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებთან ჩვენშიაც შემოვიტანოთ ეს ტეხნიკური მიღწევა. ინკუბატორების გავრცელებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ფრინველის მოშენებისათვის, არამედ მათ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ მეფრინველეობის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებისა და კოლექტივიზაციისათვის. გლეხობა აქ მიიტანს თავის ქათმის კვერცხს გამოსაჩეკად, აქვე იქნება წიწილის მომშენებელი ფაბრიკები და სხვ. ამ ტეხნიკურ ბაზების შექმნას უნდა დაუკავშიროთ მეფრინველე ღარიბ - საშუალო გლეხთა ამხანაგობების შექმნა.

მეფრინველეობის მეურნეობის განსაზოგადოების საფუძველზე ჩვენ წარმატებით შევძლებთ ვებრძოლოთ ჩვენი გლეხის უცოდინარობას ფრინველის რაციონალურად მოვლის საქმეში. დღეს მას სასაცილოდ არ ეყოფა, თუ ეტყვით, რომ საქათმეს ესაჭიროება განსაზღვრული ტემპერატურა, კარგი სინათლე, ვენტილიაცია და ისე სუფთად შენახვა, როგორც სახლს, რადგან ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ქათმის ნაყოფიერება. ვინც სოფლად ყოფილა, ყველამ იცის — თუ რა ჭუჭყიანია და ბნელი ჩვენებური საქათმე. ძალიან ცუდადაა დაყენებული ფრინველის კვების საქმე. თუ რას აჭმევთ ქათამს, რამდენჯერ და რა რაოდენობით, ამას ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის პროდუქტივობის გასადიდებლად. ჩვენებური ქათამი კი მეტ წილად ბალახით საზრდოობს. ყოველივე ეს ხდება არა მარტო გლეხის ხელმოკლეობის მიზეზით, არამედ აქ დიდ როლს თამაშობს უცოდინარობაც. გლეხს ჯერ კიდევ არა აქვს იმის შეგნება, რომ ფრინველზე გაწეული ხარჯი სამმაგად აუნაზღაურდება, მან არ იცის, თუ როგორ უპატრონოს, ქათამს, თუმცა სათანადო საშუალებები მისთვის ზოგჯერ ხელმისაწვდომია. მხოლოდ რაციონალური კვებით, მოვლით და შენახვითაა შესაძლებელი ქათმის ჯიშის გაუმჯობესება და მისი ნაყოფიერების გადიდება. ამ მხრივ გლეხს საჭირო ცოდნა უნდა მივსცეთ.

მეფრინველეობის განვითარებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჯიშის გაუმჯობესებას. ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა ფართედ დავაყენოთ ადგილობრივი ჯიშის ფრინველის და მის შესაძლებლობათა შესწავლა. საბჭოთა რუსეთსა და უკრაინაში ზოგმა ზოოტეხნიკურმა სადგურებმა მოახდინეს ცდები უბრალო ქათმებზე, რომელთაც საჭირო მოვლის წყალობით დიდი შედეგები მოგვცეს: ქათმების წონა გადიდდა 2 კილოგრამამდე (ჩვეულებრივი უბრალო ქათამი საშუალოდ ერთ კილოს იწონის), ხოლო წლის განმავლობაში ისინი იძლევიან 90—150-მდე კვერცხს. მოსალოდნელია, რომ ასეთ ნაყოფს გამოიღებენ ჩვენში წარმოებული ცდები, თუ ამ ცდებს კარგად დავაყენებთ. ამით ჩვენ სრულებით არ გვინდა იმის თქმა, რომ თითქო ხელი ავიღოთ უცხო მაღალი ჯიშის გავრცელებაზე ჩვენში, ან მის შერევით ადგილობრივი ქათმის ჯიშის გაუმჯობესებაზე. ყოველივე ეს აუცილებელია. მაგრამ თავის თავად მარტო ფრინველის ჯიშში როდია საქმე: თუ უცხოეთის მაღალი პროდუქტივობის ფრინველს ისე მოუარეთ, როგორც ჩვენებურს უვლით, აშკარაა ის დაკნინდება და უკანასკნელზე უკეთესი არ გამოდგება. ბევრია იმის მაგალითი, რომ გარედან შემოყვანილი კარგი ჯიშის ფრინველი მასიურად იღუპებოდა მოუვლელობის გამო.

ბოლოს, არ შეგვიძლია არ შევეხოთ კვერცხის მოვლის საქმეს ჩვენში. ჩვენებური კვერცხები მეტ წილად ჭუჭყიანია და ამიტომ შედარებით ნაკლებს ფასობს. საექსპორტოდ ასეთი კვერცხები არ გამოდგება. ეს საქათმის ცუდათ შენახვის შედეგია. შემდეგ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ კვერცხის სათანადოდ დახარისხება და ჩაწყობა ყუთებში. მათი გადაზიდვაც არ არის მოწესრიგებული. ამიტომაა, რომ მთელ, სუფთა და კარგ კვერცხებთან ხშირად ბევრ დამტვრეულს, დაფუჭებულს და ლაყეს შევხვდებით. ყოველივე ამ ნაკლის ასაცილებლად საჭიროა დახელოვნებული ხელი, და ამ დარგში უცოდინარობის აღმოფხვრა და საერთოდ მეტი მზრუნველობა მეფრინველეობაზე.

მეფრინველეობას ჩვენში დიდი მომავალი აქვს. მის განვითარებას ხელს უწყობენ როგორც ბუნებრივი პირობები, ისე საგრძნობი მოთხოვნილება მის პროდუქტებზე საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. მეფრინველეობის განვითარება უნდა გახდეს ჩვენი გლეხობის კეთილდღეობის ზრდის და საერთოდ ქვეყნის სამეურნეო გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. საჭიროა ამ დარგს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. მეფრინველეობის მომშენებელ ღარიბ-საშუალო გლეხთა კოოპერატიული შეკავშირება, ინკუბატორების ქსელის ორგანიზაცია, ფრინველის კვების და შენახვის საქმის რაციონალური დაყენება, მეფრინველეობის დარგში საჭირო ცოდნის მიწოდება გლეხობისათვის — აი რა გზით შევსძლებთ მეფრინველეობის აყვანას ისეთ დონეზე, რომელზედაც ის უნდა იდგეს თავის მნიშვნელობით ჩვენს სასოფლო მეურნეობაში.

X.

აჯანყება ნანკინის ჯარებში

აჯანყებულთა რამოდენიმე ნაწილი გადავიდა ფინ-იუი-სიანის მხარეზე

სისხლისმღვრელი შეტაკებები პროლეტარიატსა და ფაშისტებს შორის ავსტრიაში

აჯანყება ნანკინის წინააღმდეგ

შანხაი, 14 ნოემბერი. პრესაში ათავსებენ ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს ხენანის პროვინციის ფრონტის მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, უარყოფენ იმ ცნობებს, ვითომ ნანკინელებმა დაიჭირეს მენსიანი. **ნანკინი განუწყვეტლივ აძლიერებს** თავის ჯარს ხენანის ფრონტზე, **მთლად აშიშვლებს ხანკოუს და** ხენანის ფრონტზე გადაჰყავს გარნიზონები ხუბეის პროვინციის პატარა ქალაქებიდან, აგრეთვე ის ჯარი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში ჩან - ფა - გუის წინააღმდეგ. როგორც რეიტერის საგენტო და სხვა საგენტოები იტყობინებიან, **ნანკინის ჯარში ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში მოხდა ორი ამბოხება,** გარდა ამისა, ნანკინის ჯარის ნაწილები მდინარე ხანის და სიანინის ნაპირებზე (ხუბეის პროვინციაში) ფინ-იუი-სიანის მხარეზე გადავიდნე. ჩან კაი-ში ფრონტიდან ხანკოუში დაბრუნდა. ეს დიდი დამარცხების ნიშნად მიაჩნიათ და ამიტომ საიდუმლოდ ინახავენ. (ადს)

შეტაკება ფაშისტებთან

ვენა, 13 ნოემბერი. 12 ნოემბერს მთელ ავსტრიაში გაიმართა დემონსტრაციები ავსტრიის რესპუბლიკის მეთერთმეტე წლის თავის აღსანიშნავად. სოციალ-დემოკრატიულმა მსვლელობამ ვენაში თითქმის უინციდენტოდ ჩაიარა. ცალკე კომუნისტური ჯგუფების დემონსტრაციები გაფანტა პოლიციამ, რომელმაც რამდენიმე კაცი დააპატიმრა. ხეიმვერი ვენაში გამოვიდა მხოლოდ ცალკე ჯგუფებად, რომლებმაც დემონსტრაცია გამართეს იმ ქუჩებში, სადაც სოციალ-დემოკრატების მსვლელობას უნდა გაევლო. ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელები ეუბნებოდნენ მუშებს—არ მიაქციათ ყურადღება ფაშისტების პროვოკაციისათვის. ინსბრუკში გაიმართა სოციალ-დემოკრატებისა და ხეიმვერების პარალელური მსვლელობები. ხეიმვერები დემონსტრაციაზე მოვიდნენ ფოლადის ქუდებით, თოფებით შეიარაღებულნი და თავს დაესხნენ ახალგაზრდა მუშების ჯგუფს კატცენდორფში, ვენის მახლობლად, ფაშისტებსა და მუშებს შორის შეტაკების დროს მოკლულ იქნა მუშა. გრაცში რევოლუციონური მუშები ხეიმვერის მსვლელობას ხვდებოდნენ ძახილით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ძირს ფაშიზმი“. ზოგიერთ ადგილას შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და მუშებს შორის. „ნოიე ფრეიე პრესე“-ს ცნობით, ვენიდან გრაცში ჩასული რკინის გზის ფაშისტური რაზმი მსვლელობის შემდეგ დიდხანს ვერ გაბრუნდა უკან, რადგან რკინისგზელები პასიურ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ და იმ ვაგონებს რომლებშიაც ისინი ისხდნენ, მატარებელს არ მიაბეს. (ადს).

შეკითხვები თემთა პალატაში

კონსულების დანიშვნის საკითხი

ლონდონი, 13 ნოემბერი. მუშათა პარტიის დეპუტატი მილსი შეეკითხა ჰენდერსონს — მოხდება თუ არა ელჩის დანიშვნის შემდეგ კონსულების დანიშვნა საბჭოთა კავშირის დიდ ცენტრებში.

ჰენდერსონმა უპასუხა — ჯერ კიდევ არ შემიძლია მოგცეთ ცნობა ამ საკითხზეო. კონსერვატორი ალენი შეეკითხა ჰენდერსონს — იცნო თუ არა ინგლისმა საქართველოს სოციალ - დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რამდენადაც იგი იცნეს მოკავშირე სახელმწიფოებმა 1921 წლის იანვარში. **ჰენდერსონმა ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა.** (ადს)

კონსერვატორ ტიჩფილდის შეკითხვა

ლონდონი, 13 ნოემბერი. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, თემთა პალატაში კონსერვატორი ტიჩფილდი შეეკითხა, საგარეო საქმეთა მინისტრს — მიმართავს თუ არა იგი შეკითხვით საბჭოთა მთავრობას, განზრახული აქვს თუ არა ამ უკანასკნელს გაემიჯნოს იმ გამანადგურებელ პროპაგანდას, რომელსაც აწარმოებს კომინტერნი ინგლისის წინააღმდეგ.

ჰენდერსონმა უარყოფით უპასუხა.

მან აღნიშნა, რომ „მთავრობის პოზიცია უცხოელთა იმ განმანადგურებელი პროპაგანდის საკითხში, რომელსაც ვინმე აწარმოებს ინგლისში, ნათლად არის აღნიშნული და ამჟამად საჭირო არ არის შემდგომი ნაბიჯების გადადგმა“. (ადს)

„დეილი ტელეგრაფი“-ს წერილი

ლონდონი, 13 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი ეხება ოვეის დანიშვნას ინგლისის ელჩად საბჭოთა კავშირში და აღნიშნავს იმ ცნობის „დაგვიანებით“ გადმოცემას, რომელიც ელჩის დანიშვნას შეეხება, აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში ჯერ კიდევ არ არის დანიშნული. გაზეთი სწერს: „ასეთი ხანგრძლივი დაგვიანება ამგვარ საქმეში ჩვეულებრივი არ არის და რამდენიმე ამის ახსნა შეიძლება ინგლის-საბჭოთა დღევანდელი ურთიერთობის მეტად არაჩვეულებრივი ხასიათით“. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს „იზვესტია“-ს კომენტარიებს ჰენდერსონის იმ განცხადების ირგვლივ, რომელიც პროპაგანდის საკითხს შეეხებოდა, აგრეთვე ვოროშილოვის უკანასკნელ სიტყვას, და სწერს: „საერთოდ არ იზრდება იმის შანსები, რომ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის კომედია ხანგრძლივი იქნება“. (ადს).

შპიონაჟი საბჭ. კავშირის წინააღმდეგ

ბერლინი, 13 ნოემბერი. დანციგიდან მიღებული ცნობებით, იქ გაირჩა რუსი ემიგრანტის **ბელსკის** საქმე. ბელსკის ჰბრალდებოდა ყალბი პასპორტით ცხოვრება. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ **ბელსკი მსახურებდა პოლონეთის მზვერავ განყოფილებაში და რომ პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა დანციგში აწყობს შპიონაჟს საბჭოთა კავშირის, აგრეთვე გერმანიის წინააღმდეგ.** ბელსკიმ დაწვრილებითი ჩვენება მისცა სასამართლოს. ეს ჩვენება ახასიათებს პოლონეთის ანტისაბჭოთა შპიონაჟის მეთოდებს. (ადს)

გერმანიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

მოსკოვი, 14 ნოემბერი. გერმანიის მუშათა დელეგაციამ, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად, გერმანიის მშრომელთ მიმართა დეკლარაციით. დეკლარაციაში ნათქვამია:

„ყოველივე ის, რასაც გეუბნებიან თქვენ სოციალ - დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ პრესაში საბჭოთა კავშირის შესახებ, სიცრუე და მოტყუებაა. მთავარი, უდიდესი და ყველაზე შესანიშნავი მოვლენა ის არის, რომ აქ, **საბჭოთა კავშირში, მთელი ძალა-უფლება მუშების ხელშია. მუშა მართავს სახელმწიფოს, მუშა ხელმძღვანელობს მრეწველობას.** უფრო და უფრო ფართოვდება მისი უშუალო გავლენა სახელმწიფო აპარატსა და ეკონომიკაზე. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი თითონ მართავს თავის საქმეებს. იგი, გერმანიის მსგავსად, თავის წრიდან რამდენიმე მოღალატე მინისტრს როდი აყენებს, რომელნიც აკეთებენ ბურჟუაზიის საქმეს და ატყუებენ პროლეტარიატს. **მთავრობის აპარატში შედიან წარმოების მუშები. რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც თითონ მართავს თავის ქვეყანას, აშენებს სოციალიზმს. ჩვენ ვნახეთ ის არაჩვეულებრივი აღფრთოვანება, რომლითაც მუშათა მასები ანხორციელებენ ხუთწლიან გეგმას. მასების ენტუზიაზმი ყოველგვარ გეგმებს აჭარბებს. ხუთწლიანი გეგმა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის უდიდესი, გეგმაა. ყოველივე აქ ნახულის გამო ამიერიდან ჩვენი გული საბჭოთა კავშირისათვის სცემს. ყოველივე ამან აღგვაფრთოვანა საბრძოლველად სოციალიზმისათვის, ჩვენი საკუთარი ბურჟუაზიის დასამხობად. ამიტომ მოგიწოდებთ: გაერთიანდით და შედით იმ რიგებში, რომელნიც რევოლუციონურ ფრონტს შეადგენენ, იბრძოლეთ კაპიტალისტების წინააღმდეგ, ჩამოშორდით სოციალ - ფაშისტებს და დაამხეთ ეს მოღალატენი. მოგიწოდებთ — იბრძოლეთ კომუნიზმისათვის.** ჩვენ, რომლებმაც ვნახეთ აქ მუშის ცხოვრება, რომლებმაც ვნახეთ, თუ როგორ დამარცხებულია კაპიტალიზმი პრაქტიკულად, როგორ აღმოფხვრილია მისი უკანასკნელი ნაშთები, ახლა უკეთ გვესმის, რომ მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები სცდილობენ თავს დაესხან მუშათა ქვეყანას. ჩვენ უკეთ გავიგეთ, თუ რა მიზანი ჰქონდა იმპერიალისტების თავდასხმას შორეულ აღმოსავლეთში ჩინელი ბანდიტების დახმარებით. **გერმანიის რევოლუციონური პროლეტარიატის სახელით ჩვენ ძმური სალამი გავუგზავნეთ შორეულ - აღმოსავლეთის წითელ არმიას.** ახლა ჩვენი მოვალეობაა პრაქტიკულად დავამტკიცოთ ჩვენი სოლიდარობა. **მოაგვარეთ ჩვენი რუსი ამხანაგებისათვის დახმარების საქმე.** თვალყური ადევნეთ იმას, რომ **გერმანიის ფაბრიკებიდან ჩვენს ამხანაგებს უვარგისი მასალა და ძველი მანქანები არ გაუგზავნონ.** წინადადებას გაძლევთ, იმის ნიშნად, რომ მზად ხართ აქტიურად დაეხმაროთ სოციალისტურ შეჯიბრებას, **ახალი წლის დამდეგისათვის შეაგროვოთ სახსრები ტრაქტორის შესაძენად და გთხოვთ, დაუყოვნებლივ დაიწყოთ სახსრების შეგროვება.** ყოველი მანქანა რუსეთის სოფელში წარმოადგენს ნაბიჯს სიძნელეთა გადასალახავად, ნაბიჯს წინ გადადგმას სოციალიზმის გზაზე. იმ დახმარებამ, რომელსაც ჩვენ სოციალიზმის მშენებლობას გაუწევთ, ჩვენმა დახმარებამ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენმა ნაბიჯებმა უნდა დაამტკიცოს ჩვენი სოლიდარობა“.

„უდიდეს დახმარებას ჩვენის მხრივ, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — **წარმოადგენს რევოლუციის მომზადება გერმანიაში.** დაუცხრომლად იბრძოლეთ სოციალ - დემოკრატების, ამ მოღალატეთა და კაპიტალისტების დამხმარეთა წინააღმდეგ, გაამწვავეთ ბრძოლა ყველა ჯურის ფაშიზმის წინააღმდეგ. ჩვენ ახლა ვიწყებთ მოგზაურობას იმ დიდ ქვეყანაში, რომელიც მუშებს ეკუთვნის. ჩვენ თქვენი სახელით მივესალმებით საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს და გიგზავნით მათ სალამს. ფიცსა ვდებთ, დაბრუნების შემდეგ მთელი ჩვენი ძალ-ღონე შევსწიროთ პროლეტარიატის გამანთავისუფლებელ ბრძოლას, რევოლუციის გამარჯვებას გერმანიაში და მსოფლიო რევოლუციას“. (ადს)

ინგლისის კომპარტიაში

მოწოდება

ლონდონი, 13 ნოემბერი. ინგლისის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა ინდოეთის მუშებსა და გლეხებს. მოწოდებაში ნათქვამია:

„ლეიბორისტული მთავრობა, კონსერვატორებთან და ინდოეთის ბურჟუაზიასთან ერთად, სცდილობს მოატყუოს მუშათა და გლეხთა ფართო მასები. გაიძვერული წინადადებებით, ინდოეთისთვის დომინიონის უფლებების მინიჭების შესახებ, რითაც იგი გაადვილებს ინდოეთის მშრომელთა შემდგომ ექსპლოატაციასა და დევნას. კომპარტია მოუწოდებს ინდოეთის მშრომელებს — გააძლიერონ ბრძოლა სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ინდოეთის დაპატიმრებული რევოლუციონერების გასანთავისუფლებლად და ინდოეთში საერთო ძალ-ღონით მუშათა და გლეხთა დიქტატურისა და საბჭოთა რესპუბლიკის დასამყარებლად. (ადს)

ლონდონი, 13 სექტემბერი. ინგლისის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც შეფასებულია ყრილობის წინ გამართული და ინგლისის კომპარტიის რიგებში ჩატარებული დისკუსია. პოლიტბიურო მთლიანად ეთანხმება დისკუსიის იმ შეფასებას, რომელიც კომინტერნის აღმასკომს ეკუთვნის, და აღნიშნავს, რომ დისკუსიის დროს თვითკრიტიკამ მიიღო პარტიის ხელმძღვანელობის წინანდელი შეცდომების, ჩამდენთა ძებნის ხასიათი, რამაც მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ ხელმძღვანელმა ამხანაგებმა ერთმანეთს დაუწყეს მტყუნება. პოლიტბიურო აცხადებს, რომ დისკუსიის მიზანს უნდა შეადგენდას მუშათა მასების დარაზმვა ინგლისის კომპარტიის მებრძოლი პოლიტიკის ირგვლივ და ამ პოლიტიკის გამომხატველი გაზეთის „დეილი უორკერ“-ის ირგვლივ. (ადს).

მორიგი ღალატი

ლონდონი, 13 ნოემბერი. ბრძოლა იორკშირის შალეულის მრეწველობაში პირველ სტადიაში მრეწველთა სასარგებლოდ დამთავრდა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ პროფკავშირთა ხელმძღვანელობამ არ მოისურვა მთლიანი ფრონტით ებრძოლა და გაეძლიერებია ეს ბრძოლა იმ ფაბრიკებში, სადაც სამუშაო ხელფასს ამცირებენ. ფაბრიკების ადმინისტრაცია სარგებლობს ამით და აცხადებს, რომ ჩატარებული შემცირება გადიდებული იქნება, თუ დანარჩენ ფაბრიკებში ნაკლები შემცირება აღმოჩნდება. წარმოება მთლად შესწყდა, მხოლოდ ერთ ფაბრიკაში, ზოგიერთ სხვა ფაბრიკაში კი შემცირდა. კომპარტია მოუწოდებს მუშებს—შექმნან მოქმედების დამოუკიდებელი კომიტეტები და გაფიცვის საშუალებით მიაღწიონ ხელფასის მომატებას. (ადს).

კამათი დეპუტატთა პალატაში

პარიჟი, 13 ნოემბერი. დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი ბიუჯეტის ირგვლივ. სოციალისტებმა შეიტანეს წინადადება—უარყოფილ იქნას ბიუჯეტის პირველი თავი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტს ეხება. სოციალისტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა შესწავლილ იქნას სახლმ. სესხების ობლიგაციების იმ წვრილი მფლობელების მდგომარეობა, რომელნიც მეტად უმნიშვნელო შემოსავალს იღებენ თავიანთი ობლიგაციებიდან, ვინაიდან ფრანკის ღირებულება ხუთჯერ დაეცა.

ფინანსთა მინისტრმა შერონმა განაცხადა, რომ მთავრობა ბიუჯეტის ფარგლებში მიიღებს ზომებს სესხების წვრილ-მფლობელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პრემიერმა ტარდიემ დასვა ნდობის საკითხი და მოითხოვა სოციალისტების წინადადების უარყოფა. წინადადება უარყოფილ იქნა 317 ხმის უმრავლესობით 257-ის წინააღმდეგ.

მეტალურგიული ქარხანა

ბაქო, 13 ნოემბერი. 5 დეკემბრისათვის თბილისში მოწვეულია თათბირი ამიერ-კავკასიაში მეტალურგიული ქარხნის აგებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად და იმ ადგილის ასარჩევად, სადაც ხსენებული ქარხანა უნდა აიგოს. თათბირზე მოწვეულნი არიან: სამრეწველო ეკონომიკის ცნობილი სპეციალისტი პროფ. შაპოშნიკოვი, „დნეპროსტროი“-ს ეკონომიური დასაბუთების ავტორი, მოსკოვის სამთო აკადემიის პროფესორი, საწვავი მასალის საკითხის ცნობილი სპეციალისტი ჩიჟევსკი, მეტალურგის პროფესორი პილნიკი, ქერჩის მეტალურგიული ქარხნის მთავარი მშენებელი ინჟ. ბულიგა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, „მლავჩერმეტ“-ისა და „გიპრომეზ“-ის წარმომადგენელნი. (ადს).

სხვადასხვა

● შალტოგორიანის (უნგრეთი) მემაღაროეთა გაფიცვას შეუერთდა ორ ახალ მაღაროს მუშები, სულ გაფიცულია 4.200 კაცი. ჟანდარმებმა დააპატიმრეს საგაფიცვო კომიტეტი.

● ოქტომბრის 12 წლის თავზე ბუქარესტში (რუმინეთი) დაპატიმრებული ხუთი მუშა მცველების გაძლიერებული რაზმის თანხლებით ბორკილებგაყრილი მიიყვანეს სასამართლოში. მუშების პროტესტის ზეგავლენით პროცესი გადაიდო.

● მუშების ბავშვთა კონფერენციამ ბერლინში, ბერლინის ყველა მუშათა ბავშვებს მიმართა მოწოდებით—აირჩიონ რწმუნებულები ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად სკოლებში.

● კომუნისტურ ორგანოს „ჰამბურგერ ფოლკსცაიტუნგ“-ის აკრძალვამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია ჰამბურგის მუშებში, მუშები კიცხავენ მენშევიკ-პოლიციელების თავხედობას და შეუდგენ საქარხნო კომუნისტური გაზეთების გამოშვებას.

● ჰამბურგში (გერმანია) მოხდა ფაშისტებთან შეტაკების დროს მოკლულ მუშა შრედერის დაკრძალვა, რომელიც გადაიქცა მძლავრ დემონსტრაციად ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ.

● 11 ნოემბერს გაიმართა ბერლინის უმუშევართა გრანდიოზული დემონსტრაცია წითელი დროშებითა და რევოლუციონური ლოზუნგებით.

● „ლიუმანიტეს“ გადაეცა ბერლინის მუშების მიერ გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად შეკრებილი 30.000 ფრანკი.

● ნიუ-იორკში გაიმართა მასიური მიტინგები და დემონსტრაციები საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგით.

● ბუდაპეშტში (უნგრეთი) დააპატიმრეს კომუნისტ რაკოშის და

კლასობრივი ბრძოლის ლენინური და ლიბერალური გაგება

ჩვენი ქვეყანა შეხდა თავისი სამეურნეო განვითარების გარდატეხის გზაზე. პერიოდი სოციალისტური რეკონსტრუქციისა, რომელიც სახალხო მეურნეობის სულ ახალს და ახალ დარგებზე ვრცელდება, გარკვეულად გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვიმყოფებით სამეურნეო და საზოგადოებრივი წინსვლის მკვეთრი გარდატეხის მიჯნაზე.

გრანდიოზული ტემპები, განსაკუთრებული სამეურნეო მიღწევები, ხარისხოვანი ციფრები —ყოველივე ეს იმას გვეუბნება, რომ ჩვენი გეგმიანი მეურნეობის სისტემა არა თუ ცხოველმყოფელი აღმოჩნდა, არამედ ის თავის წიაღში ატარებს ახალ უდიდეს პერსპექტივებს და იძლევა შესაძლებლობას ახალი სახით დავსვათ და გადავჭრათ მრავალი ძირითადი სამეურნეო პრობლემა.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს უდიდესი სამეურნეო მიღწევები მზამზარეულად სცვივიან ციდან, მარქსისტს არ ეპატიება არ დაინახოს ამ სამეურნეო ცვლაში ძირითადი მილიონიანი მასების უაქტიურესი მონაწილეობა ახალ სამეურნეო მშენებლობაში, მათი შემოქმედებითი რევოლუციური ენერგია და მათი თავგამოდებული ბრძოლა ახალი მშენებლობისათვის.

როგორც ვიცით, ჩვენი ახალი სამეურნეო მშენებლობა, რომელიც ფართოდ გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს ქალაქსა და სოფელში, ხორციელდება იმ უსასტიკესი ბრძოლის პირობებში, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებს კაპიტალისტური და სხვა დრომოჭმული ფორმების წინააღმდეგ. შენების დროს ჩვენ გვიხდება კულაკის, ნეპმანის და იმპერიალისტური მტაცებლის წინააღმდეგობის დაძლევა, კაპიტალიზმის ულრმესი ფესვების აღმოფხვრის დროს გვიხდება საშინელი წინააღმდეგობის დაძლევა.

ამიტომ შეუძლებელია სწორედ და ლენინურად შევაფასოთ ჩვენი დიადი მშენებლობა და შეუძლებელია შევიგნოთ მთავარი ცვლილებანი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, თუ არ შევიგნებთ კლასობრივი ბრძოლის მექანიკას. ყოველგვარი სხვა მიდგომა ჩვენი სამეურნეო განვითარების შეფასებისადმი—უპრინციპო, არალენინური და ლიბერალური მიდგომა იქნებოდა ამ კარდინალური პრობლემების გადაწყვეტის დროს.

ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე როდისმე, მოვითხოვოთ, ლენინის სიტყვებით, რომ ვსთქვათ, „იდეური გარკვეულობა განსაზღვრული შეხედულებანი და პრინციპიალური ხაზი“.

ჩვენი მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომელთა მსჯელობას საერთო არაფერი აქვს ლენინის ზემოთ მოყვანილ აზრთან, ყოველთვის ცდილობენ, რომ კლასობრივი ბრძოლის დინამიკის სწორედ ეს ძირითადი საკითხი გააბუნდოვანონ, მიაფუჩეჩონ და აშკარა ოპორტუნისტული განმარტება მისცენ მას. თურმე, ისინი წინააღმდეგნი არ არიან, აღიარონ პარტიის გენერალური ხაზი“, წინააღმდეგნი არ არიან მიიღონ საკონტროლო ციფრები და გულმოდგინედ დაეთანხმონ სამეურნეო მშენებლობის სწრაფ ტემპს. მაგრამ, როცა ჩვენის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპს ფორმალურად იღებენ, ისინი სრულებითაც ვალდებულად არ სთვლიან თავს—ლოღიკურად დაუკავშირონ ეს ტემპი კულაკურ-ნეპმანურ ელემენტებზე შეტევის პოლიტიკას. მათ საჭიროდ არ მიაჩნიათ, რომ პატიოსნად, ბოლშევიკურად აიღონ ხელი იმ გამოსვლებზე, რომლებიც შეეხებიან „კულაკურ-კოოპერატიულ ბუდეთა“ შეზრდას სოციალიზმთან, ხელი აიღონ თავიანთ მაჩანჩალურ შეხედულებებზე, რომლებიც შეეხებიან საშუალო გლეხობის სოფლის ჩამორჩენილ ელემენტებთან შეგუებას, ხელი აიღონ ლაყბობაზე ფეოდალური ექსპლოატაციის შესახებ და სხვ.

ცხადზე უცხადესია, საკითხის ასე დასმა დიდად არ განსხვავდება ნახევრად მენშევიკური ტიპის იმ ეკონომისტების ლიბერალური ლაყბობისაგან, რომლებიც იძულებულნი არიან, როგორც ყველამ იცის, აღიარონ არსებული ფაქტების გამო ზრდის მაღალი ტემპი და დიდი პროცენტები.

ან ავიღოთ თუნდაც კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა. რადგან გლეხთა მილიონები სტიქიურად მიისწრაფიან კოლექტიურ მეურნეობებში, რასაკვირველია, ძალიან ძნელია იმ მდგომარეობის „უარყოფა“, რომ კოლექტიურ-მეურნეობრივი და საბჭოთა მეურნეობრივი მოძრაობა მართლაც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთავარ გზად ხდება. ჩვენი მემარჯვენე ოპორტუნისტები ამ საკითხებშიაც იარაღს ჰყრიან ფაქტების წინაშე, მაგრამ აშკარად ცდილობენ თავი დაიძვრინონ კლასობრივი ბრძოლის საკითხის ნათლად დაყენებისაგან, მხედველობიდან უშვებენ იმ ძირითად დებულებას, რომ ეს მშენებლობა შეიძლება წარმატებით მიმდინარეობდეს მხოლოდ მაშინ, როცა პირდაპირ დავსვამთ იმ კლასობრივი ბრძოლის საკითხს, რომელიც საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გარშემო სწარმოებს და აღვიარებთ, რომ თვით ეს მშენებლობა მხოლოდ მაშინ გამოვა ფართო სოციალისტურ გზაზე, როცა იგი თავის შიგნითვე მკაცრად გაემიჯნება კულაკურ-კაპიტალისტურ სიბინძურეს.

თუ პარტიისათვის შემდგომი სოციალისტური მშენებლობის საკითხი აუცილებლად უკავშირდება კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევას, ეს სრულებით სხვანაირად გამოდის მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიის თვალსაზრისით. მართლაც, მემარჯვენე ოპორტუნისტები სცდილობენ საქმის ვითარება დახატონ ისე, თითქოს ჩვენი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე არსებითად განისაზღვრება მხოლოდ საგანგებო ზომებით, რომლებიც მათ ესმით მხოლოდ და მხოლოდ როგორც წმინდა ადმინისტრატიული ღონისძიებანი. ამავე დროს კი სავსებით ცხადია, რომ შეტევას სოფლის კულაკურ ელემენტებზე ამჟამად სრულებით სხვაგვარი ხასიათი აქვს, ვინემ, მაგალითად, შარშან ჰქონდა, რომ ეს შეტევა ემყარება ღარიბ-საშუალო გლეხთა აქტივობის ფართო ფრონტს და მიმდინარეობს ისეთ პირობებში, როცა გლეხობის მშრომელთა ფართო მასები ირაზმებიან სოფლად სოციალისტური მშენებლობის ლოზუნგების ირგვლივ, კულაკებთან ბრძოლის საფუძველზე, კაპიტალისტური ტენდენციების დაძლევის და ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ნიადაგზე.

ჩვენი პარტია, როგორც ცნობილია, ახლა შეტევაზე გადავიდა მთელ სამეურნეო ფრონტზე, და სწორედ ეს შეტევა, რომელიც დაკავშირებულია მილიონიანი მასების რევოლუციური აქტივობის გაშლასთან, მხედველობიდან გაუშვეს მემარჯვენე ოპორტუნისტებმა. სწორედ ამიტომ იმის ცდა, რომ საქმის ვითარება დახატულ იქნას ისე, თითქოს სოფლად ჩვენი შეტევის სიმძიმის ცენტრი განისაზღვრება მხოლოდ ძველი ტიპის საგანგებო ზომებით, წარმოადგენს პირდაპირ ცილისწამებას ამ საკითხის პარტიული დასმის წინააღმდეგ.

პანიკიორულ გაფრთხილებებთან შედარებით, რომლებიც ჯერ კიდევ ამას წინად გაისმოდა სწრაფი ტემპების წინააღმდეგ, ჩვენ ახლა გვაქვს მემარჯვენეთა ყოველგვარი განცხადება, რომ ისინიც ემხრობიან ტემპებს. ეს, რასაკვირველია, წინანდელ განცხადებებთან შედარებით წარმოადგენს კაპიტულიაციას და უარს იმ პოზიციებზე, რომლებზედაც ისინი ამას წინად იდგნენ. მაგრამ ეს განცხადებანი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან პარტიის გენერალური ხაზის ნამდვილ აღიარებად (და არ იქნება უბრალო სტრატეგიული მანევრი), როცა ამ განცხადებებს დაერთვის შეცდომების ასეთივე აშკარა აღიარება სოციალისტური მშენებლობის ძირითადი საკითხების სფეროში, როცა ეს განცხადებანი დაკავშირებულნი იქნებიან კლასობრივი ბრძოლის არალიბერალურ, არამედ ლენინურ შეფასებასთან, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ღარიბ-საშუალო გლეხობის ფართო შეტევის პირობებში.

მემარჯვენე ფრაქციონერები ვალდებულნი არიან ყველა ამ საკითხზე პარტიას ნათელი, არაორჭოფული პასუხი გასცენ.

„იზვესტია“, 14 ნოემბერი.

ბერლინის და ხარკოვის ელექტრო-მუშების რევოლუციონური შეჯიბრება

ბერლინი, 18 ნოემბერი.. ელექტრონის საყოველთაო კამპანიის საწარმოთა (ბერლინში) მუშების კრებამ მოისმინა ხარკოვის ელექტრონის ქარხნის მუშათა გამოწვევა რევოლუციურ შეჯიბრებაში და დაადგინა—მიიღოს საბჭოთა მუშების წინადადება. კრება პირობას სდებს, ორჯერ გაადიდოს კომუნისტების რიცხვი საწარმოებში, რეგულიარულად გამოსცეს საქარხნო გაზეთები, საწარმოებში შექმნას მუშათა წითელი დამცველი რაზმები და ყოველგვარი საშუალებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს).

კ. მარქსის „კაპიტალი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას და გამომცემლობას მოსდის დიდძალი შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია კ. მარქსის „კაპიტალი“-ს ბეჭდვის საქმე და როდის მიიღებენ ხელის მომწერლები ამ წიგნს.

პირველი კითხვის შესახებ გამომცემლობას შეუძლია განაცხადოს, რომ კ. მარქსის „კაპიტალი“-ს პირველი ტომის ბეჭდვა დაიწყო ოქტომბრის 25-ს.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, თუ როდის დამთავრდება ბეჭდვა და როდის მიიღებენ ხელისმომწერლები „კაპიტალს“, ამაზე ზუსტი პასუხის მიცემა ძნელია; ვიტყვით მხოლოდ, რომ, როგორც სახელგამის, ისე „კომუნისტი“-ს გამომცემლობის, „კაპიტალი“-ს თარგმანის რედაქტორებისა და სტამბის მიერ მიღებულია საჭირო ზომები ბეჭდვის დასაჩქარებლად იმ ვარაუდით, რომ წიგნი მზად იქნას დეკემბერში ან იანვარში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა აქვე სარგებლობს შემთხვევით, რათა მკითხველებს მისცეს განმარტება იმ ხელისშემშლელ პირობების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს „კაპიტალი“-ს გამოცემის დაგვიანება. პირველი—მდგომარეობს „კაპიტალი“-ს თარგმანის სარედაქციო მუშაობის სიძნელეში. თარგმანის რედაქტორებს მოუხდათ უდიდესი მუშაობის გაწევა იმ დაბრკოლებათა დასაძლევათ, რომელიც მდგომარეობს ასეთი რთული, უცხო, მეცნიერული ნაშრომის გადმოთარგმნაში, რედაქტორებს სავსებით გათვალისწინებული ჰქონდათ არა მარტო პასუხისმგებლობა ხელისმომწერლების წინაშე და ის უხერხული მდგომარეობა, რომელიც იქმნებოდა „კომუნისტი“-ს გამომცემლობისათვისაც წიგნის დაგვიანებით გამოცემის გამო, არამედ ის უდიდესი პასუხისმგებლობაც, რომელიც მათ დაეკისრა პროლეტარიატის უდიდესი მეცნიერის გენიალური ნაშრომის ქართულად რაც შეიძლება უნაკლოთ გამოცემის საქმეში. რედაქტორების წინაშე იდგა საკითხი: 1) ან დაეჩქარებიათ სარედაქციო მუშაობა და მით ზიანი მიეყენებიათ მარქსის მეცნიერული ნაშრომისათვის, ან და 2) სარედაქციო მუშაობა ეწარმოებიათ გულდასმით, უაღრესი დაკვირვებით, თუნდ ამას შედეგად მოჰყოლოდა გამოცემის რამოდენიმე თვით დაგვიანება. არჩეული იქნა მეორე, ჩვენის აზრით, უფრო მართებული გზა.

აი, ამის გამო დედანის ერთი ნაწილი სტამბას გადაეცა ასაწყობად მხოლოდ მიმდინარე წლის სექტემბერში.

მეორე დაბრკოლება დაკავშირებული იყო ქაღალდის კრიზისთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კ. მარქსის ეს უდიდესი ნაშრომი იბეჭდება 15.000 ეკზემპლიარის რაოდენობით. ამ, ჩვენს სინამდვილეში არაჩვეულებრივ ტირაჟს, აუარებელი ქაღალდი ესაჭიროება—დაახლოებით 1800—2000 ფუთი. ამოდენა ქაღალდის შოვნა და ისიც კარგი ხარისხის არ იყო ადვილი საქმე. მიუხედავათ ამისა, სახელმწიფო გამომცემლობას დღეს უკვე უწყვია საწყობში „კაპიტალი“-სთვის საჭირო ქაღალდი და ამ მხრივ ჩვენ არავითარი დაბრკოლება აღარ შეგვხვდება წინ.

ხელი შეგვიშალა აგრეთვე შრიფტის ჩამოსხმამაც. ასეთი სერიოზული ნაშრომის, როგორსაც „კაპიტალი“ წარმოადგენს, ძველი, ნახმარი შრიფტით ბეჭდვა, შეუძლებელია. საჭირო გახდა 200—250 ფუთი სრულიად ახალი შრიფტის ჩამოსხმა და მისი კასებში ჩალაგება.

დანარჩენ ხელისშემშლელ პირობებზე აღარ შევჩერდებით. არ შევჩერდებით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ეს სიძნელენი ამჟამად უკვე გადალახულია და „კაპიტალი“-ს ბეჭდვა, რომელიც დაიწყო 25 ოქტომბერს, უკვე ერთგვარი წესრიგით მიმდინარეობს.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ წიგნის ბეჭდვის უფრო დაჩქარებაც შეიძლება. მაგალითად, ერთი ფორმის ნაცვლად შეიძლება ორი ფორმაც დაიბეჭდოს დღეში, მაგრამ ერთი პირობით, თუ წიგნს, ხუთი-ექვსი კორექტურის ნაცვლად, მხოლოდ ორი-სამი კორექტურა გაუკეთდება. მაგრამ ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიქნებით დაზღვეული შეცდომებისაგან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ გადაჭარბებული აჩქარებით საქმეს არ გავაფუჭებთ და ჩვენს პირობებში წიგნის ბეჭდვის ნორმალურად მიჩნეულ ტემპს არ დავარღვევთ.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა სავსებით დარწმუნებულია, რომ ჩვენი ხელისმომწერლები სათანადო ანგარიშს გაუწევენ ყველა იმ პირობებს, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რომლებმაც ხელი შეგვიშალეს „კაპიტალი“-ს დროზე გამოცემაში.

25 ოქტომბერი, როდესაც დაიბეჭდა მარქსის შრომის პირველი ფურცელი, ფრიად მნიშვნელოვან თარიღს წარმოადგენს საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკური და კულტურული წინსვლის ისტორიაში და დარწმუნებული ვართ, ყველანი განსაკუთრებული სიხარულით შეხვდებიან ცნობას ამის შესახებ.

გამომცემლობა, თუმცა ცოტა დაგვიანებით, მაგრამ სავსებით შესძლებს ხელისმომწერთა დაკმაყოფილებას სულ ახლო მომავალში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მთლიანობისათვის, მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ

ტაშკენტი, 14 ნოემბერი. ტაშკენტის ორგანიზაციის პარტაქტივმა მოისმინა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„მემარჯვენე ოპორტუნისტების მიერ ჩვენი სიძნელეების გამოყენებას და მათი ანტიპარტიული შეხედულებების აშკარა ქადაგებას ბოლო უნდა მოეღოს. აქტივი გამოსთქვამს რწმენას, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი მიიღებს საჭირო ზომებს ამ საკითხის ირგვლივ. ვინაიდან ბუხარინი დაჟინებით იცავს თავის შეცდომებს და ანვითარებს ფრაქციულ მუშაობას, აქტივს საჭიროდ მიაჩნია, რომ იგი გამოყვანილ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან“. (ადს).

მინსკი, 14 ნოემბერი. გომელის პარტორგანიზაციის აქტივი მიღებულ რეზოლიუციაში საჭიროდ სთვლის, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უახლოესმა პლენუმმა ბუხარინისა და სხვა მემარჯვენე უკლონისტების მიმართ მიიღოს ის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილებებში. (ადს).

ხარკოვი, 14 ნოემბერი. ხარკოვის უდიდესი ფაბრიკებისა და ქარხნების პარტაქტივები მოითხოვენ, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე ბოლშევიკური შეურიგებლობით დაისვას საკითხი ბუხარინისა და მისი მომხრეების დარჩენის შესახებ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში. (ადს).

ლენინგრადი, 14 ნოემბერი. პეტროგრადის რაიონული კომიტეტის და რაიონული საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი საჭიროდ სთვლის, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვოს ბუხარინს და მის ჯგუფს შეცდომების სრულიად აღიარება, პარტიის გენერალური ხაზის რევიზიის შეწყვეტა და ფრაქციულ მუშაობაზე ხელის აღება. იმ შემთხვევაში, თუ ბუხარინი და მისი ჯგუფი არ აღიარებს თავის შეცდომებს, განაგრძობს ფრაქციულ მუშაობას, ცენტრალურმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ორგანიზაციული ზომები პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად. (ადს).

ტვერი, 14 ნოემბერი. ქალაქის რაიონული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი პარტაქტივთან ერთად საჭიროდ სთვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ მემარჯვენეებმა არ შესწყვიტეს მუშაობა პარტიის წინააღმდეგ, ოპორტუნისტების მიმართ მიღებულ იქნას უმკაცრესი ორგანიზაციული ზომები. (ადს).

პატარა პროლეტარულ შტაბს--საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას

მოსკოვი, 14 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო, საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან უამრავი დეპეშა მოსდის.

ადიღეის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის პლენუმის მისასალმებელ დეპეშაში ნათქვამია: „ადიღეის ოლქმა უდიდეს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ შედეგებს მიაღწია. წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტებისა, ჩერქეზი გლეხობის ძირითადი მასა ფართო ფრონტით მიემართება კოლექტივიზაციისაკენ. აქ, სადაც წინად რუსული თვითმპყრობელობის ჯალათები ბატონობდნენ, დღეს მრავალი სამრეწველო საწარმო და კოლმეურნეობა შენდება. ეს მშენებლობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საკავშირო კ.პ. (ბ) იმ ნაციონალური პოლიტიკის წყალობით, რომელიც სპობს საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ ნაციონალურ განკერძოებას“. (ადს).

ქემალ-ფაშასა და ნადირხანის დეპეშები

ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო

მოსკოვი, 14 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო ამხ. კალინინმა მოლოცვის დეპეშები მიიღო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ - ფაშისაგან და ავღანისტანის ფადიშაჰის ნადირ - ხანისაგან. (ადს)

102 სამანქანო--სატრაქტორო სადგური

მოსკოვი, 14 ნოემბერი. „ტრაქტოროცენტრ“-ი 1930 წლის გაზაფხულზე მოაწყობს 102 სამანქანო - სატრაქტორო სადგურს — 50 ტრაქტორით თითოში. 1931 წელს ტრაქტორების რიცხვი თვითეულ სადგურში 250-მდე მიაღწევს. სულ 1930 წელს განზრახულია 200 ახალი სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოწყობა, აქედან უკრაინაში მოეწყობა 63 სადგური, ჩრდილოეთ - კავკასიაში — 30, ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქში — 10, ქვემო - ვოლგის რაიონში — 18, შუა-ვოლგის რაიონში — 23, ურალზე — 10, ციმბირში — 15, კაზაკსტანში — 10 და სხვ.

ყველა სადგურებში 1930 წელს იმუშავებს 25.000 ტრაქტორი. გარდა იმ სადგურებისა, რომლებიც მარცვლეულის რაიონებში ეწყობა, 1930 წლის შემოდგომაზე „ტრაქტოროცენტრ“-ს განზრახული აქვს რამოდენიმე სადგურის მოწყობა იმ რაიონებში, სადაც განვითარებულია ბამბის, ჭარხლის, სელის, რძისა და ბოსტნეულის მეურნეობა.

ამჟამად „ტრაქტოროცენტრ“-ი ადგილებზე აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას ახალი სადგურების მოსაწყობად და გლეხებთან ხელშეკრულების დასადებად. (ადს)

უდიდესი ავტო-ქარხნის მშენებლობა

მოსკოვი, 14 ნოემბერი. ამერიკიდან დაბრუნდა „ავტოსტროი“-ს მთავარი ინჟინერი ამხ. ისაკოვიჩი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს გადასცა ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ფორდის მიერ ნიჟნი - ნოვგოროდის უდიდესი ავტო - ქარხნის პროექტის დამუშავების საქმე. საბჭოთა 50 ინჟინერი, ნიჟნი - ნოვგოროდის ავტო - ქარხნის მომავალი ტეხნიკური ხელმძღვანელები, ჯგუფებად დანაწილებულნი, მუშაობენ ფორდის ქარხნების სხვადასხვა სახელოსნოებში, (დეტროიტში), სადაც ისინი სწავლობენ წარმოების მეთოდებს და ხერხებს. ფორდი ისეთი ტემპით ადგენს პროექტს, რომ იანვრამდე უკვე შეიძლება სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელობა და პროექტის შესადგენად საჭირო ცნობები გადავცეთ მეორე ამერიკულ ფირმას—ოსტინის ფირმას, რომელმაც იკისრა ავტო-ქარხნის სამშენებლო პროექტის შედგენა.

ქარხნის ადგილმდებარეობის საერთო გეგმა დამუშავებულ და შეთანხმებულ იქნა ფორდთან. პროექტით გათვალისწინებულია ქარხნის პროდუქციის ერთი ორად გადიდება — წელიწადში 240-250 ათას მანქანამდე, ხოლო განუწყვეტელი საწარმოო კვირის პირობებში — 280.000 მანქანამდე.

ფორდთან სწარმოებდა მოლაპარაკება მის ქარხანაში, სწავლების მიზნით, მრავალი ჩვენი მუშის მოთავსების შესახებ. რამდენადაც პირველი მოლაპარაკებიდან სჩანს, ფორდი დადებითად შეხვდა ამ წინადადებას.

მუშების მიღება პარტიაში

არტემოვსკი, 14 ნოემბერი. ოქტომბრის დღეებში 516 მუშამ (10-დან 35 წლამდე საწარმოო სტაჟით) შემოიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. (ადს)

საბჭოთა აპარატის შემოწმება და წმენდა

მოახლოვდა წმენდის დაწყების დრო--გავაძლიეროთ მოსამზადებელი მუშაობა

ა.-კ. ფინსახკომში წმენდა უკვე დაიწყო

ყოფილი ვაჭრები და კომბინატორები ინვალიდთა კოოპერაციაში

> „სახელმწიფო აპარატის წმენდისა და შემოწმების მთელი მუშაობა უნდა გამომდინარეობდეს იქიდან, რომ წმენდა მიზნად ისახავს სახელმწიფო აპარატის თვისობრივ გაუმჯობესებას გაწმენდილთა ადგილას ახალი ცოცხალი პროლეტარული ძალების მიზიდვის საშუალებით“. (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. დადგენილებიდან)

საბჭ. აპარატის გამწმენდ რესპ. კომისიაში

13 ნოემბერს ამხ. გ. დევდარიანის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანურ კომისიის სხდომა. რომელზედაც მოსმენილ იქნა მთელი რიგი საინფორმაციო მოხსენებები საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა საქ. სოცდაზღვევის კომიტეტის გამწმენდი კომისიის წარმომადგენელი ამხ. ვ. ანთიძე გამოირკვა, რომ სოც. დაზღვევის კომიტეტში წმენდა გაიარა სულ 24 თანამშრომელმა. აქედან ერთი, როგორც უღირსი მოხსნილია სამსახურიდან, 4 თანამშრომელი გამართლებულ იქნა და 19-ს კი მიეცა უკანასკნელი გაფრთხილება უფრო დაბალ თანამდებობებზე გადაყვანით. წმენდის დროს გამოირკვა, რომ სოცდაზღვევის კომიტეტში გამეფებული ყოფილა პროტექციონიზმი და თავის მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

3. მხებელ ამხანაგების მივლინება ადგილებზე

ამხ. გ. დევდარიანმა აცნობა კომისიას, რომ ოლქებში და მაზრებში საბჭოთა აპარატის წმენდის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად ადგილებზე მივლინებული იქნა 10 ამხანაგი.

ეს ამხანაგები ადგილებზე გაემგზავრნენ ნოემბრის პირველ რიცხვებში და ამჟამად მათგან უკვე მიღებულია ცნობები, რომ ადგილებზე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აპარატის წმენდის მოსამზადებლად.

რესპუბლიკანურმა კომისიამ დაადგინა აცნობოს ადგილებზე დაგზავნილ ამხანაგებს, რომ მათ პირადათ უნდა უხელმძღვანელონ ფინანსთა და მიწადმოქმედების ორგანოების აპარატის წმენდას.

მიწსახკომის და ფინსახკომის აპარატების წმენდა გადადებულია

რესპუბლიკანური კომისიის სხდომაზე გამოირკვა, რომ პროფკავშირებმა თავის დროზე ვერ მიიღეს ზომები, საბჭოთა აპარატის მუშაობის შემსწავლელი მუშათა ბრიგადების მოსამზადებლად და ამ გარემოებამ გამოიწვია მიწადმოქმედების და ფინანსთა სახ. კომისარიატების ორგანოების საქმიანობის შესწავლის გაჭიანურება. უკანასკნელ ხანებამდე ვერ მოხერხდა მუშათა ბრიგადების წევრთა განთავისუფლება წარმოებიდან; მათ არ ჰქონდათ საშუალება, რომ შესდგომოდენ აღნიშნული ორგანოების მუშაობის საფუძვლიან შესწავლას.

რესპუბლიკანურმა კომისიამ დაადგინა მიწსახკომის და ფინსახკომის ორგანოების წმენდის ვადათ დანიშნოს 17-დან 25 ნოემბერი.

რესპუბლიკანურმა კომისიამ სასურველად და მიზანშეწონილად სცნო გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორების მიმაგრება მუშათა ბრიგადებზე, რაც ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას საბჭოთა აპარატის წმენდის გარშემო.

გამწმენდი კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნა

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოების გამწმენდი კომისიის თავმჯდომარედ რესპუბლიკანურმა კომისიამ დანიშნა ამხ. ვალ. მეტონიძე.

შრომის კომისარიატის აპარატის გამწმენდი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ლევან ენუქიძე.

ადგილები დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობისათვის

რესპუბლიკანურ კომისიაში შემოვიდა შუამდგომლობა, რომ წმენდის შემდეგ განთავისუფლებული ადგილების 20 პროცენტი დაეთმოს დემობილიზაციაქმნილ მეთაურთა შემადგენლობას.

რესპუბლიკანურმა კომისიამ წინადადება მისცა ადგილებს ამ თავითვე დაიწყონ მუშაობა განთავისუფლებული ადგილების შესავსებათ სათადარიგო უფშემადგენლობისათვის. დემობილიზაციაქმნილი უფშემადგენლობის სამსახურში მიღება უნდა მოხდეს იმისდამიუხედავად, თუ რამდენი დემობილიზაციაქმნილი მუშაობდა დაწესებულებაში წმენდის ჩატარებამდე, ან რამდენი დარჩა წმენდის შემდეგ.

წმენდა ამიერ-კავკასიის ფინსახკომში დაიწყო

ამიერ-კავკასიის სახ. კომისარიატის აპარატის გამწმენდ კომისიის მეორე საჯარო სხდომაზე, 13 ნოემბერს საღამოს, გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. იაკნეტინსკიმ დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ აპარატის წმენდის მიზანი და წმენდის ტეხნიკა. შემდეგ მისივე წინადადებით მოსმენილი იქნა ამიერკავკასიის ფინან. სახ. კომისარიატის საგადასახადო სამმართველოს უფროსის ამხ. კირილოვის მოხსენება სამმართველოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი სამმართველოს მუშაობის შესახებ. ორატორებმა აღნიშნავდნენ, რომ გასაწერ გადასახადების ამონაკარიშების დროს სამმართველო ცდილობს შეამციროს გასაწერი თანხა, რაც არაერთხელ იყო აღნიშნული ცენტრის მიერ. მაგ. გასულ წელს სამრეწველო გადასახადი გამოხატულებული იქნა 38 მილიონის რაოდენობით. შემდეგ კი ეს თანხა გადიდებული იქნა 42,8 მილიონამდე. კერძო სექტორის გადასახადის ჯამი წელს გადიდებულია 100 პროცენტით, რაც ნათლად ამტკიცებს, რომ წინა წლებში ეს სექტორი სათანადოთ არ იბეგრებოდა. გასულ წლებში დაუბეგრავი დარჩა ქალაქისა და სოფლის კულაკური ელემენტის საგრძნობი ნაწილი. თბილისში, მაგალითად, დაუბეგრავი დარჩა ისეთი დიდი ვაჭრები, როგორიც [illegible]ლოვი, ლაღიძე, შარმაზანოვი, გულისაშვილი და სხ. საგადასახადო ნარჩენების თანხა იზრდება. იგი გასულ წელს უდრიდა 11 მილიონ მანეთს. აქედან კერძო სექტორზე ირიცხ[illegible] და 8 მილიონი. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ნარჩენების ასაკრებად სამმართველო წლის დამლევამდე არ მიმართავს რეალურ და გადამჭრელ ზომებს. კერძო ვაჭრები კი წლის დამლევისათვის ჰკეტავენ თავის წარმოებას, მალავენ ქონებას და ამრიგად იძვრენენ თავს გადასახადისაგან. სამმართველო სათანადო ყურადღებას არ აქცევს საღერბო გადასახადის [illegible] სარწყავი წლის გამოსაღების და თვით [illegible] რის საქმის მოგვარებას და სხვ.

[illegible] ხსნებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კომისია შეუდგა აპარატის მუშაობის წმენდას.

პირველად გამოძახებული იქნა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უფროსი ინსტრუქტორი მიქაშავიძე.

იგი გაბედულად ადის სცენაზე. ეწყება მოლაპარაკება, დინჯათ უყვება კომისიას თავის ბიოგრაფიას. დამთავრებული აქვს გიმნაზია, მოწაფეობიდანვე ჩაება პოლიტიკურ მუშაობაში—მენშევიკურ პარტიაში მუშაობდა ბაქოში. ბაქოს ამბების დროს ორგანიზაციასთან მოუხდა უთანხმოება. მოეწყო აქტიურ მუშაობას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, შემდეგ კი ფინსახკომ სახ. კომისარიატში.

მას აძლევენ შეკითხვებს: რა საკითხის გამო მოგიხდა უთანხმოება პარტიასთან, რატომ არ გამოაცხადე თავი პარტიის გარეშე, როგორი აზრისა ხარ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ?

შეკითხვებზე მიქაშავიძე უპასუხებს—თუ როგორი შეხედულებისა ვარ არსებულ ხელისუფლებაზე, ამის პასუხი უნდა გამოიტანოთ მთელი ჩემი მუშაობიდანო.

დაწინაურებული მუშა ამხ. ელბაქიძე მიქაშავიძეს ახასიათებს როგორც კარგ მუშაკს და საქმის ზედმიწევნით მცოდნეს, მაგრამ ეჭვის თვალით უყურებს მის პოლიტიკურ მრწამსს.

კომკავშირელი ადეიშვილი აცხადებს, რომ მიქაშავიძე სათანადოდ ვერ ექცევა დაწინაურებულ მუშას ელბაქიძეს, კარგად ვერ უხსნის ზოგიერთ გაუგებარ საკითხებს. სტატისტიკური მასალების დამუშავების დროს იგი დროებით მოწვეულთა შორის არჩევდა ისეთებს, რომლებისადმი მეტ სიმპატიას გრძნობდა. დაჟინებით უპასუხებენ, რომ დროებით სამუშაოზე მუშაკები ყველა გადმოგზავნილი იყვნენ შრომის ბირჟიდან.

სამმართველოს უფროსი და სამმართველოს მუშაკები მიქაშავიძეს ახასიათებენ როგორც საუკეთესო მუშაკს და პარტიისა და ხელისუფლების ხაზის მტკიცე დამცველს. მისი გამოკვლევები ყოველთვის საქმიანი და დაკვირვებული იყო. გამოკვლევის დროს იგი დაუნდობლად ამხელს ყოველგვარ დამახინჯებას და დაუდევრობას. ასეთი დაუნდობელი მხილებისათვის ამხ. მიქაშავიძე ადგილებზე მიჩნეული ყავთ მკაცრ რევიზორ-ინსტრუქტორად და ცდილობენ თავიდან აიცილონ მისი რევიზია.

გამოკვლევების შედეგად მიქაშავიძემ მოითხოვა მეცხვარეთა დაბეგვრის საკითხის გადასინჯვა, ვინაიდან მეურნეობის ამ დარგის დაბეგვრის არსებული წესი უარყოფით გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. ამავე წესით მის მიერ აღძრულია რამდენიმე სხვა საყურადღებო საკითხი.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს საღამოს.

ინვალიდთა კოოპერაცია საეჭვო პირების ხელში

ჩვენ პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ ინვალიდთა არტელებში და კოლექტივებში მოკალათებულია ყოფ. ვაჭრები და ბნელი ელემენტები. ამ არტელებს და კოლექტივებს საფუძვლიანი გამოკვლევა ესაჭიროებათ. იქ ბევრი აღმოჩნდება ისეთი, რომლებიც რკინის ცოცხით უნდა იქნენ გაძევებული კოოპერაციიდან.

ინვალიდთა კოოპერაციას ორ წელზე მეტია მეთაურობს ცრუ-კოოპერატორი გ. დარჩია, რომელმაც თავისი უთაურობით დაღუპვამდე მიიყვანა იგი.

დარჩია მოიღალა მუშაობით (?) და მას უგზავნიან დამხმარედ მ. თუმანოვს. პირველ-ყოვლისა იწყება „აპარატის წმენდა“. გარედ ერეკებიან „არასაიმედოებს“ და მათ ნაცვლად იწვევენ „საიმედო“ ყოფილ ხალხს.

აპარატის „წმენდა“ ჩატარეს. დაიწყო „მუშაობა“. უმეტეს დროს „კოოპერატორები“ ქეიფში ატარებენ. შემუშავებულია ცხრილი, თუ როდის და ვისთან უნდა ისადილონ და ივახშმონ.

საწარმოო ფინანსიური გეგმის შესრულება? არტელებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა? ზრუნვა ორგანიზაციის განმტკიცებაზე და არტელების უცხო ელემენტებისაგან გაწმენდაზე? სრულიად არ არის განწყობილი „სპეცი კოოპერატორი“ დარჩია ყოველივე ამაებზე იფიქროს. თუმანოვი ყოველთვის „ავად არის“ (ალბად მეტად შესარგი სმა-ჭამის შემდეგ).

ხომ არ შეიძლება მაინც, რომ დაწესებულება სრულიად უპატრონოდ იყოს? მოქ. შ. გაგუა, რომელიც დარჩიამ მიიწვია სამსახურში მისი ძლიერების განსამტკიცებლად და საქმეებისაგან (?) განსატვირთავად, სწერს ქაღალდებს არტელების სამრეწველო საქონლით და ნედლეულით მომარაგების საკითხის მოწესრიგების შესახებ.

ასეთი მართვა-გამგეობით „კოოპინკავშირი“ სრულ დეზორგანიზაციამდე და გახრწნამდე მივიდა. ვითარდება სპეკულიაცია, კომბინაციები და სხვ. ბოროტმოქმედებანი. ჩვენ იქ ვხვდებით ისეთ უმსგავსოებას, როგორიცაა: არტელ „აგუნა“-ს თავმჯდომარის გ. ჩუბინაშვილის ბნელი კომბინაციების მიჩქმალვა, არტელ „ჯარა“-ს თავმჯდომარის მოქ. შმიდტის სპეკულიანტობის დაფარვა (სალიცენზიო და დეფიციტიანი საქონლით სპეკულიაციისათვის იგი პოლიტსამმართველოში ზის); აღსანიშნავია თეთრი თუნუქის საქმე (ეს თუნუქი საკმაოდ დიდი რაოდენობით მიჰყიდა კერძო პირებს არტელ „რეკორდმა“). რომელსაც სამ თვეზე მეტია ჯიბით ატარებს თუმანოვი და მსვლელობას არ აძლევს.

აღვნიშნავთ კიდევ იმ 90.000 მანეთის ბედს, რომელიც „კოოპინკავშირმა“ მიიღო სესხის სახით სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატიდან. ეს თანხა გაწილებულ იქნა არტელთა შორის სრულიად მიზანშეუწონლად და ეხლა ირკვევა, რომ თანხის 50 პროცენტი დაკარგულია, რადგან შეუძლებელია მისი ამოგება.

საერთოდ „კოოპინკავშირში“ საქ. დისციპლინის განმტკიცებაზე არავინ ფიქრობს. სესხი ისე ნაწილდება არტელებს შორის როგორც მესვეურთა მოეპრიანებათ. ზოგს აძლევენ ათასობით, ზოგს კაპეიკსაც არ აძლევენ, ამასთანავე სესხს აძლევენ ისეთ არტელებს, რომელთა ფინანსიური მდგომარეობა გამოურკვეველია. ამის შედეგია ის, რომ ბევრი მათგანი წაღებულ ფულს ვეღარ აბრუნებს.

თუ როგორია ამ ორგანიზაციაში დაყენებული საფინანსო მეურნეობა, იქიდანაც სჩანს, რომ მას აქამდე არ მოეპოვება არტელების მთლიანი ბალანსი, ე. ი. ცენტრმა არ იცის საკუთარი სისტემის ფინანსიური მდგომარეობა.

ფასების პოლიტიკაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. არტელების უმეტესი ნაწილი არ განსხვავდება კერძო სავაჭროებისაგან. ან კი როგორ უნდა გატარდეს ფასების პოლიტიკა, როდესაც არტელებს ვაჭრები, კომბინატორები და გენერალ-პოლკოვნიკები მეთაურობს. ავიღოთ თუ გნებავთ არტელ „სოლიდარობის“ თავმჯდომარე მოქ. ქავჟარაძე,—გამოქექილი კომბინატორი, რომელმაც ლოტოების მოიჯარადრედ ყოფნის დროს კარგა თანხას აკრა ხელი და რამდენიმე სახლი შეიძინა, თვით „კოოპინკავშირი“-ს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ახალაძე ხომ სტაჟიანი ვაჭარი იყო წარსულში, რომელმაც შემდეგ პარტიაში გაძრომაც მოახერხა.

მთელ რიგ კომისიებმა, რომელთაც აწარმოეს „კოოპინკავშირის“ გამოკვლევა, აღიარეს, რომ ორგანიზაცია დაღუპვის კარზე სდგას.

თუმანოვი და ახალაძე მოხსნილნი არიან სამსახურიდან. ახალაძემ პარტიასაც დაუკრა თავი.

მაგრამ განა საკმარისია ეს? განა მარტო თუმანოვი და ახალაძეა დამნაშავე ამ უბედურებაში?

საჭიროა ინვალიდთა კოოპერაციის აპარატის საფუძვლიანად შემოწმება და გაწმენდა. საჭიროა მისი სისტემის დეტალური გამოკვლევა და ორგანიზაციის სწორ გზაზე დაყენება.

კალმის ფვერი.

როგორ ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში და „ზაკგოსტორგ“-ში

ამ დღეებში დაიწყო ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის და ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზ-ბის („ზაკგოსტორგი“-ს) აპარატების წმენდა.

წმენდის წინ ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შესახებ წმენდის დამხმარე კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მირონოვმა და მსუბუქი კავალერიის წევრებმა შემდეგი გვაცნობეს:

პირველ ხანებში მუშაობა წმენდის გარშემო უხალისოდ მიმდინარეობდა, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც მუშათა ბრიგადები და სამეულები გაეცნენ საქმეებს, მუშაობის ტემპი გაძლიერდა. აპარატის ცალკე განყოფილებათა და მუშაკების შესასწავლად თვეიდანვე გამოყოფილი იქნა 22 კომისია (სამეული). ამ კომისიებმა 2 თვის განმავლობაში ზედმიწევნით შეისწავლეს როგორც აპარატი, ისე ცალკე მუშაკები. მათი მასალების მიხედვით შედგენილია თვითეული მუშაკის დახასიათება. წმენდის გარშემო დაგროვილი მასალები სისტემატიურად თავსდებოდა კედლის გაზეთში. მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულია დამაკმაყოფილებლად. მუშათა სამეულების მიერ დაგროვილია დიდძალი მდიდარი მასალა, რომელიც კომისიას საშუალებას მისცემს გაიჯანსაღოს აპარატის მუშაობა და განდევნოს აპარატიდან უცხო და მავნე ელემენტები.

აპარატის მუშაობის დეფექტები

მუშათა სამეულების, მსუბუქი კავალერიის და დამხმარე კომისიის მიერ ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის და „ზაკგოსტორგი“-ს მუშაობაში აღმოჩენილია მთელი რიგი დეფექტები, საქმის გაჭიანურების და ბიუროკრატიზმის უმსგავსო ფაქტები:

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს დღემდე არ აქვს დამტკიცებული დებულება; საკმაოდ გარკვეული არ არის საგეგმო მუშაობის საკითხები და ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატისა და კომისარიატის რწმუნებულების (რესპუბლიკებში) ურთიერთობა; დაწესებული არ არის კოოპერატიულ ორგანიზაციების მტკიცე პასუხისმგებლობა ბაზრის მოწესრიგებისათვის; სამაგიეროდ ადგილი აქვს ამ ორგანიზაციებისადმი წვრილმან მეურვეობის შემთხვევებს, რის გამო ხშირად ეწყობა ზედმეტი თათბირები და სხვ. აპარატის ხელმძღვანელთა შორის ადგილი აქვს დიდ ცვალებადობას (ერთი წლის განმავლობაში გამოიცვალა იქნა ნედლეულის სამმართველოს 5 უფროსი), რაც უარყოფით გავლენას ახდენს მუშაობაზე; პარტიულ მუშაკების რაოდენობა აპარატში საკმაო არ არის; არ სწარმოებს მუშათა დაწინაურება, (არის მხოლოდ ერთი დაწინაურებული მუშა) მთელი რიგი მუშაკები არ შეეფერებიან თავის თანამდებობას.

„ზაკგოსტორგ“-ში სპეციალისტებად ღებულობდნენ სრულიად მოუმზადებელ პირებს, რომლებიც „ზაკგოსტორგ“-ს ხარჯზე სწავლობდნენ და იძენდნენ სპეციალობას, რასაც თან სდევდა ორგანიზაციის წამოწყებათა არა ინტენსიურად გაშლა და ხშირი დაზიანება.

„ზაკგოსტორგ“-ში უკანასკნელ დრომდე ფართოდ აძლევდნენ ავანსს თანამშრომლებს და შემდეგ არავინ ზრუნავდა გაცემულ ფულის ანაზღაურებაზე, რის გამო ამჟამად საკმაო თანხა ირიცხება „ზაკგოსტორგი“-დან წასულ თანამშრომლებზე.

მიმდინარე წლის ზაფხულზე, როდესაც თბილისის ბაზარზე კვერცხის დიდი მოთხოვნილება იყო, „ზაკგოსტორგ“-მა ბაზარზე გამოიტანა 35,5 ათასი ლაყე კვერცხი. მან იცოდა, რომ კვერცხების ეს პარტია მისივე დაუდევრობით გაფუჭებული იყო და შეეცადა უვარგისი საქონლის გასაღებას.

„ზაკგოსტორგი ხელშეკრულების დადების დროს უგარანტიოთ აძლევს თავის აგენტებს ავანსებს. ამ გზით მას გაცემული აქვს ავანსი 2.800.000 მან. რაოდენობით. ამ თანხიდან ვადაზე შესრულებულია მხოლოდ 700.000 მანეთის ხელშეკრულება, დანარჩენი კი დატოვებულია შეუსრულებლად. ამ თანხებში „ზაკგოსტორგი“ იხდის სარგებელს 10 პროც. კლიენტებისაგან კი ღებულობს მხოლოდ 3 პროცენტს.

მოუწესრიგებელია „ზაკგოსტორგ“-ის ბუღალტერიის მუშაობა. წლის განმავლობაში მთავარი ბუღალტერი დიდ დროს ანდენს სხვადასხვა წვრილმან საკითხებზე, (ვინ რამდენჯერ გახდა ავად და წავიდა შვებულებაში, რამდენი მუშა-დღე დაიკარგა, ასეთი შემთხვევების გამო და სხვ.) და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ანგარიშწარმოების დაჩქარებას. ხოლო წლის დამლევს მთავარი ბუღალტერი ყოველთვის თხოულობს ზედმეტ მუშაობის ნებართვას ბალანსის დროზე შესადგენად, რაზედაც ყოველწლიურად იხარჯება 10-15 ათასი მანეთი.

გამოძახილი წერილებზე

განმარტება

ჩვენი გაზეთის № 53 მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ყოფილი მამასახლისი—პენსიონერი“. როგორც ამიერ-კავკასიის საგზაო დამზღვევი სალარო იტყობინება, წერილში მოხსენებულ სოსო ხუციევის შეჩერებული აქვს პენსია. აღნიშნულ ხუციევს არავითარი საერთო არ აქვს იოსებ (სოსო) ალექსის ძე ხუციშვილთან, რომელიც ეხლაც ირიცხება ამიერ-კავკასიის რ.-ნის გზის დამზღვევ სალაროს პენსიონერად.

წერა-კითხვის უცოდინარობა სოციალისტური მშენებლობის ძლიერი მტერია

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის კვირეული უნდა გადაიქცეს მძლავრ იერიშად ძველი წყობილების ამ მავნე მემკვიდრეობის წინააღმდეგ

თვითეულ შეგნებულ საბჭოთა მოქალაქემ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაში

გაძლიერებული იერიშებით წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ

მუშებო, გლეხებო, წითელ არმიელნო და ყველა საბჭოთა მოქალაქევ!

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობის გზაზე მშრომელ მასას ხელს უბორკავს სიბნელე, უვიცობა და წერა-კითხვის უცოდინარობა. ეს ის შავბნელი მემკვიდრეობაა, რომელიც უანდერძა მას მეფის რეჟიმმა თავის მრავალსაუკუნეთა ბატონობის შედეგად. წერა-კითხვის უცოდინარობა, კულტურული უმეცრება და სიბნელე დღეს ერთ ერთი მთავარი შემაფერხებელი გარემოებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის აღორძინების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საერთოდ საბჭოთა მშენებლობისათვის. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ სენს თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა, ხოლო ხუთწლიანი გეგმის გატარებასთან ერთად მთელი თავისი სიმწვავით დასვა კულტურული რევოლიუციის საკითხი. ჩვენი ქვეყნის გიგანტური მშენებლობა მოითხოვს ყველა ცოცხალი ძალების აქტიურ შეგნებულ მონაწილეობას ამ საერთო საქმეში, მუშა, გლეხთა და მშრომელ ინტელიგენტურ ძალების ერთმანეთთან შედუღებას და მჭიდრო დარაზმვას ამ საერთო მიზნისათვის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პირობა ჩვენი წინსვლისა, ეს არის ერთ-ერთი საფუძველი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა.

კულტურულ სიბნელის, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად იხარჯება საგრძნობი თანხები და მუშაობენ ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი ძალები. მაგრამ ამ ბრძოლამ დღემდე ვერ მოგვცა საჭირო შედეგი; წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, მშრომელი ძალების სიბნელის დაძლევა შეიქმნა ძალიან ძნელი და მას დასჭირდა გაცილებით მეტი ძალები, გაცილებით მეტი ხარჯები. რამდენად მასიურია ეს სენი, იმდენად ენერგიული და სისტემატიური ბრძოლაა საჭირო მის წინააღმდეგ. დღეს უკვე ცხადი გახდა, რომ მარტო სახელმწიფოებრივი ძალებით ამ სენთან გამკლავება შეუძლებელია. ამ საერთო მტრის დასაძლევად საჭიროა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ძალების გაერთიანება. მუშა, გლეხი, ყოველი პატიოსანი მშრომელი ქალი თუ კაცი უნდა ჩაებას ამ ბრძოლაში. ამ ბრძოლის გარეშე ვერ დარჩებიან ვერც ჩვენი სამეურნეო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა ნივთიერ დახმარებას შეუძლია მეტად შეუწყოს ხელი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დაჩქარებას.

საზოგადოება „წერა-კითხვა“, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ძალთა მთავარ ხელმძღვანელ ცენტრს ამ ფრონტზე, მოუწოდებს ყველას საერთო ძალღონით გადამწყვეტი იერიში მიიტანონ უკულტურობისა და სიბნელის წინააღმდეგ. საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს კვირეული, რომელიც იწყება ნოემბრის თუთხმეტიდან, გულისხმობს თავი მოუყაროს და დარაზმოს ჩვენი ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები, მუშები, გლეხები, მშრომელ ინტელიგენცია, წითელ არმიელები და მოსწავლე ახალგაზრდობა და მათი საშუალებით გარდამწყვეტი შეტევა აწარმოვოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ფრონტზე.

მუშებო, გლეხებო, წითელ არმიელებო და ყველა მშრომელო ინტელიგენტებო, შემჭიდროვებული რიგებით, გაასკეცებული ენერგიით შეუტიეთ მშრომელთა საერთო მტერს, წერა-კითხვის უცოდინარობას, უკულტურობას და ჩამორჩენილობას. ყველანი დაირაზმეთ საზოგადოება „წერა - კითხვა“-ს რიგებში. ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა.

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას და ფართო მშრომელი მასების სწავლა-განათლებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს, კომუნიზმს!

საზ—ბა „წერა-კითხვა“-ს კვირეულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია.

სიბნელიდან სინათლისაკენ

ის, ვინც წერა - კითხვა არ იცის, ვერ გაერკვევა ცხოვრების ავ-კარგიანობაში.

ის, ვინც წერა - კითხვა არ იცის ვერ წაიკითხავს იმ ნაწერებს, რომელიც გვასწავლის, როგორ უნდა ბრძოლა მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ.

წერა - კითხვის უცოდინარობა არის უკულტურობა, რომელშიც ბრალი მიუძღვის მშრომელი ხალხის მტრებს.

მუშურ - გლეხური მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს კულტურულ-განმანათლებელ საქმეზე; მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის წვლილი. ამიტომ „წერა - კითხვის“ საზოგადოება დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში მართავს კვირეულს, რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება წერა - კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმეს.

წერა - კითხვის უცოდინარობა უდიდესი მტერია მშრომელი ხალხისათვის. ის ხელს უშლის და აფერხებს სოციალისტურ აღმშენებლობას, — ის დაძლეული უნდა იქნეს აუცილებლად.

ქ. ხომერიკი.

სახელმძღვანელოების უქონლობა აფერხებს მუშაობას

(ქუთაისის ოლქი)

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის უდიდეს ყურადღებას აქცევს ქუთაისის საოლქო პარტიული კომიტეტი, პროფკავშირთა საბჭო და პოლიტგანი. გაძლიერებული ტემპით, გამახვილებული ყურადღებით დამუშავდა დაწვრილებითი კონკრეტული გეგმა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, მართალია, დავაგვიანეთ, მაგრამ ამ დაგვიანებას ხელს უწყობს სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ ქუთაისის ოლქის განათლების განყოფილებას დღემდე არა აქვს მიღებული სახელმძღვანელოები, ძნელია იმის თქმა, რა არის ამის მიზეზი, ყოველ შემთხვევაში ეს ყოვლად დაუშვებელი ფაქტია.

კიდევ რამოდენიმე დღით სახელმძღვანელოების დაგვიანება დიდათ შეაფერხებს აღფრთოვანებით წამოწყებულ საქმეს. დეპეშები თბილისში ამ საკითხის მოსაგვარებლად ბევრი გაიგზავნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

მთელი რიგი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციოდ უკვე დამთავრდა: პროფკავშირებმა გამოყვეს პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც პოლიტ-განის ინსტრუქტორებთან ერთად 24 ოქტომბერს გაემგზავრნენ რაიონებში ამ საქმის დაკვირვით წესით მოსაგვარებლად.

1929—30 წლის განმავლობაში ქუთაისის ოლქში უნდა მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 33.028 კომკავშირელ წევრებს და შეუკავშირებელ მასებს შორის. ამ საქმის შესასრულებლად მტკიცე და გარკვეული ხაზია გადადგმული, ახლა მოსავალი დაგვანახვებს, როგორ ნაყოფს გამოიღებს ამ მხრივ მიმართული საქმიანობა.

ნ. შიოშვილი.

განათლების მუშაკო, შენი ადგილი სკოლის ასაკამდე ლაშქრობის პირველ რიგებშია

რა გაკეთდა

(სენაკის მაზრა)

15-დან 39 წლამდე ასაკის მოსახლეობას შორის სენაკის მაზრაში 17.246 წ.-კ. უცოდინარია, მათ რიცხვში 12.767 ქალია.

ორი წლის განმავლობაში სენაკის მაზრაში უნდა აღმოიფხვრას წერა - კითხვის უცოდინარობა. კერძოთ მიმდინარე სამოსწავლო წელში წერა - კითხვა უნდა შეისწავლოს 9.000 უცოდინარმა. ამათგან 5.000 გაივლის ლიკსკოლებს ხოლო 4.000 უცოდინარს წერა-კითხვას შეასწავლიან ინდივიდუალურად და ჯგუფურად წერა - კითხვის მცოდნენი განათლების და საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის ხაზით.

ამ მიზნით სწარმოებს სათანადო მუშაობა და გვჯერა, რომ ინდივიდუალურად შესწავლის მეთოდი გამოიღებს სათანადო ნაყოფს.

სალიკვიდაციო სკოლები გაიხსნება 200. აქედან სენაკის რაიონში 70, აბაშის — 30 და მარტვილის — 100.

ამ გეგმის მთლიანად განხორციელებისათვის უნდა დაიხარჯოს 30.800 მანეთი, რომლის შორის 50 პროც. ადგილობრივ ბიუჯეტზე ეყარება, ხოლო დანარჩენი კი ორგანიზაციებს და საზოგადოებებს.

გარდა ამისა წელს მაზრაში გაიხსნება 15 მცირემცოდნეთა ლიკსკოლა. ამ სკოლების შენახვა დაჯდება 3.762 მანეთი. სულ ამ მიმდინარე წელს უნდა დაიხარჯოს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეზე 34.562 მანეთი.

ამნაირად, დიდად სერიოზული საქმის წინ ვსდგევართ. უნდა დავრაზმოთ ყველა პარტიული და უპარტიო ძალები ისე, რომ დასახული საქმე წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის დავამთავროთ მშრომელი მოსახლეობის საკეთილდღეოთ.

ბანი.

ყველა კულტურული ძალები წ.-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ

(ზუგდიდის მაზრა)

ზუგდიდის მაზრაში წერა - კითხვის უცოდინარობის სრული აღმოფხვრა უნდა დამთავრდეს 1930 — 1931 წელს. ამჟამად ირიცხება სულ 21.640 უცოდინარი. მტკიცედ არის გადაწყვეტილი, რომ ამ რიცხვიდან მიმდინარე სასწავლო წელს წერა - კითხვა შეისწავლოს 13.000 უცოდინარმა. ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი გეგმა: 1.400 მასწავლებელი უფასოდ შეასწავლის წ.-კითხვას 6.000 უცოდინარს. ა. ლ. კ. კ. სამაზრო ორგანიზაცია — 1000, ექიმები, ექიმის თანაშემწენი, აგრონომები, აგრო - ტეხნიკოსები, კოოპერაციის და საბჭოთა მუშაკები, ფ.-ტელეგრაფის, გლეხკომის და სახდაზღვევის თანამშრომლები — 2.800, 106 ფასიან ლიკპუნქტში წ.-კ. შეასწავლის 3.200 კაცი.

განზრახულია მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო 10 სკოლის გახსნა, რომლებშიაც გატარდება 310 მცირემცოდნე.

წ.-კ. უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის აღმოფხვრის საქმისათვის (106 ფასიან ლიკპუნქტის, 10 მცირე მცოდნეთა სკოლის მასწავლებელთა ხელფასით, ყველა სკოლის უზრუნველყოფა სასწავლო ხელსაწყოებით და კონფერენცია - თათბირები) შედგენილია ხარჯთ - აღრიცხვა, რომლის ჯამი უდრის 26.700 მანეთს. ამ ხარჯების დაფარვა გათვალისწინებულია შემდეგი წყაროებიდან: პროფკავშირებიდან — 1.000 მანეთი, სამომხმარებლო კოოპერატივებიდან — 10.000, საკრედიტო ამხანაგობებიდან — 3.000, სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტიდან — 10.000, საზ. „წერა - კითხვა“-ს შემოსავლიდან 2.000. სარეწაო კოოპერაციიდან 500 მანეთი. სულ 26.500 მანეთი. დასახული გეგმის განსახორციელებლად საჭიროა სახელმძღვანელოების დროზე მოწოდება. განსაკუთრებით მეგრულ ენაზე.

... ი.

სკოლის ასაკამდე აღზრდა გაამაგრებს პროლეტარულ დიქტატურას

ახალი ბაღები ბავშვებისათვის

დღეიდან იწყება სკოლის ასაკამდე ბავშვთა დამხმარე ლაშქრობა.

ლაშქრობის წარმატებით ჩატარების მიზნით პროფსაბჭომ ადგილობრივ პროფორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობები.

პროფორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ლაშქრობაში და ყოველმხრივ დაეხმარონ განათლების კომისარიატს საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაში.

ლაშქრობის მიზანი და დანიშნულება უნდა გააშუქონ მუშათა მასიურ კრებებზე, პროფორგანიზაციების პლენუმებზე და სხდომებზე.

ახლად გახსნილ ბაღებში პირველ რიგში უნდა მიიღონ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილე მუშების შვილები.

გარდა ამისა პროფორგანიზაციებს ევალებათ მუშათა კლუბებთან მოაწყონ ბავშვთა ოთახები, თავისუფალ დროს სათანადო დაწესებულებებს ბავშვთა სამეცადინოთ დაუთმონ კლუბები და წითელი კუთხეები.

ბავშვთა ოთახები საჭიროა მოეწყოს საბინაო ამხანაგობებთანაც.

ამასთანავე პროფორგანიზაციებმა უნდა გამონახონ საშუალებები, რომ მუშათა კლუბებთან მოეწყოს საბავშვო მოედნები და ბავშვთა კონსულტაციები.

უნდა ჩატარდეს ფართო კამპანია ბავშვთა დაცვის, მშობელთა ლოთობის და რელიგიურ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ.

ვინაიდან ლაშქრობა ხანგრძლივია, ამიტომ პროფორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ სისტემატიური მუშაობა იმისათვის, რომ არც ერთი მშრომელის შვილი არ დარჩეს საბავშვო დაწესებულებების გარეთ.

ამავე მიზნით უნდა გაიმართოს ფასიანი საღამო - წარმოდგენები, კონცერტები, და სხვ. და შემოსავალი მთლიანად უნდა გადაეცეს სათანადო ორგანიზაციებს სკოლის ასაკამდე აღზრდის ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად.

მშრომელნო, იბრძოლეთ საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებისათვის

კვირეულის ამოცანები

თანახმად საზოგადოების პირველი ყრილობის დადგენილებისა, საზოგადოება „წერა-კითხვა“ ამ თვის 15-დან იწყებს საზოგადოების კვირეულს. კვირეულის უმთავრესი ამოცანებია, რაც შეიძლება ფართო მშრომელი მასები აამოძრაოს და ჩააბას წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში, კვირეული გამოყენებული უნდა იქნეს საზოგადოების მოღვაწეობის მიღწევების და პერსპექტივების ფართოდ გაშუქებისათვის. როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების ფინანსიურად გამაგრებას.

კვირეულის ნაყოფიერად ჩატარებისათვის საჭიროა ჩვენი ორგანიზაციები განმარტოებული არ დარჩნენ ამ მუშაობაში. მათთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საქმეში ყველა ადგილობრივ ორგანოებმა. კვირეულის ჩატარებაში უნდა დაგვეხმაროს მოსწავლე ახალგაზრდობა. ჩვენი საზოგადოების აქტივი სოფლად უმთავრესად არის მასწავლებლები და კომკავშირელები. მათი საშუალებით საზოგადოების ირგვლივ შემოკრებილი უნდა იქნას მუშათა და გლეხთა ფართო მასა.

თავი და თავი ამოცანაა ჩვენი საზოგადოების მუშაობის გაღრმავება სოფლად. ჩვენმა სამაზრო საოლქო სარაიონო გამგეობებმა თანახმად ყრილობის დადგენილებისა, მუშაობის მთელი სიმძიმე უნდა გადაიტანონ სოფლებში, უშუალოდ გლეხურ მასებში, თავი უნდა დააღწიონ კარჩაკეტილ მუშაობას.

საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს როგორც ფასიანი ისე უფასო ინდივიდუალური ჯგუფური მეცადინეობის მოწყობა-გაფართოებას. კვირეულის დროს გადასინჯული უნდა იქნას ყველა ლიკსკოლები იმ მიზნით, თუ რამდენად შევსებულია ისინი უცოდინარობით, ხომ არ დარჩა ვინმე ამა თუ იმ სოფელში უცოდინარი, რომლის ჩაბმაც შეიძლებოდა ლიკსკოლაში, უნდა დავარწმუნოთ ესა თუ ის უცოდინარი, რომელიც თავისი შეუგნებლობით გვერდს უვლის ლიკსკოლას, რათა მან შეისწავლოს წერა-კითხვა. ამასთან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კვირეულის დროს ახალი ჯგუფების ჩამოყალიბებას, სადაც ეს საჭირო არის.

კვირეულის განმავლობაში საფუძველი უნდა ჩაეყაროს ინდივიდუალურ მეცადინეობასაც. ეს საჭიროა იქ, სადაც ჯგუფების მოწყობა არ შეიძლება, ან ლიკსკოლის გახსნა არ ხერხდება. კვირეულის დროს საფუძველი უნდა ჩაეყაროს აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების შემოღებას იქ, სადაც ასეთი ჯერ ცხოვრებაში გატარებული არაა; სოციალისტური შეჯიბრებაში. უნდა გამოიწვიოს ოლქმა ოლქი, მაზრამ მაზრა, რაიონმა რაიონი და უჯრედმა უჯრედი, მაგალითი უნდა იქნეს აღებული ჩვენი საზოგადოების ქუთაისის საოლქო გამგეობიდან, რომელმაც სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია თბილისის საოლქო საზოგადოების გამგეობა და პირობად დაუდვა 3.000 უცოდინარისათვის წერა-კითხვის სწავლება. კვირეულის განმავლობაში ასეთი გამოძახება უნდა მოხდეს ყველა მაზრებს, ოლქების და რაიონების შორის, სოციალისტური შეჯიბრის პირობებში შეტანილი უნდა იქნას საზ-ბის წევრთა ზრდის და მასიური მუშაობის გაღრმავების საკითხები.

ამასთან კვირეულის დროს ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს აგრეთვე საზოგადოების ფინანსიურად გაჯანსაღების საკითხიც. ჩვენი საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას წელს სხვადასხვა მაზრებში და ოლქის სოფლებში გახსნილი აქვს 700 ფასიანი სალიკვიდაციო სკოლა, რომელიც ჯდება დაახლოებით 70 ათასი მანეთამდის, და რომელმაც წერა-კითხვა უნდა შეასწავლოს 21—22 ათას უცოდინარს. აღნიშნული თანხა მცირე გამოკლებით ჩვენ გადასახდელი გვაქვს. ეს თანხა შეადგენს მასწავლებელთა ხელფასს, რომლებიც მიყრუებულ სოფლებში და მიუვალ ადგილებში მცირე გასამრჯელოს მიღებით აწარმოებენ ლიკსკოლაში მეცადინეობას. მათი ხელფასის თავის დროზე დარიგება დამოკიდებულია კვირეულის ნაყოფიერად გატარებაზე, ამისათვის ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ყველა ის საშუალებები რომელიც გეგმაში და მთავრობის დადგენილებებში არის ნაგულისხმევი. 100 პროცენტით აკრებილი უნდა იქნეს საწევრო გადასახადის ნარჩენები 1929 წლის, ფართოდ უნდა სწარმოებდეს სიებით და ყულაბებით ფულის შეგროვება.

თანახმად ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებისა, კვირეულის დროს 100 პროც. უნდა იქნან ჩაბმულნი ყველა დაწესებულებები და წარმოებები ჩვენი საზოგადოების იურიდიული წევრებად, აგრეთვე როგორც ადგილებზე, ისე ცენტრში კვირეულის ჩამტარებელი კომისიები უნდა შეეცადონ 100 პროც. აკრიბონ მთავრობის მიერ მიცემული დანარიცხები სხვადასხვა საშუალებიდან და გამონახონ ადგილებზე ახალი შემოსავლის წყაროები საზოგადოებრივი თვითმოქმედების ნიადაგზე.

ამნაირად კვირეულის დროს არ კმარა მარტო ჩვენი საზოგადოების რიგების ამოძრავება. საჭიროა ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს ყველა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, საჭიროა შეერთებული ძალღონით თავს დავესხათ ძველი რეჟიმის ნაშთს—წერა-კითხვის უცოდინარობას. უკულტურობას და ჩამორჩენილობას.

პ. ბოკერია.

არც ერთი ბავშვი საბავშვო ბაღის გარეშე

ვინ არ იცის, თუ ქუჩის გავლენით რამდენი მეტად ნიჭიერი ბავშვი ამცდარა სწორ საზოგადოებრივ აღზრდის გზას. ჯიბგირები, ბაცაცები, ხულიგნები, ბანდიტები—ესენი სულ ქუჩის შვილებია. ვინ იცის, რამდენი სასარგებლო მუშაკი გამოსტაცა ქუჩამ საზოგადოებას. განუზომელია ის ბოროტება, რასაც ქუჩა საზოგადოებას აყენებს.

სამუშაოზე წასული დედა იძულებულია ბავშვები შინ დასტოვოს, პატარა ბავშვები დედის დაბრუნებამდე რამდენიმე საათს ოთხ კედელს შუა ხომ ვერ გამოემწყვდევიან, მათ მოძრაობა უნდათ, თამაში, ვარჯიშობა. გამოდიან ქუჩაში. ქუჩაც თავის ზნე ჩვეულებას შეათვისებს. ეს ასე იქნება მანამ, სანამ არ გვექნება წესიერად მოწყობილი სკოლის ასაკამდე ბავშვთა აღმზრდელი დაწესებულებანი, როგორიცაა მაგ.: საბავშვო ბაღები, ბავშვთა ოთახები და სხ. რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს ნათლად ჰქონდათ გათვალისწინებული ეს გარემოება. მათ მრავლად გახსნეს საბავშვო ბაღები, მაგრამ, მთავრობას ამას გარდა ათასი სხვა საზრუნავ-დასაკმაყოფილებელი აქვს, ხოლო მისი თანხები დაუშრეტელი არაა, საჭიროა ბავშვების ამ საშინელი მტრის—ქუჩის გავლენის წინააღმდეგ მთელი მშრომელი მასების ამოძრავება, რომლის ლოზუნგიც იქნება: არც ერთი ბავშვი საბავშვო ბაღს გარეთ!

ხ. იოსელიანი.

მოუსავლიანობით დაზარალებულთა რაიონებში

ამიერ - კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სასოფლო - სამეურნეო ჯგუფმა გამოარკვია, თუ რამდენად დიდია მოუსავლიანობა და როგორ მიმდინარეობს შემოდგომის თესვის კამპანია ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში.

ოზურგეთის მაზრაში

შემოდგომაზე ხორბლეულის დათესვა შეამცირებს სიმინდის დეფიციტს

სისტემატიურმა მოუსავლიანობამ, რომელსაც გვალვის გამო ამ უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ოზურგეთის მაზრაში, ხელი შეუწყო ხორბლეულის დეფიციტის გადიდებას. ივნისში მოსავლის პირი განისაზღვრებოდა 3.8 ნიშნით და ნავარაუდევი იყო, რომ მაზრაში მიღებული იქნებოდა 3.089.395 ფუთი სიმინდი. გვალვამ სიმინდის საერთო პროდუქცია შეამცირა 809.869 ფუთით ანუ 21 პროცენტით და პურის საერთო დეფიციტი მთელ მაზრაში გამოიხატა 86.645 ფუთით. გარდა ამისა, მოსავლის საერთო პროდუქციის შემცირება მოხდა იმის გამოც, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს ვერ შესრულდა ნათესების სივრცის გაფართოების გეგმა. ნავარაუდევი იყო ნათესების სივრცის გაფართოება 10 პროცენტით, ფაქტიურად კი ნათესები გაფართოვდა 6 პროცენტით.

დღემდე მაზრაში შემოდგომის პურეული სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით ითესებოდა. თესვის მიმდინარე კამპანიაში შემოდგომის ნათესების სივრცემ მაზრაში უნდა მიაღწიოს 2.000 ჰექტარს. აქედან დაახლოვებით 1.400 ჰექტარი მოდის ჭვავზე, ხოლო დანარჩენი ქერსა და ხორბალზე. შემოდგომის თესვის კამპანიისათვის მიღებული ხორბალი და ჭვავი დაითესება იმ ნაკვეთებზე, რომლებზედაც გაზაფხულზე დათესილი იყო სიმინდი. [illegible] კლიმატიური პირობები აძლევა იმის საშუალებას, რომ ერთისა და იმავე ნაკვეთიდან, რომელზედაც თავთავიანი პურეული იყო დათესილი, მიღებულ იქნას ორი მოსავალი, თუ ადგილობრივ მოიპოვება საადრეო სიმინდის ან სოიას თესლი.

მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმა ითვალისწინებს 40.000 ჰექტარის დათესვას, შარშანდელი 35.500 ჰექტარის ნაცვლად. ამრიგად გაზაფხულის და შემოდგომის ნათესების მთელი სივრცე მაზრაში მიაღწევს 42.000 ჰექტარს, რაც შეადგენს ზრდას (1928 29 წელთან შედარებით) 18,3 პროცენტით. ეს გეგმა სავსებით რეალურია, ვინაიდან მარტო დასავენებული მიწების სივრცე მაზრაში 7.000-მდე ჰექტარს შეადგენს.

გლეხობის თავისუფალი სახსრების მობილიზაცია. — კრედიტები — ვისაც მოესურვება

ამჟამად მაზრაში ტარდება გლეხობის თავისუფალი სახსრების მობილიზაციის კამპანია. გამოირკვა, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობაში ადგილი ჰქონდა შეცდომებს — კრედიტები ეძლეოდა ისეთ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან. ამან გამოიწვია დებიტორთა ხელში დიდი თანხების დაგროვება. ოზურგეთის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში ვადაგადაცილებული სესხების საერთო თანხა 22.785 მანეთს შეადგენს. ამასთან დებიტორების სიაში ვხედავთ სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ყოფილ თავმჯდომარე გოგუას, თემაღმასკომის თავმჯდომარე მკურნალს, ქალთა განყოფილების გამგის მოადგილე კოპალეიშვილს და სხვ.

სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ფული დიდხანს მართებთ აგრეთვე ისეთ ორგანიზაციებს, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამხანაგობასთან, მაგალითად საოლქო სასამართლოს, პროფბიუროს, მაზრის აღმასკომს, თემაღმასკომებს და სხვ.

სენაკის მაზრაში

სათესლე მასალის მიწოდების დეფექტები

სენაკის მაზრაში შემოდგომის თესვის კამპანია პირველად ტარდება.

გადმოგზავნილ სათესლე მასალას მრავალი ნაკლი აქვს. მაგალითად საშემოდგომო თესლი არეულია საგაზაფხულო თესლში, თესლის ზოგიერთ პარტიაში ერთმანეთში არეულია ჭვავი და ხორბალი.

გაცემული სათესლე მასალით დაითესება 8.000 ჰექტარი. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში აქ შემოდგომის თესვას არ მისდევდნენ, მოსახლეობა მაინც დაჟინებით მოითხოვს საშემოდგომო სათესლე მასალას და ხალისიანად სთესს. სათესლე მასალა მოსახლეობას ეძლევა ნისიად. მოსახლეობას ეკისრება მხოლოდ ის ხარჯი, რაც სჭირდება მასალის გადაზიდვას რკინის გზიდან საწყობამდე. პურის საერთო დეფიციტი მაზრაში შეადგენს 850.000 ფუთს.

პელაგრით დაავადებულთა მკურნალობა

აფთიაქები მომარაგებულია მედიკამენტებით პელაგრასთან საბრძოლველად, მაგრამ არა საკმაო რაოდენობით. ადგილობრივი ექიმების დაკვირვებით, პელაგრით დაავადებულნი უხალისოდ ღებულობენ წინადადებას იკურნონ თბილისის ტროპიკულ ინსტიტუტში. ამის მიზეზია მანძილის სიშორე — ავადმყოფებს არ სურთ მოშორდნენ თავიანთ ოჯახებს მკურნალობის დროის განმავლობაში. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობა და ავადმყოფებზე დაკვირვება ხდებოდეს იმ რაიონებში სადაც გავრცელებულია ავადმყოფობა.

ზუგდიდის მაზრაში

შემოდგომის თესვა

ზუგდიდის მაზრაში შემოდგომის ნათესისათვის გადადებულია 6 ათასი ჰექტარი, შარშანდელი 1.200 ჰექტარის ნაცვლად. შემოდგომის ნათესი სივრცის გაფართოება ხდება ნაწილობრივ მიწის ახალი ფონდების დამუშავებით, ხოლო ნაწილობრივ იმ მიწების ხარჯზე, რომლებზედაც წინად გაზაფხულის პურეული ითესებოდა.

სათესლე მასალის დეფიციტი უდრის 110.000 ფუთს; 1928 წლის 85.000 ფუთის ნაცვლად.

ხელი შევუწყოთ მსხვილ სამრეწველო მეფრინველეობის განვითარებას

ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მეფრინველეობაში დაბანდებული იქნება 1.286.300 მან.

მეფრინველეობის პროდუქცია 7,5 მილიონიდან გაიზრდება 15 მილ. მან.

საჭიროა მეფრინველეობის რეკონსტრუქცია

მეფრინველეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგია. მისი ეხლანდელი დონე მეტად დაბალია. ამ დარგში ომის წინა ხანების მასშტაბიც კი არ არის მიღწეული. ჩვენი თანამედროვე მეფრინველეობის ძირითადი ბაზა—წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა—თავის დაღს აჩენს მეფრინველეობას და წვრილ სამომხმარებლო ხასიათს აძლევს მას. მეფრინველეობას გლეხურ მეურნეობაში მეტად არა რაციონალურად აწარმოებენ, რაც ამცირებს ამ დარგის ნაყოფიერებას. მსხვილ სამრეწველო მეფრინველეობას მხოლოდ ეხლა ეყრება საფუძველი. მიუხედავათ ამისა, მეფრინველეობა მაინც იძლევა პროდუქტების მნიშვნელოვან რაოდენობას საგარეო ბაზრისათვის. ამავე დროს ეს პროდუქტები მეტად მნიშვნელოვან რესურსებს წარმოადგენენ ჩვენი სამრეწველო ცენტრების სასურსათო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მეფრინველეობის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზია ის, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს დღემდე მეტად მცირე ყურადღება ექცეოდა. ეხლა, როდესაც დღის წესრიგში სდგას სოფლის მეურნეობის ძირითადი გადაკეთების საკითხი, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა იქნეს დასმული საკითხი მეფრინველეობის რეკონსტრუქციის შესახებაც. ჩვენი მუშაობა ამ დარგში მიმართული უნდა იქნეს იმავე ხაზით, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. აქაც აღებული უნდა იქნეს კურსი მეფრინველეობის მსხვილ მეურნეობაზე, მეფრინველეობის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების შექმნაზე.

მეფრინველეობის რეკონსტრუქციას საფუძვლად უნდა დაედოს მსხვილი საზოგადოებრივი ინკუბატორი, (ხელოვნური გამჩეკი), რომლის გარშემო უნდა მოხდეს გლეხთა მეურნეობების კოოპერატიული გაერთიანება.

მრეწველობამ უნდა მიიღოს ზომები, რომ დააკმაყოფილოს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება ინკუბატორებზე და მეფრინველეობისათვის საჭირო სხვა ინვენტარზე.

უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება მეფრინველეობისადმი, როგორც სოფლის მეურნეობის რაღაც მეათეხარისხოვან, ნაკლებ მნიშვნელოვან დარგისადმი. საჭიროა ენერგიულად შევუდგეთ მის დაუყოვნებლივ რეკონსტრუქციას ახალ სოციალურ-ტეხნიკურ ბაზაზე.

„ე. შ.“.

ინკუბატორი—მეფრინველეობის რეკონსტრუქციის ძირითადი საშუალება

ჩვენი ჩამორჩენილი მეფრინველეობის რეკონსტრუქციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ინკუბატორი. შეიძლება ითქვას, რომ იგი მოწოდებულია მეურნეობის ამ დარგში ითამაშოს იგივე როლი, რასაც ტრაქტორი ასრულებს მეურნეობის მარცვლეულ დარგში. მსხვილ სამრეწველო ინკუბატორს, რომელშიაც ერთსა და იმავე დროს რამდენიმე 10 ათ. კვერცხი მოთავსდება, შეუძლია მთელს ოლქს გარდააქმნევინოს მეფრინველეობის დარგი და სოფლის მეურნეობის ეს სამომხმარებლო საოჯახო ნაწილი გადააქციოს სასაქონლო სამრეწველო ნაწილად.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც დაიდო რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მეფრინველეობის კოოპერატიულ სისტემა „პტიცევოდსოიუზ“-სა და უკრაინის მეფრინველეობის კოოპერატიულ სისტემა „კოოპტახ“-ს შორის, მეფრინველეობის რეკონსტრუქციის ერთ-ერთ ძირითად მომენტად სთვლის მსხვილი საზოგადოებრივი ინკუბატორების აგებას. „პტიცევოდსოიუზ“-მა იკისრა 1929—30 წელს ააგოს 200 ახალი ინკუბატორი და მათი ერთდროული ტევადობა აიყვანოს ოთხ მილიონზე მეტ კვერცხამდე. „კოოპტახ“-ი აგებს 82 ახალ ინკუბატორს და მათი ერთდროული ტევადობა აჰყავს 2.700 ათას კვერცხამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-სამრეწველო ინკუბატორების საერთო ტევადობა 1930 წელს აყვანილი იქნება 6.700 ათას კვერცხამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი სეზონის განმავლობაში ინკუბატორებში გატარებული იქნება 20 მილიონამდე კვერცხი და ამით განთავისუფლებული იქნება ორი მილიონამდე კრუხი. ყოველი კრუხი კვერცხებზე ჯდომის და წიწილების ზრდის განმავლობაში შესძლებდა მოეცა 30-დე კვერცხი. ამრიგად ინკუბატორი საბჭოთა კავშირის გლეხური მეურნეობის საქონლიანობას ადიდებს 400-მდე ვაგონი კვერცხით, რაც სახელმწიფოს მისცემს ორ მილიონამდე მანეთ ვალუტას.

მაგრამ ინკუბატორების ძირითადი დანიშნულებაა მეფრინველეობის წარმოების მთელი სისტემის შეცვლა. სამრეწველო ინკუბატორები შენდება კოლმეურნეობებში, რომელნიც უნდა გადაიქცნენ დასაყრდენ პუნქტებად გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსული მეფრინველეობის გარდაქმნის საქმეში.

ინკუბატორის მთელი მუშაობა დამყარებული იქნება მახლობელ კოლმეურნეობებში დაგროვილ კვერცხის ინკუბაციაზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მახლობელ კოლმეურნეობებში საკმაო რაოდენობით არ არის წმინდა ჯიშის და მეტისური კვერცხები, ინკუბატორი მთლიანად დაიტვირთება რაიონის უბრალო კვერცხით.

ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია ავაგოთ წიწილების ისეთი ვეებერთელა ფაბრიკები, როგორიც არის ამერიკაში, სადაც ზოგიერთი ინკუბატორის ერთდროული ტევადობა უდრის 1.800 ათას კვერცხს და ინკუბატორი ყოველდღე უშვებს 75 ათასამდე წიწილას. მაგრამ უკვე 1930 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში ჩვენ გვექნება სამრეწველო ინკუბატორი 100 ათასი კვერცხის ერთდროული ტევადობით და წიწილების ეს ფაბრიკა სეზონში ყოველდღე გამოუშვებს სამი ათას წიწილას.

მეფრინველეობის დარგის რეკონსტრუქცია ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ წიწილების დიდი ფაბრიკების, საზოგადოებრივ ინკუბატორ-გიგანტების, საშუალებით.

ი. ა. პატრიკი.

მეფრინველეობის მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში

მეფრინველეობა ომის წინა ხანებში

შინაური ფრინველის მოშენება საქართველოში ფართოდ განვითარდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში. დასავლეთ საქართველოში მეფრინველეობა იმდენად განვითარებული იყო, რომ იგი გადასახადითაც კი იბეგრებოდა. იმ დროინდელ მეფრინველეობას შინაური მოხმარების ხასიათი ჰქონდა. 80-იანი წლების შემდეგ, კი, როდესაც გაიყვანეს რკინისგზა და ჩამოყალიბდა სამრეწველო ცენტრები, მეფრინველეობამ თანდათანობით სამრეწველო მიმართულება მიიღო.

სპეციალური მოწყობილობის უქონლობის გამო, იმ ხანებში შეუძლებელი იყო ცოცხალი ან დაკლული ფრინველის შორ მანძილზე გაზიდვა, და ამიტომ, საქართველოს მეფრინველეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კვერცხის პროდუქციის ზრდას და ბაზარზე უმთავრესად ეს პროდუქტი გაჰქონდა. რკინის გზის სამმართველოს ცნობით, 1897 წელს საქართველოში რკინის გზით გადაზიდული იქნა სხვადასხვა ბაზრებზე 7.451 ფუთი კვერცხი. ამ ხნიდან კვერცხის ტვირთი საქართველოს რკინის გზებზე ყოველწლიურად იზრდება და 1913 წელს უკვე უდრის 74.740 ფუთს. ამრიგად, 16 წლის განმავლობაში კვერცხის საქონლიანობა საქართველოში გაიზარდა 896.6 პროც.-ით.

1897 წელს დამზადებული რაოდენობიდან შინაურ ბაზარზე გასაღდა 5.285 ფუთი კვერცხი, ხოლო საზღვარგარეთ — 2.165 ფუთი; ამ წლიდან კვერცხის ექსპორტი განსაკუთრებული ინტენსივობით იზრდება. 1901 წელს შინაურ ბაზარზე გასაღდა 9.598 ფ., ხოლო საზღვარგარეთ გატანილი იქნა 19.738 ფუთი კვერცხი; 1913 წლისთვის შინაური მოხმარება გადიდებული იქნა 22.614 ფუთამდე, (ზრდა 1897 წელთან შედარებით უდრის 418,7 პრ.), ექსპორტი კი 52.126 ფუთამდე, (ზრდა უდრის 2.306.5 პროც.-ს). საქართველოდან კვერცხი გაჰქონდა ავსტრიულ ფირმას „ზეიფერტ“-ს, რომელიც ავსტრიიდან ამ საქონელს (უკვე დახარისხებულს) აგზავნიდა ლონდონის და საფრანგეთის ბაზრებზე. გარდა კვერცხისა დიდი რაოდენობით საღდებოდა ფრინველის ბუმბულიც. 1897 წელს რკინის გზით გადაუზიდავთ 1.344 ფუთი, ხოლო 1913 წელს 5.719 ფუთი ბუმბული. ბუმბული უმთავრესად იგზავნებოდა საზღვარგარეთ. რაც შეეხება ფრინველის ხორცს, ის საღდებოდა მხოლოდ შინაურ ბაზარზე. ომის წინა ხანებში მეფრინველეობა საქართველოს მოსახლეობის ბიუჯეტში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მისი წლიური პროდუქცია უდრიდა დაახლოვებით 7,5—8 მილიონ მანეთს.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის წლებში მეფრინველეობა საქართველოში თანდათანობით შემცირდა და 1922 წლისთვის პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1922 წელს საქართველოს მეფრინველეობის პროდუქციის საქონლიანობა არ აღემატებოდა 529 ფუთს (1913 წელს კი უდრიდა 74.740 ფუთს).

აღდგენის პერიოდი

1923 წლიდან იწყება მეფრინველეობის აღდგენა და ამავე წლის მეურნეობის ამ დარგის პროდუქციის საქონლიანობა იზრდება 1424 ფუთამდე.

საქართველოს სტატსამმართველოს ცნობით, 1926 წელს საქართველოში მეფრინველეობას (მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად) ეწეოდა სოფლის მოსახლეობის 87,2 პროც. (357.344 მეურნეობა), რომლებსაც მოშენებული ყავდათ 3,3 მილიონამდე ფრთა ფრინველი (2.906.000 ფრთა ქათამი, 120.000 ფრთა ინდაური, 124.000 ფრთა ბატი, 70.000-მდე იხვი). მეფრინველეობა უფრო განვითარებულია დასავლეთ საქართველოში, სადაც პირველი ადგილი უჭირავს სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრას, — განსაკუთრებით სამტრედიის რაიონს. ამ რაიონებში, რკინის გზის მახლობლად, გავრცელებულია უმთავრესად ადგილობრივი და კულტურული ფრინველის ნარევი ჯიშები, რკინის გზიდან მოშორებულ რაიონებში კი—წმინდა ადგილობრივი ჯიშები, ადგილობრივი ჯიშის შინაური ფრინველები გაირჩევიან პატარა ტანით (იწონიან 3 გირვანქამდე) და გამძლეობით, არ საჭიროებენ დიდ კვებასა და მოვლა - პატრონობას; წლიურად იძლევიან 80-მდე კვერცხს. ადგილობრივი ჯიშის ქათმის კვერცხი იწონის 40-დან — 45 გრამამდე. სხვადასხვა დროს (როგორც ომის წინედ, ისე ომის შემდეგაც) საქართველოში შემოყავდათ უცხოეთის ჯიშის ფრინველები — მინორკები, ლეგჰორნები, პლიმუტროკები, ორპინგტონები, კოხინხინები და სხვ.

1926 წელს რუსეთიდან შემოყვანილი იქნა საქართველოში (სანაშენოდ) 500 ფრთა ჯიშიანი ფრინველი; ეს ჯიშები (ლეგჰორნ) წლიურად იძლევიან 200-დან 300 ცალამდე კვერცხს. ჯიშიანი ფრინველის კვერცხი იწონის 55-დან — 65 გრამამდე.

სამრეწველო ჯიშის ფრინველიდან ყველაზე მეტ კვერცხს იძლევა ლეგჰორნის ჯიში ქათამი და ინდოეთის იხვი. სახორციდ განირჩევიან პეკინის იხვი (იზრდება ძალიან სწრაფად და იწონის 7—9 გირვანქას), ქათმებიდან თეთრი ვიანდოტი (იწონის 5,5-დან 9 გირვანქამდე) და როდ - აილანდი (იწონის 6-დან — 9 გირვანქამდე). 1923 წლიდან მეფრინველეობა საქართველოში თანდათანობით ფართოვდება და 1927 წელს მეფრინველეობის ამ დარგის პროდუქცია უდრიდა 7.439.000 მანეთს. მარტო ბანძის, ხონის, სამტრედიის, ქულაშის, სუჯუნის, ჯიხაიშის, ლანჩ - ხუთის, ვანის, მარტვილის, ახუთის და ახალსენაკის რაიონებში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მზადდებოდა 30.000 ფუთი კვერცხი.

მეფრინველეობა მეურნეობის ისეთი დარგია, რომელიც უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე სხვა რომელიმე დარგი. მეფრინველეობის განვითარებისათვის საქართველოში არის მრავალი ხელის შემწყობი პირობები: ჰავა, შინაური ბაზრის დიდი მოთხოვნილება, საექსპორტო გზების სიახლოვე და სხვ.

ყველა ამ პირობათა გამო, მეფრინველეობა ჩვენში უფრო სწრაფად უნდა განვითარებულიყო. მაგრამ დაჩქარებით აღდგენას (ომის წინა დროინდელი დონე მიღწეული ჯერ კიდევ არ არის) აფერხებდა ბაზრის მოუწესრიგებლობა, ისეთი ცენტრების უქონლობა, სადაც უნდა სწარმოებდეს პროდუქციის დახარისხება, შეფუთვა, შენახვა და ექსპორტი; სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ქსელის სისუსტე; ფრინველების ხშირი ინფექციური დასნეულება — ჭირი, ხოლერა და სხ. რაც ხშირად მუსრს ავლებს მთელი რაიონის ფრინველს. მეფრინველეობის აღდგენას უმთავრესად ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ აქამდე არ სწარმოებდა სისტემატიური აგრიკულტურული მუშაობა მეფრინველეობაში.

მეფრინველეობის ცენტრის დაარსება

უკანასკნელ ხანამდე მეფრინველეობა საქართველოში ვითარდებოდა პრიმიტიულად და ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე. მართალია ცალკე ორგანიზაციები (თბილისის ზოოტექნიკური სადგური და საბჭოთა მეურნეობები) ეწეოდნენ კულტურულ მეფრინველეობას, მაგრამ ამას არ ქონდა სისტემატიური და მასიური ხასიათი. მიმდინარე წლის ივლისიდან, სადირექტივო ორგანოების მითითების თანახმად საქართველოს სას.-სამ. კოოპერაციის სისტემაში ჩამოყალიბებული იქნა მეფრინველეობის ცენტრი, რომელსაც დაევალა მეურნეობის ამ დარგის ხელმძღვანელობა.

მეფრინველეობის ცენტრი უკვე შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას. მას შემუშავებული აქვს როგორც უახლოესი სამოქმედო, ისე მეფრინველეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

დღემდე ცენტრს საქართველოში მოწყობილი აქვს მეფრინველეთა 6 სარაიონო ამხანაგობა (სამტრედიაში, ხონში, ბანძაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში და გორში). ხსენებულ ამხანაგობათა სამოქმედო რაიონებში დაარსებულია 60-მდე მარტივი ჯგუფური განაერთი, რომლებშიაც შეკავშირებულია 3.000-მდე მეურნე, უმთავრესად ქალები. მოწყობილია 6 საჯიშე, სადაც სწარმოებს ჯიშიან ფრინველის შენება. მიმდინარე წლის განმავლობაში მეფრინველეთა კავშირი მოაწყობს კიდევ 9 საჯიშეს.

მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს მეფრინველეობის ყველა რაიონების ეკონომიური გამოკვლევა. იმ რაიონებში, სადაც ამისთვის სათანადო პირობები არსებობს, დაარსებული იქნება რაიკავშირები, რიცხვით არა ნაკლებ 15-სა. გარდა ამისა, აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში დაარსებული იქნება თითო სპეციალური ამხანაგობა. მეფრინველეობის რაიონებში დაარსებული იქნება მეფრინველე მეურნეთა ჯგუფური განაერთები (არა ნაკლებ 162-სა). განაერთებში წლის განმავლობაში შეკავშირებული იქნება სულ (ავტონომიურ რესპუბლიკებიანად) არა ნაკლებ 11.700 მეურნეისა. საპაიო და საწევრო გადასახადი აკრეფილი იქნება, საშუალოდ, არა ნაკლებ 2 მანეთისა.

ჯგუფური განაერთები წევრებად შევლენ სპეციალურ ამხანაგობებში და სპეციალური ამხანაგობები „საქართველოს მეფრინველეთა კავშირში“.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს მეფრინველეთა კავშირი დაამზადებს და გაასაღებს 859.000 მანეთის პროდუქციას; ჩაატარებს კონტრაქტაციას 300.000 ფრინველზე. თვითოეულ წყვილ ფრინველზე მეურნეებს მიეცემათ ავანსი ერთი მანეთის რაოდენობით.

მიმდინარე წლის განმავლობაში კავშირი თავის ქსელს მიაწოდებს 11.880 ცენტნერ სიმინდს, 5.000 ცენტნერ ფქვილს, 1.000 ცალ გალიას ფრინველებისათვის, 2.000 ცალ ყუთს კვერცხებისათვის, შესაფუთავ მასალას, 500 ცალ სასწორს, ჯიშიან ფრინველს და 63 ინკუბატორს, რომელთა ღირებულება ნავარაუდევია 278.232 მანეთის რაოდენობით.

აგრიკულტურული ღონისძიებები

მეფრინველეთა კავშირის აგრიკულტურული მუშაობა მიზნად ისახავს ადგილობრივი ჯიშის ფრინველის გაუმჯობესებას მაღალ პროდუქციის მომცემ ფრინველთან შეჯვარებით და წმინდა ჯიშის ფრინველის მოშენებას; ამავე დროს მიღებული იქნება ზომები, მეფრინველეობის პროდუქციის გასაუმჯობესებლად და მეფრინველეობის სამრეწველო მნიშვნელობის გასადიდებლად. ამის განხორციელების ერთ მთავარ პირობად მიჩნეულია არსებული საჯიშეების გაფართოება და ახალის მოწყობა, რაზედაც წლის განმავლობაში დაიხარჯება 170.000 მანეთი.

მოეწყობა ორი ტიპის საჯიშე: ა) ჯიშიანი კვერცხის გამსაღებელი და ბ) ჯიშიან წიწილების გამსაღებელი.

ჯიშიანი კვერცხი უმთავრესად გავრცელებული იქნება კოლმეურნეობებსა და ჯგუფურ განაერთებში.

მეფრინველეობის კულტურულად წარმოების გაძლიერების მიზნით, კავშირი გამოსცემს პოპულიარულ ბროშურებს, ფურცლებსა და, პლაკატებს, მოაწყობს მოკლე - ვადიან (ათ დღიან) კურსებს (უმთავრესად ქალებისთვის), რომლებზედაც მსმენელებს შეასწავლიან ფრინველების მოვლა - მოშენებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების წესებს.

ადგილებზე მოეწყობა მეფრინველეობის სპეციალური გამოფენები. საუკეთესო ექსპონატებში მეურნეებს მიეცემათ ჯილდო თითოს 15 მანეთი, ან ერთი ბუდე ფრინველი. მეფრინველეობის სწრაფი განვითარების და მისი სამრეწველო მნიშვნელობის გაფართოების ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს კვერცხის გამოჩეკის კულტურული წესის გავრცელება. განზრახულია ინკუბატორების შემოღება. წელს შემოზიდული და განაწილებული იქნება 63 ინკუბატორი, მათ შორის 12 მსხვილი (თითო 2.000-დან 3.000-მდე კვერცხის ტევადობით) ინკუბატორი. ინკუბატორები მიეცემათ როგორც სპეციალურ მეფრინველეთა ამხანაგობებს, ისე მეფრინველეობის მიმდევარ კოლექტიურ მეურნეობებს.

მეფრინველეობა ხუთი წლის შემდეგ

მეფრინველეობის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 4 ცენტრალური სადგურის მოწყობა (სამტრედიაში, გორში, სენაკში, და ზუგდიდში), სადაც იწარმოებს კვერცხების დახარისხება, შეფუთვა, შენახვა და ექსპორტი. ამ საწყობების აგება - მოწყობაზე დაიხარჯება 220.000 მანეთი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია პატარა საწყობის აგება, რაც დაჯდება სულ 200.000 მანეთი.

განზრახულია აგრეთვე თბილისის ზოოტექნიკურ სადგურის მეფრინველეობის განყოფილების გაფართოება, რაზედაც დაიხარჯება 200.000 მანეთი, ხოლო ახალი საჯიშეების მოწყობაზე 488.000 მანეთი.

მოწვეული იქნება სამუშაოდ სამი სპეციალისტი მეფრინველე, გარდა ამისა, ხუთი წლის განმავლობაში ცენტრალურ ზოოტექნიკურ სადგურთან ყოველწლიურად მოეწყობა მეფრინველეობის ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები, რაზედაც ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 59.500 მანეთი.

აგრიკულტურულ ღონისძიებათა გაფართოებასთან ერთად ხუთ-წლიანი გეგმით გათვალისწინებულია ფრინველის ინფექციურ ავადმყოფობასთან ბრძოლის გაძლიერება, რაზედაც ხუთწლედში დაიხარჯება 40.000 მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში მეფრინველეთა შორის განაწილებული იქნება სულ 415 ინკუბატორი (აქედან 115 ცალი მსხვილი და 300 ცალი პატარა — თითო 100—150 კვერცხის ტევადობით) 150.000 მანეთის ღირებულებისა. იწარმოებს საუკეთესო მეფრინველეთა ყოველწლიური დაჯილდოება, რაზედაც დაიხარჯება 41.800 მანეთი.

განზრახულია დასაკლავად და გასაყიდათ გამზადებული ფრინველის გამსაკვები პუნქტების მოწყობა, რაზედაც დაიხარჯება 87.000 მანეთი.

ამრიგად, ხუთი წლის განმავლობაში მეფრინველეობაში დაბანდებული იქნება 1.286.300 მანეთი.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით საქართველოს მეფრინველეობის პროდუქცია ეხლანდელ 7,5 მილიონიდან გაიზრდება 15 მილიონ მანეთამდე, ხოლო ამ პროდუქციის საქონლიანობა 4 მილიონ მანეთიდან გაიზრდება 10 მილიონ მანეთამდე.

უკრაინის მაგალითი

მსხვილი სამრეწველო მეფრინველეობის განვითარების მაგალითს იძლევა უკრაინა, სადაც ფართოდ სწარმოებს ხელოვნური ინკუბაცია. როგორც „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-შია აღნიშნული 1928—29 წლის განმავლობაში უკრაინის მეფრინველეობის ამხანაგობებში და კოლექტივებში მოწყობილი იქნა 670 ინკუბატორი, თვითეული 600 კვერცხის ტევადობით. 1930 წლის გაზაფხულზე აგებული იქნება 4.250 ინკუბატორი. გასულ წლებში ინკუბატორებს იწერდნენ საზღვარ-გარეთიდან. წელს კი ინკუბატორების დამზადება სწარმოებს უკრაინის სამ ქარხანაში.

1928—29 წელში უკრაინაში საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე სამრეწველო მეფრინველეობას კოლმეურნეობებში. სულ მოწყობილია 200 ასეთი მეურნეობა, რომლებსაც ჰყავს — 100.000 ფრთა შინაური ფრინველი. 1929—30 წელში განზრახულია ფართოთ იქნეს გაშლილი მუშაობა სამრეწველო მეფრინველეობის განსავითარებლად კოლექტიურ მეურნეობებში. საკონტროლო ციფრებში შეტანილია მეფრინველეობის 650 სამრეწველო მეურნეობის მოწყობა არსებულ კოლექტივებში, 90 სპეციალური ამხანაგობის შექმნა, 10 მსხვილი სამრეწველო ფერმის დაარსება კოლმეურნეობებთან და სხვ. შინაური ფრინველის საერთო რაოდენობა სამრეწველო კოლექტივებში მიმდინარე სამეურნეო წელს მიაღწევს 700.000 ფრთას.

ამჟამად უკრაინაში მთავრდება 50 ინკუბატორის აგება, რომლებიც ერთდროულად დაიტევს 20.000 კვერცხს. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, მათში მეფრინველეობის ფართოდ განვითარებასთან დაკავშირებით, განზრახულია მოწყობილი იქნეს ინკუბატორები, რომლებიც ერთდროულად დაიტევენ — 500.000 კვერცხს. საჭიროა უკრაინის ამ მაგალითის ფართოდ გამოყენება ჩვენშიც, სადაც მეფრინველეობის განვითარების დიდი შესაძლებლობანი გვაქვს.

ზ. ძ—ძე.

პოლიგრაფწარმოების ერთი უძველესი მუშაკის შესახებ

პოლიგრაფწარმოებას ბევრი ძველი, გამოცდილი მუშაკები ჰყავს. მაგრამ ისეთი გამოცდილი და თავისი საქმის მცოდნე, როგორიც არის ლუარსაბ ხელაძე, თითზე ჩამოსათვლელია. 50 წლის განმავლობაში ლუარსაბი დაუღალავად ედგა ბეჭდვითი საქმეს და დღემდე პირნათლად ემსახურებოდა მას.

პირველად ლუარსაბი 1881 წელს შევიდა შეგირდათ ექვთიმე ხელაძის სტამბაში. აქედან იწყება მისი მოღვაწეობა და დაახლოება სხვადასხვა გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან. ის სხვადასხვა დროს სხვადასხვა სტამბაში მუშაობს, როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებშიც.

1910 წელს ამხ. ლუარსაბს ვხედავთ მეტეხის ციხეში, სადაც ის ითვლებოდა ციხესთან არსებულ სტამბის გამგეთ. ამ სტამბაში დაიბეჭდა ფ. მახარაძის, კ. მარქსის მოძღვრება კაუცკის და სხვა მრავალი წიგნები. არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ ლუარსაბს რაიმე არ მოეტანოს ციხეში რომელიმე პოლიტიკურ ტუსაღზე გადასაცემად. მისი სახლი ნამდვილ ბირჟას წარმოადგენდა მეტეხის ციხეში მყოფთა მშობლებ-ნათესავებისთვის. როცა დიდი, რაიმე სერიოზული საქმე იყო გასაკეთებელი, ლუარსაბს ვანდობდით. ლუარსაბიც მზად იყო ჩვენი დავალება პირნათლად შეესრულებია. მისი წყალობით ყოველთვის გვქონდა ახალი არალეგალური ლიტერატურა, როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთელიც. კონვერტით შემოჰქონდა საზღვარგარეთულ პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი „ისკრა“ და სხვა. მანვე შემოიტანა ლენინის ბროშურები „რა ვაკეთოთ“, ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, პარტიის მეორე ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელიც ბიბლიოთეკაში სხვა წიგნის გარეკანის ქვეშ ინახებოდა და სხვ. ყოველივე ამისთვის ლუარსაბი არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა. პირიქით, ის ეხმარებოდა პოლიტიკურ ტუსაღებს ფულითაც.

1911 წელს მეტეხის ციხეში დიდი გაფიცვა გამოცხადდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიმშილი უნდა გამოგვეცხადებია, მაგრამ ყველა ჩვენი მოთხოვნილებები დააკმაყოფილეს, რადგან ყოველივე ის, რაც ციხეში ხდებოდა, და ჩვენი მოთხოვნილებების ასლი, ლუარსაბის საშუალებით გადაგზავნილი იქნა გუბერნატორის სახელზე და სახელმწიფო სათათბიროში. გუბერნატორმა იმ წამსვე მიიღო ზომები ჩვენს დასაკმაყოფილებლად. გაფიცვა მოვიგეთ, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ყველა გადაწყვეტილ პოლიტკატორღელებს რუსეთის სხვადასხვა ცენტრალურ ციხეებში გვიკრეს თავი, ხოლო ლუარსაბი კი სამსახურიდან მოხსნეს მისი ჩვენდამი თანაგრძნობის გამოცხადებისათვის.

ასეთ მოღვაწეს უსრულდება დღეს 50 წელი თავისი უმწიკვლო და შეუბღალავი მოღვაწეობის. საჭიროა სათანადო ორგანომ ყურადღება მიაქციოს ასეთ მოღვაწეებს და უზრუნველჰყონ ისინი დახმარებით.

მ. ი. გოგუაძე.

კულაკების თავდასხმა

გურჯაანი, 14 ნოემბერი. (საკუთარი კორესპონდ.) 13 ნოემბერს, შუაღამისას ვარდისუბნის ახლად დაარსებულ კომკავშირელთა კოლექტივს თავს დაესხა რამოდენიმე შეიარაღებული კაცი. ბოროტმოქმედებმა მოკლეს კოლექტივის ოთხი წევრი, მათ შორის კოლექტივის ხელმძღვანელი. უტყუარი ცნობებით, მკვლელობა მოწყობილია ადგილობრივი კულაკების მიერ.

ტატიშვილი.

ვაფართოვებთ ჩვენს სამთა-მადნო მრეწველობას

10 მილიონი ოქროს მანეთის ეკონომია ყოველწლიურად

საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით კი ამიერ-კავკასიაში მოიპოვება მთელი რიგი ისეთი მადნები, რომელთაგან ამზადებენ მრეწველობისათვის საჭირო სხვადასხვა პროდუქტებს. ასეთია სხვადასხვა საალმშ. და საქარხნო თიხები, ცარცი, გიფსი, ცემენტი, მარმარილო, ალებასტრი, გრაფიტი, აზბესტი, პემზას მადნები, გოგირდი, ფოსფორი, მაგნეზიტი და სხ.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მადნები ბლომათ მოიპოვება ჩვენში, მათი დამუშავება ჯერ-ჯერობით არ არის მოწესრიგებული და ამიტომ მათი დიდი ნაწილი შემოგვაქვს უცხოეთიდან. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, საბჭოთა კავშირში უცხოეთიდან ყოველწლიურად შემოაქვთ 10 მილიონი ოქროს მანეთის მინერალური პროდუქტები. მარტო საალმშენებლო და ე. წ. საქარხნო თიხა ყოველწლიურად შამოგვაქვს 1.858 ტონას რაოდენობით. საბჭოთა კავშირში უცხოეთიდან შემოაქვთ აგრეთვე წისქვილის ქვები, სალესი ქვები, მარმარილო, გიფსი, აგრეთვე ფოსფორი, ალებასტრი, სახურავი ფიქალი და სხვ. საერთოდ 79 სახელწოდების სხვადასხვა მინერალები.

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა, აღნიშნული მადნეულობის ადგილობრივ დამუშავების საკითხის განსახილველად 30 ნოემბრისათვის მოსკოვში მოიწვიოს მოკავშირე რესპუბლიკების სამთამადნო საქმის სპეციალისტების თათბირი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ სად შეიძლება ამ მინერალების დამუშავების დაწყება ან რა თანხა იქნება ამისათვის საჭირო.

ამიერ-კავკ. ს.მ.უ.ს. და ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ინიციატივით საკითხის წინასწარ დასამუშავებლად მოწვეულ იქნა ამიერ-კავკ. რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოების სპეციალისტების თათბირი, რომელიც უკვე მეორე დღეა მუშაობს. თათბირმა ჯერ-ჯერობით მოისმინა საქ. ს.მ.უ. წარმომადგენელთა მოხსენება საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოში ცნობილია 40 სახელწოდების ისეთი მინერალური მადანი, რომელთა ნაწარმოებიც საბჭოთა კავშირში შემოაქვთ უცხოეთიდან. მათ შორის: აზბესტი, ასფალტი, სახურავი ფიქალი, გიფსი, კაოლინი, ცემენტი, გოგირდი, ტუფი, მარმარილო, წისქვილის და სალეს-სახეხი ქვები, დიატომიტი და სხ.

დღეს მოსმენილი იქნება აზერბეიჯანის და სომხეთის ს.მ.უ. საბჭოების წარმომადგენელთა მოხსენებები. თათბირი დაამუშავებს ამიერ-კავკ. რესპუბლიკებში შეგროვილ მასალებს და შეიმუშავებს კონკრეტულ წინადადებებს საკავშირო თათბირზე წარსადგენად.

მეცხვარეობის საქმის გასაუმჯობესებლად

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის განკარგულებით დაარსებულია კომისია, რომელსაც დაევალა კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება საქართველოში მეცხვარეობის საქმის გასაუმჯობესებლად.

ამ კომისიის დადგენილების მიხედვით საქ. სასოფლო - სამეურნეო ბანკმა მეცხვარეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად გადასდო 309.000 მანეთი. აქედან, მიწად - მოქმედების სახ. კომისარიატის საბჭოთა მამულების ტრესტს — 4000 სანაშენო ცხვარის შესაძენად და ფარეხების მოსაწყობად გრძელვადიან სესხად მიეცემა 87.000 მან., კახეთის ოლქის საბჭოთა მეურნეობის ტრესტს 4.000 ცხვარის შესაძენად და ფარეხების მოსაწყობად — 92.000 მან., ამავე მიზნით საზ-ბა „მეწყემსი“ მიიღებს 80.000 მანეთს, ხოლო საზ-ბა „ბირლიკი“ — 50.000 მანეთს.

ეკონომიურ საბჭოში

ვენახის გაშენება არგვეთის მამულში

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო ბანკს მისცეს ქუთაისის საოლქო აღმასკომს კრედიტი 30.000 მან. რაოდენობით არგვეთის რაიონში 20 ჰექტარზე ვენახის გასაშენებლად.

არაყის დამზადების შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობებს, რომელნიც პირადი საჭიროებისათვის ხდიან ღვინის არაყს არა უმეტეს ხუთი ვედროსი მეურნეობაზე, განთავისუფლებულ იქნენ საქციზო გადასახადისაგან.

ამ მიზნით აღიძრა სათანადო შუამდგომლობა უმაღლეს ორგანოების წინაშე.

ქ. თბილისში სამეცნიერო - საგამოკვლევო მერქანის ინსტიტუტის დაარსება

ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ქ. თბილისში საკავშირო სამეცნიერო-საგამოკვლევო მერქანის ინსტიტუტის განყოფილების დაარსება.

შაქრის ჭარხლის კონტრაქტაცია

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ზოგიერთი შესწორებებით ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი საქართველოში 1929-30 წ. განმავლობაში შაქრის ჭარხლის დამზადებისა და კონტრაქტაციის შესახებ.

შაქრის ჭარხლის ნათესების კონტრაქტაცია დაეკისრა სოფლის კავშირს.

კორპის მუხის განვითარების გეგმა

საქართველოს კორპის მუხის განვითარებისათვის გამოყოფილი სივრცე 1929-30 — 1933-34 წ.წ. განმავლობაში განსაზღვრულ იქნა 5.250 ჰექტარით, აქედან: საქართველოში—2.525 ჰექტ., აფხაზეთში — 2.000 ჰექტ., და აჭარისტანში — 725 ჰექტარი.

კონსერვების მრეწველობა

ეკონომიურმა საბჭომ კონსერვების მრეწველობის უფრო მიზანშეწონილ ფორმად აღიარა სააქციო საზოგადოება.

რა ხდება ადგილებზე

ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური

ერევანი, 13 ნოემბერი. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი სარდარაბადში შეუდგა მუშაობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოსაწყობად. (ადს.)

ამინდი ბათომში

ბათომი, 13 ნოემბერი. მიმდინარე შემოდგომამ ბათომში ახასიათებს მოწმენდილი და თბილი ამინდი. დაბლობ ადგილებში ხეხილი ხელახლა აყვავდა.

14 ნოემბრიდან ამინდი შეიცვალა. დაიწყო წვიმა, რასაც ტემპერატურის დაწევა მოჰყვა. (ადს).

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა

გურჯაანი, 13 ნოემბერი. ამჟამად ოლქში 213 კოლექტივია, აქედან 4 კომუნაა. (ერთი მევენახეობის განხრით, 3—მემინდვრეობის განხრით), 92—არტელი და 117—ამხანაგობა მიწის შეერთებულად დამუშავებისათვის. (ადს.

მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობანი

გურჯაანი, 13 ნოემბერი. „საქართველოს აბრეშუმი“ აწყობს 2 დიდ საბჭოთა მეურნეობას: წნორში—100 ჰექტარ მიწაზე და თელავში—40 ჰექტარი.

საქ. პროფსაბჭოს მეშვიდე პლენუმი

მეხუთე და მეექვსე სხდომა

კულტურული მშენებლობის 5 წლიანი გეგმა

ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება

კულტურული მშენებლობის 5 წლიანი გეგმის პირველ ვარიანტში, ბევრი რამ არ იყო გათვალისწინებული. იგი ძალზე ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს, ამიტომ, ხდება ამ გეგმის გადამუშავება. მთავარი ნაკლი, რომელიც ახასიათებდა ამ გეგმას, მდგომარეობდა იმაში, რომ მასში საკმაოდ არ იყო გათვალისწინებული დაბალი და მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების მომზადება. ამაში დანაშაული მიუძღვის როგორც განათლების სახალხო კომისარიატს, ისე სამეურნეო ორგანოებსაც, რომელთა მოვალეობას შეადგენდა გათვალისწინება იმისა, თუ რა რაოდენობის კვალიფიციური მუშაკი დასჭირდებოდათ მათ. ამის გამორკვევა განათლების კომისარიატს გაუადვილებდა გეგმის შედგენას. მაგრამ, სამწუხაროდ, სამეურნეო ორგანოებმა ამ საქმეში დაიჩემებული დაუდევრობა გამოიჩინეს და შეცდომაში შეიყვანეს განათლების კომისარიატიც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი ფაქტის დასახელება: განსახკომის შეკითხვაზე, თუ რამდენი სპეციალისტი დასჭირდება საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს, უკანასკნელმა განაცხადა, რომ დასჭირდება „2—3 კვალიფიციური მუშა“, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა კი განაცხადა, რომ 5 წლის განმავლობაში დამატებით მას „არც ერთი იურისტი არ დასჭირდება“. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აზრით, 5 წლის განმავლობაში თურმე „არც ერთი ზედმეტი ეკონომისტი არ იქნება საჭირო“.

ამჟამად საქართველოში 800-მდე ინჟინერი და ტეხნიკოსია. ჩვენი მრეწველობისათვის კი 5 წლის დამლევისათვის საჭირო იქნება 1.300 ინჟინერ - ტეხნიკოსი. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები წელს მოგვცემენ 170 ინჟინერ-ტეხნიკოსს. მრეწველობის უზრუნველსაყოფად ინჟინერ - ტეხნიკოსთა ძალებით ჩვენ ყოველწლიურად უნდა გავაფართოვოთ ახალ სპეციალისტების მომზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები საკმაოდ არ აწარმოებენ სტუდენტთა კონტრაქტაციას. აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტთა კონტრაქტაცია ჩაატარა მებამბეობის საკავშირო კომიტეტმა. დაბალი და საშუალო კვალიფიციური მუშა - ხელის მოსამზადებლად დაარსებული იქნება მოკლე ვადიანი და გრძელვადიანი კურსები. სახ. უნივერსიტეტის სას.-სამ. ფაკულტეტის რეორგანიზაციით ჩვენ ვფიქრობთ სპეციალური სას.-სამ. ინსტიტუტის დაარსებას 5 ფაკულტეტით.

გათვალისწინებულია აგრეთვე მეორე საფეხურის სკოლების სპეციალიზაცია. სასწავლებლებში ჩვენ შემოღებული გვაქვს ღარიბთა ფონდები, რაც სწავლისაგან ჩამორჩენის წინააღმდეგ მიმართულ ერთ - ერთ ღონისძიებად ჩაითვლება. ჩვენ უნდა გავადიდოთ სტიპენდიანტთა რიცხვი (წელს განზრახული გვაქვს სტიპენდიების გავრცელება მსმენელთა 30 პროცენტზე). სოფლად სკოლების მშენებლობა იწარმოებს გლეხების თვითდაბეგვრის წესით, ხოლო ქალაქად — სახ. ბიუჯეტით.

რაც შეეხება წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს, პირვანდელი გეგმა, ითვალისწინებდა წერა - კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას 5 წლის განმავლობაში, ეხლა ეს გეგმა შეცვლილია და წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში. წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შეუძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ უცოდინარობას ჩვენ არ აღმოვფხვრით თვით ბავშვებში. აქედან გამომდინარეობს საერთო - საყოველთაო სწავლის შემოღების აუცილებლობა. 5 წლის დამლევისათვის საყოველთაო - სავალდებულო სწავლება შეეხება ბავშვთა 83 პროცენტს (ეროვნულ უმცირესობათ დასახლებულ ადგილებში კი ბავშვთა 70 პროცენტს). სკოლების ნაყოფიერად მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფთ მათ პედაგოგიური პერსონალით. ჩვენ განზრახული გვაქვს 10 ახალი პედაგოგიური ტეხნიკუმის გახსნა და აგრეთვე სახ. უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიური ფაკულტეტის გაფართოება.

5 წლიან გეგმაში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე კლუბების, სამკითხველოების, წიგნთსაცავების და რადიოს მშენებლობას.

ამხ. გეგენავას თანამოხსენება

ამხ. კანდელაკის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. გეგენავა, რომელმაც აღნიშნა, რომ განათლების სახალხო კომისარიატი დიდ გაუბედაობას იჩენს მთელ რიგ სერიოზულ საკითხებში. მაგ. საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღების საქმე მთელ რიგ ადგილებში (აჭარისტანი, ბორჩალო, აფხაზეთი, კახეთის და თბილისის ოლქების ნაწილი და სხვ.) გადადებულია მეორე ხუთწლედამდე. ინჟინერ - ტეხნიკოსთა ძალების მომზადების საქმეც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. განათლების სახალხო კომისარიატმა გეგმის მეორე ვარიანტით გაადიდა მათი რიცხვი და ამავე დროს არავითარი ცვლილება არ შეიტანა ამ ძალების მოსამზადებელ ფინანსიურ გეგმაში. მეორე საფეხურის სკოლებში პედაგოგიური პერსონალი საკმაოდ მომზადებული არაა (უმაღლესი ცოდნით მხოლოდ 23 პროცენტია) განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა იზრუნოს მათ გადამზადებაზე. მიუხედავად სასკოლო შენობების კრიზისისა, განათლების კომისარიატი სხვადასხვა ორგანიზაციებს ურიგებს სასკოლო შენობებს. სასწავლო წელი დაგვიანებით დაიწყო, რაც განათლების კომისარიატის დაუდევრობას მიეწერება. მომავლისათვის ადგილი არ უნდა იქნეს დროის უნაყოფოდ დაკარგვას. იგი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული. დასასრულ, განათლების კომისარიატი დაუშვებელ კარჩაკეტილობას იჩენს თავის მუშაობაში. იგი ერიდება ამ მუშაობის მოქცევას მუშათა მასების კონტროლის ქვეშ. სოციალისტური შეჯიბრება უნდა გავშალოთ განათლების ფრონტზეც.

— : —

კამათი ამხ. კანდელაკის მოხსენების გარშემო გადაიდო გუშინდელ საღამოს სხდომისათვის, ხოლო დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის ჩატარებისა და სოც. შეჯიბრების შედეგების შესახებ.

ახალ-კოლხელშეკრულებათა დადება

(ამხ. ხ. გოდაბრელიძის მოხსენება)

ჩვენ ეხლავე უნდა შევუდგეთ დადებულ კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებას, სთქვა მომხსენებელმა, საქ. პროფსაბჭოს დირექტივის თანახმად 20 დეკემბრამდე უნდა დავამთავროთ ახალ კოლხელშეკრულებათა დადება, მით უმეტეს, რომ ხელფასის ფონდები უკვე დანიშნულია. კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიას ჩვენ პოლიტიკური ხასიათი უნდა მივცეთ, ეს კამპანია გამოყენებული უნდა იქნეს ჩვენი წარმოებების მდგომარეობის კიდევ უფრო უკეთესად შესწავლისათვის. მნიშვნელოვან სამრეწველო დარგებში ხელფასის მომატება მოხდება საშუალოდ 14 პროცენტით. ამის გამო ხელფასის მოსამატებელ ფონდში საქართველოში გადადებულია 630.000 მანეთი. რეალური ხელფასის გასადიდებლად ჩვენ წარმოებებთან უნდა გავხსნათ მუშათა სასადილოები და სხვ., ამიტომ მუშკოოპთან უნდა დაიდოს სათანადო ხელშეკრულებები. ხელფასის მომატების დროს შარშან ჩვენ ვხელმძღვანელობდით შემდეგი პრინციპით: ხელფასს ვუმატებდით მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფებს. წელს ეს უარყოფილი უნდა იქნეს, რადგან ამ გარემოებამ გამოიწვია კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშათა ხელფასის არანორმალური დაახლოვება, რამაც, ერთის მხრივ, გამოიწვია კვალიფიციურ მუშათა უკმაყოფილება და, მეორე მხრივ, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშები არ სცდილობდნენ თავისი კვალიფიკაციის ამაღლებას.

უფლებრივი პირობები უნდა დარჩეს უცვლელად. რადგან განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა იწვევს დღიურ მუშათა ხელფასის შემცირებას (მეტი დასასვენებელი დღეების გამო), ამიტომ, ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს ასეთ მუშებზე სათანადოთ გადიდებული უნდა იქნეს დღიური ხელფასი (რომ არ მოხდეს საერთო ხელფასის ფაქტიური შემცირება). პროფკავშირებმა უნდა უზრუნველყონ კოლხელშეკრულებათა კამპანიის მასიურად ჩატარება.

შეეხო რა სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებულ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც გამომჟღავნებული იყო, როგორც პროფსაბჭოს სპეციალური გამოკვლევებით, ისე მუშათა დამკვრელ ბრიგადების კრებებზე, მომხსენებელმა მოუწოდა პლენუმის წევრებს მიიღონ ზომები ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად და სოციალისტური შეჯიბრების, მისი შემოწმების შემდეგ, უფრო გაძლიერონ მშრომელი მასების მეტი რაოდენობით ჩაბმის საშუალებით.

ორივე საკითხის გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები იზიარებდნენ მომხსენებლის დებულებებს, აღნიშნავდნენ იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ კამპანიის ჩატარების დროს წარსულ წელში.

თბილისის ექიმები კახეთის ოლქში

კახეთის საოლქო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ კახეთში მიიწვია ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის და ქირურგიულ კლინიკის ექიმები პროფ. გრ. მუხაძის მეთაურობით, ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებდა სიღნაღის და თელავის საავადმყოფოების მდგომარეობა. კახეთის მატარებელმა ჩაგვიყვანა სადგურ მელაანში, აქედან ეტლებით გავემართეთ ყოფილ ბოდბის მონასტრისაკენ, სადაც ამჟამად მოთავსებულია კახეთის (სიღნაღის რაიონის) საავადმყოფო. ეხლანდელი საავადმყოფო ოთხსართულიან ყოფილ სკოლის შენობაშია მოთავსებული, რომელიც ამაყად გადაჰყურებს ალაზნის ველს და რომლისაკენაც ამჟამად უხვად მიეშურება კახეთის მოსახლეობის დაავადებული ნაწილი. საავადმყოფო გახსნილია 1924 წლის დასაწყისში. იგი დაშორებულია ქალაქ სიღნაღიდან 2 კილომეტრით. მონასტრის ყველა შენობები, გარდა ეკლესიისა, საავადმყოფოს და მის დამხმარე დაწესებულებებს უჭირავთ.

საავადმყოფოს აქვს შემდეგი განყოფილებები: თერაპევტიული, ქირურგიული და სამეანო—გინეკოლოგიური,—აქვს საკმაოდ მოწყობილი აფთიაქი, ცალკე შენობაში მოთავსებულია კარგად მოწყობილი რენტგენის კაბინეტი შესაფერი შტატით. სერიოზული ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული გამოკვლევით და მეცნიერულ მუშაობას—არის ლაბორატორია, პათოლოგ-ანატომიური მუზეუმი და წიგნთ-საცავი. ყველა ამ დადებით მხარეებთან საავადმყოფოს ერთი დიდი ნაკლი აქვს—ეს არის ელექტრონის სინათლის უქონლობა. თუმცა აქ არის პატარა ძალის მოტორი, მაგრამ მისი ძალა რენტგენის კაბინეტს და წყალსადენს სჭირდება და სინათლისათვის აღარ ჰყოფნით.

თუ რა დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია საავადმყოფოს მოსახლეობაში სჩანს იქიდან, რომ ერთი წლის განმავლობაში საავადმყოფოში გაუვლია 1200 ავადმყოფს და გაუკეთებიათ 500-მდე ოპერაცია. საავადმყოფოს მუშაობის უფრო დაკვირვებით შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ იგი საერთოდ და კერძოდ ქირურგიული განყოფილება შესაფერი სიმაღლეზე სდგას. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ სოციალისტური შეჯიბრების გარდამავალი დროშა, ჯერ-ჯერობით სიღნაღის საავადმყოფოს უპყრია ხელში.

სიღნაღის საავადმყოფოს დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ თელავში. ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა კახეთის მშრომელ მოსახლეობაზე და ჯანმრთელობის მუშაკებზე თელავის საავადმყოფოს შენობის დაწვამ, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით და ოლქის აღმასკომის ინიციატივით ენერგიულად შეუდგენ საავადმყოფოს დამწვარი შენობის აღდგენას. ამ რამოდენიმე თვეში მოსალოდნელია მისი საზეიმო გახსნა. ჯერ-ჯერობით კი თელავის საავადმყოფო მოთავსებულია პატარა და გამოუსადეგარ შენობაში—მას აკლია სააბაზანო და რენტგენის კაბინეტი. მიუხედავად ყოველივე ამისა, მისი მუშაობა ინტენსიური და ნაყოფიერია. კერძოდ ქირურგიულ განყოფილებაში ექიმ დანელიას 8 თვის განმავლობაში გაუკეთებია 500-ზე მეტი ოპერაცია. საავადმყოფოს ექიმებს იმედი აქვთ ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ კიდევ მეტად გააფართოონ მუშაობა, როგორც რაოდენობით, ისე ხარისხობრივად.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გურჯაანში (დღევანდელ ოლქის ცენტრში) გადაწყვეტილია აგებულ იქნეს საავადმყოფო 100 საწოლით, ჩვენთვის უკვე ნათელი გახდება, რომ კახეთის ოლქში კვალიფიციური საექიმო დახმარების საქმე წარმატებით მიდის წინ.

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ექიმები პროფ. გრ. მუხაძის მეთაურობით უკვე მეორედ გაემგზავრენ პროვინციაში, ქალაქის და სოფლის შორის მტკიცე მეცნიერული და პრაქტიკული კონტაქტის დამყარების მიზნით. თვით პროფ. მუხაძის და მისი ასისტენტების მიერ სიღნაღის საავადმყოფოში გაკეთებულ იქნა რამოდენიმე ოპერაცია ადგილობრივი ექიმების თანდასწრებით და დახმარებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარდატეხა, რომელიც მოხდა თბილისის ექიმებში.—პროვინციასთან უფრო ახლოს გაცნობამ ნიადაგი გამოუცალა იმ შიშს, რომელსაც განიცდის ახალგაზრდა ექიმი პროვინციაში წასვლის წინაშე.

დასასრულს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ცენტრ. კლინ. ინსტიტუტის ექიმთა ექსკურსიის წარმატებით ჩატარებას განსაკუთრებით ხელი შეუწყვეს შემდეგმა ექიმებმა: მათეუზოვმა, ჩიკვაიძემ, შავერდოვმა და ბ. ჯაფარიძემ.

ექ. ნ. შიშინაძე.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

კოლექტიური ხელისმოწერის შედეგები

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის შედეგების შესაჯამებლად საქ. პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილი იყვნენ სპეციალური ინსტრუქტორები, რომლებიც მიმაგრებული იქნენ ა.-კ. ფინსახკომზე; აღნიშნულ ინსტრუქტორებს უნდა გამოეკვლიათ თბილისის ოლქის დაწესებულება - ორგანიზაციები, რათა გამოერკვიათ, თუ რა თანხის ობლიგაციები იქნა იქ გასაღებული.

სულ გამოკვლეული იქნა 618 ორგანიზაცია. გამოირკვა, რომ სულ თბილისში ითვლება 63.427 მუშა - მოსამსახურე, რომელთა თვიური ხელფასის ფონდი უდრის 5.732.000 მანეთს. აღნიშნულ რაოდენობიდან სესხზე ხელი მოაწერა 57.385 კაცმა, რომელთა ხელისმოწერის თანხა შეადგენს 5.857.640 მანეთს; საკონტროლო ციფრი თბილისისათვის დაწესებული იყო 4.000.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც პირველ ნოემბრისათვის შესრულებულია 46,5 პროც. გადამეტებით.

წინასწარი ცნობების მიხედვით, მთელს საქართველოში გასაღებულია 11 მილ. მანეთზე მეტის ობლიგაციები. აქედან აჭარისტანში გასაღებულია 923.000 მან. ობლიგაციები (საკონტროლო ციფრი უდრიდა 800.000 მანეთს, დავალება შესრულებულია 115 პროც.), აფხაზეთში — 597.000 მან., სამხრეთ - ოსეთში — 66.000 მან. (საკონტროლო ციფრი უდრიდა 55.000 მანეთს, დავალება შესრულებულია 118,5 პროც.), კახეთში — 351.000 მან. (152,4 პროც.), გორის ოლქში — 656.000 მან. (177 პროც.), ქუთაისის ოლქში — 1.573.000 მან. (109 პროც.), სენაკის მაზრაში—199.000 მან. (120,5 პროც.), ოზურგეთის მაზრაში — 205.000 მან. (158 პროც.), ფოთში — 200.000 (108 პროც.), ზემო - სვანეთში — 21.000 მან. (210 პროც.) და სხვ.

ამიერ-კავკასიის 1929--30 წლის ბიუჯეტი

საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ მოწონებულ ამიერ - კავკასიის 1929-30 წლის ბიუჯეტის განსახორციელებლად და საჭირო ღონისძიებათა შესამუშავებლად ა.-კ. სახკომსაბჭომ გამოჰყო შემდეგი კომისიები:

სოფლის მეურნეობის საკითხებში: ამხ. ამბარცუმიანის, ბუნიტზადეს, ერზინკიანის, ს. ჟულელის, კ. კაკაბაძის, კილოსანიძის, პოლონსკის, შელიქ-დადაევის და ბელენკის შემადგენლობით.

სახალხო განათლების საკითხებში. ამხ. კუზნეცოვის, პირუმოვის, გულოიანის, უბირიას, იონოვის, დ. კანდელაკის და სომხეთის და აზერბეიჯანის განათლების სახ. კომისრების შემადგენლობით.

ვაჭრობის, კოოპერაციის და საკურორტო საქმის საკითხებში: ამხ. ბეგზადიანის, ბუკრეევის, კურსელის, პაჩიკიანის, გიალოიანის, პირუმოვის, გ. მამალაძის და ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის შემადგენლობით.

მრეწველობისა და ელექტროფიკაციის საკითხებში: ამხ. გენკინის, ლაქტიონოვის, პოლოსიანის, ვეინგერის და რესპუბლიკანურ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოების თავმჯდომარეთა შემადგენლობით.

მერძეობა და მებოსტნეობის კოლმეურნეობები

კოლმეურნეობის თბ. საოლქო კავშირმა ვაკეში მოაწყო მერძეობის კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია 18 მერძევე 75 ძროხით.

გადადებულია საჭირო თანხა ამ მეურნეობისათვის 133 ძროხის შესაძენად და შესაფერ ბინების მოსაწყობად.

წლის ბოლოს მეურნეობა ქალაქს დღეში მიაწვდის 150 ფუთ რძეს.

დიღომში ეწყობა ბოსტანი, რისთვისაც გამოყოფილია 50 ჰექტარი. იქვე ეწყობა მერძეობის დიდი ფერმა. დიღომის მებოსტნეობა - მერძეობის კოლმეურნეობის მოსაწყობათ უკვე გადადებულია 10.000 მანეთი. სარძეო ფერმები აგრეთვე ეწყობა სოფ. დიღმაში, სოფ. ლილოში და შუახევში.

მებოსტნეობა - მებაღეობის კოლექტივები არსდება ნავთლუღში, ორთაჭალაში და დიდუბეში. ამ კოლექტივებში გაერთიანებულნი იქნებიან ამავე ადგილებში არსებულ ბაღებში მომუშავე მოჯამაგირეები.

პროფ. ალ. ცაგარელი

პროფესორი ცაგარელი ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელთაგანი იყო მე-60 წლების მოღვაწეთა შორის. მისი პირველი შრომა დაიბეჭდა 1862 წ. გაზეთ „ცისკარში“. ამავე დროს მიეკუთვნება მისი საგულისხმო მოთხრობა ღამის დარაჯთა ცხოვრებიდან: „ასასი ბედკრულაძე“, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ჟურნალ „დროებაში“. „დროებაშივეა“ მოთავსებული ცაგარელის მთელი რიგი კრიტიკულ წერილებისა მე-19 საუკუნის ქართული მწერლების შესახებ (იხ. „ჩვენი უბედური მწიგნობრობა მე-19 საუკუნეში“. წერილები მიუნხენიდან). აქ გარჩეულია თხზულებანი ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვ.

მაგრამ ალექსანდრე ცაგარელის ნამდვილი სამეცნიერო მოღვაწეობა იწყება 1872 წლიდან, როდესაც იგი, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული, ც. პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად იქნა არჩეული.

მრავალმხრივია ამ ხნიდან შრომა პროფესორ ცაგარელისა ქართული ენის სიტყვიერების, საქართველოს ისტორიისა და სიძველეთა ძიების საქმეში.

ქართული ენის მკვლევართა შორის პროფ. ცაგარელი პირველი იყო, რომელმაც ამ ენის ბუნებისა და თვისების საკითხი სამეცნიერო ნიადაგზე დააყენა., (იხ. მისი: О грамматической литературе грузинского языка, Петербург, 1873 г.

პროფ. ცაგარელი მარტო თეორიულად არ სვამდა საკითხს.

იგი თვითვე იყო მისი პირველი პრაქტიკულად განმახორციელებელიც. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია მისი „Мингрельские этюды“ ორ წიგნად გამოსული (ტექსტი და ფონეტიკა).

ქართული სიტყვიერების ძიებაში პროფ. ცაგარელმა იმ თავითვე გაითვალისწინა ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც მას შეუხდებოდა მუშაობა: მაშინ, როდესაც უცხო ენის სიტყვიერების აღმწერელს მთელ რიგ მუშაკთა მიერ აღნუსხულ და კრიტიკულად გამოცემულ მასალასთან ჰქონდა საქმე, ქართული სიტყვის მკვლევარი იძულებული იყო თავად შეესრულებია სიტყვის ისტორიისათვის საჭირო წინასწარი სამუშაო: თვითონ უნდა აღმოეჩინა ხელნაწერთა ადგილსამყოფელი, აღენუსხა იგინი, შეესწავლა თვითოეული სათანადოთ და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო ხალხის გონებრივ ნასიბრძნის სისტემატიზაცია, ხალხის სიტყვის თანდათანი განვითარების გათვალისწინება.

პროფ. ცაგარელიც შეუდგა იმ ხელნაწერების შესწავლას, რომელიც მრავლად დაცულია როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ წიგნთსაცავებსა და მუზეუმებში და თავის დროისთვის პირნათლადაც შეასრულა ეს პასუხსაგები საქმე.

ამ მხრივ მისი სამ წიგნად გამოსული „Сведения о памятниках грузинской письменности“ დღესაც ის წყაროა, რომელსაც ქართული სიტყვის ისტორიკოსი ვერას გზით ვერ აუვლის.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესორ ცაგარელის მიერ კრიტიკულად დამუშავებული და გამოცემული საბუთები, როგორიცაა „Грамоты и другие исторические документы XVIII в., относ. к Грузии“ სამ წიგნათ, „Сношение России с Кавказом“. და სხვ.

პროფესორი ცაგარელი ქართულ არქეოლოგიას და ნუმიზმატიკასაც არ სტოვებდა უყურადღებოდ: ამ მხრივ საგულისხმოა მისი: „Грузинские монеты, чеканившиеся в гор. Тифлисе с 1801 по 1830 г.“, და სხვ.

მაგრამ ცაგარელი დიდი პრაქტიკოსი-მუშაკიც იყო: ის მხურვალე მონაწილეობას იღე- შაკიც იყო: აქ მხურვალე მონაწილეობას იღებდა მრავალ საზოგადოებრივ საკითხების გადაწყვეტაში.

პროფესორი ალ. ცაგარელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ორიენტალისტების და არქეოლოგების თითქმის ყველა კონგრესში როგორც რუსეთში, ისე მის გარეთ: ნორვეგიაში, შვეციაში, საფრანგეთსა და იტალიაში; იყო წევრად მრავალ სამეცნიერო საზოგადოებათა, როგორიცაა რუსეთის საისტორიო, საგეოგრაფიო, საარქეოლოგიო, პალესტინისა და სხვა, აგრეთვე პირველად მისი ინიციატივით დაარსებულს ქართველ-სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარედ ც. პეტერბურგში.

ვუკ. ბერიძე.

ქრონიკა

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის აკრეფა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, 1 ნოემბრისათვის საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) აკრეფილი იყო 1.330.265 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

საავადმყოფოები პელაგრით დაავადებულთათვის

პელაგრით დაავადებულთათვის საავადმყოფოების მოსაწყობად დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის სამაზრო აღმასკომების ჯანმრთელობის განყოფილებებს დაუგზავნა ხუთხუთი ათასი მანეთი.

ცხენები მებამბეობის რაიონებისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ ა.-კ. მებამბეობის რაიონებისათვის მებამბეობის კომიტეტმა ჩრდილოეთ-კავკასიაში შეიძინოს 4.000 ცხენი თავისი შესაბმელი მოწყობილობებით. ამ ოპერაციის ჩასატარებლად მებამბეობის კომიტეტს მიეცემა სესხი ა.-კ. სას.-სამ. ბანკიდან.

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა ამ მიზნისათვის ა.-კ. სას.-სამ. ბანკს გაუხსნას 300.000 მანეთის კრედიტი.

აკადემიკოს პისარჟევსკის მოწვევა

სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამგეობის მოწვევით ამ დღეებში ქიმიის კათედრას ჩაიბარებს აკადემიკოსი პისარჟევსკი, რომლის ხელმძღვანელობით ახლო მომავალში გაიხსნება — განსვენებულ პროფ. პ. მელიქიშვილის სახელობის საგამოკვლევო ქიმიური ინსტიტუტი. აკად. პისარჟევსკი ამ დღეებში შეუდგება ლექციების კითხვას.

ახალი ტეხნიკუმი

საქ. პროფსაბჭო კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლასთან ხსნის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმს ქართულ და რუსულ სექტორებით. ტეხნიკუმში მიიღებენ იმ პირებს, რომელთაც აქვთ 3 წლის შრომის სტაჟი და 7 წლედის დამთავრების მოწმობა ან დაუმთავრებიათ საქარხნო-საფაბრიკო სკოლა.

მისაღები გამოცდები დაიწყება 23 ნოემბრიდან. ადგილები განაწილებულია პროფკავშირთა შორის.

აღმშენებელთა მომზადება

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ მშენებელ მუშათა მოსამზადებლად უმაღლეს ორგანოებიდან დამატებით გამოითხოვა 10.000 მანეთი.

მეცხვარეთა ყრილობა

მეცხვარეთა სრ. საქართველოს ყრილობა, რომელიც 20 ნოემბერს უნდა შემდგარიყო გადაიდო 25 ნოემბრისათვის.

თბ. აღმასკომში

◆ საექიმო დახმარება სტუდენტებს. ღარიბ სტუდენტებს ყველა ამბულატორიებში გაუწევენ უფასო საექიმო დახმარებას.

◆ საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს კვირეულის სასარგებლოდ თბილისის აღმასკომმა გამოყო ტრამვაის ერთი ვაგონი. კვირეული იწყება დღეიდან.

სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

◆ განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკა — მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში საწარმოო პრაქტიკაზე პოლიტეხნ. ინსტიტუტიდან გაიგზავნება 1.508 სტუდენტი.

◆ საზოგადოებათმეცნიერების კათედრის გამგეთ და საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეთ თბილისის პოლიტეხნ. ინსტიტუტის გამგეობამ აირჩია ამხ. დავით დოლიძე.

◆ აკადემიური წმენდა — მიმდინარე თვის 20-ისათვის თბ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დამთავრდება სტუდენტთა აკადემიური წმენდა.

სხვადასხვა

◆ კვალიფიკაციის ასაწევად. სახ. მეურ. საბჭო სხვადასხვა დარგის წარმოებათა მუშების კვალიფიკაციის ასაწევად ხსნის თითო წლიან რამდენიმე საღამოს კურსებს.

◆ წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლებში უკვე დაიწყო მეცადინეობა.

◆ ასირიული ახალი ანბანის შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად განსახკომში, ეროვნულ უმცირესობის განყოფილებაში, მოწვეულია სპეციალური თათბირი.

◆ საბიბლიოთეკო ლაშქრობა. დღეიდან იწყება საბიბლიოთეკო კულტურული ლაშქრობა.

◆ აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანების გადასამზადებელ-საანგარიშო ეკონომიურ კურსებზე მეცადინეობა იწყება ა.-წ. 15 ნოემბრიდან.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომრის მოწინავე წერილში კორექტორების დაუდევრობით გაიპარა შეცდომა: მეორე აბზაცი ზევიდან იწყება შემდეგი სიტყვებით: „სამზადისი პარტიის წმენდისათვის უკვე კარგა ხანია დაიწყო“... უნდა იყოს: „სამზადისი აპარატის წმენდისათვის უკვე კარგა ხანია დაიწყო“.

სასამართლო

ბნელით მოცული მკვლელობის გამოაშკარავება

გასულ წელს, აგვისტოში ს. ფასანაურში მოჰკლეს აქტიური მუშაკი, პარტიის წევრი ადგილობრივი კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. იოსებ გუდიაშვილი.

გუდიაშვილს ადგილობრივ გლეხებში და პარტორგანიზაციაში დიდი ნდობა და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. გუდიაშვილის მოკვლამ საერთო აღშფოთება გამოიწვია. მკვლელობის მიზეზის გამოსარკვევად და ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. ეჭვით დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე პირი.

ექვსი თვის განმავლობაში სწარმოებდა კვლევა-ძიება, მაგრამ უშედეგოდ. მკვლელობა ისე ოსტატურად იყო ჩადენილი, რომ ბოროტმოქმედების კვალის აღმოჩენა შეუძლებელი გახდა. სხვებთან ერთად ეჭვით დაპატიმრებული იყო კომკავშირელი ქალი მარო აფციაური, რომელსაც გუდიაშვილის საცოლედ სთვლიდნენ.

მამხილებელ საბუთების უქონლობის გამო ეჭვით დაპატიმრებულები გაანთავისუფლეს, მათ წინააღმდეგ საქმე მოისპო. მკვლელობა დარჩა საიდუმლოებით მოცული. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო.

დაახლოვებით სამი თვის წინ, თბილისის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ მიიღო საიდუმლო ცნობა, რომ ფასანაურის მილიციის უფროსს ლადო ხუციშვილს კავშირი აქვს კერძო ვაჭრებთან, სჩადის სხვადასხვა ბოროტმოქმედებას. სხვა ბოროტმოქმედებათა შორის ხუციშვილს აბრალებდნენ მარო აფციაურის იძულებით გაუპატიურებას. იმ დროს, როცა გუდიაშვილი მოჰკლეს, ხუციშვილი ითვლებოდა სისხლის სამართლის მილიციის რწმუნებულად დუშეთის მაზრაში.

საიდუმლო ცნობის მიღებისას ფასანაურში გაგზავნილ იქნა სისხლის სამართლის მილიციის ინსტრუქტორი, რომელმაც მოახდინა კვლევა-ძიება. ხუციშვილს დაუმტკიცდა ვაჭრებთან კავშირი, მაგრამ ქალის ძალით გაუპატიურების ფაქტი კითხვითი ნიშნის ქვეშ დარჩა. ქალმა ორჭოფული ჩვენება მისცა. არც უარჰყო გაუპატიურების ფაქტი, არ დაადასტურა.

საქმე ინსტრუქტორის დასკვნით გადმოეგზავნა თბ. ოლქის პროკურატურას და განსახილველად გადაეცა პროკურორს ამხ. კობიძეს. სწორედ იმ ხანებში პროკურორი ამხ. კობიძე მიემგზავრებოდა დუშეთში სხვა საქმეების გამო. ის დაინტერესდა ხუციშვილის საქმით. ყურადღებას იპყრობდა ქალის ორჭოფული განცხადება.

ამხ. კობიძე ადგილობრივ იწყებს საქმის დამატებით გამოკვლევას. იბარებს აფციაურის ქალს დასაკითხავად. ამ დროს პროკურორი იღებს უსახელო წერილს, რომელშიაც სწერია: „ქალი, რომელსაც თქვენ ჩვენებას ართმევთ, გუდიაშვილის მკვლელია".

პროკურორმა მიაგნო უსახელო წერილის ავტორს. ადგილობრივ გამოძიების დახმარებით გასდია კვალ-და კვალ მამხილებელ ფაქტებს და მალე შესაძლებელი გახდა გუდიაშვილის მკვლელების აღმოჩენა.

აი ამ ბნელი საქმის ისტორია. იოსებ გუდიაშვილსა და მარო აფციაურს უყვარდა ერთმანეთი. მარო ითვლებოდა გუდიაშვილის საცოლედ. ამის შესახებ იცოდნენ ქალის მშობლებმა და მეზობლებმა. კომკავშირელი მარო აფციაური მსახურობდა საქმის მწარმოებლად ფასანაურის მილიციაში.

იმ დროს სისხლის სამართლის მილიციის რწმუნებული დუშეთის მაზრაში ლადო ხუციშვილი გაიცნობს აფციაურის ქალს და აღარ ეშვება... დასდევს, არ აძლევს მოსვენებას, ეჩიჩინება: „ცოლად გამომყევიო" ქალი ცივ უარს ეუბნება ხუციშვილს.

მაგრამ ხუციშვილი თავისას არ იშლის. ხან მუქარით, ხან ცოლის გაშვების შეპირებით ცდილობს ქალის გულის მოგებას. არც ერთი ხერხი არ გასჭრის.

ერთ საღამოს, როცა მარო აფციაური მარტო იყო თავის სახლში, ხუციშვილი მიდის მასთან სტუმრად, დაიმარტოხელებს ქალს და მოკვლის მუქარით ძალით იკავებს მასთან სქესობრივ კავშირს.

— არსად არ გამხილო, თორემ ინანებ, ემუქრება ხუციშვილი აფციაურის ქალს. ეხლა გუდიაშვილი ხომ აღარ შეგირთავს. გირჩევნია მე გამყვე ცოლად..

მეორე დღეს ატირებული მარო მივარდება გუდიაშვილთან და უამბობს ყველაფერს.

გუდიაშვილი ამშვიდებს ქალს. აიმედებს, რომ მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც მოხდა, მაინც შეირთავს მას ცოლად, ხოლო ხუციშვილს გადაუხდის სამაგიეროს.

ხუციშვილმა გაიგო, რომ გუდიაშვილმა იცის ყველაფერი.... გრძნობს, რომ სამაგიეროს გადახდას მოინდომებს გუდიაშვილი.

გუდიაშვილი აღარ დადის აფციაურის ოჯახში. ეს გარემოება ხუციშვილმა გამოიყენა იმისათვის, რომ ქალი საბოლოოდ გადაებირებია და დაეთანხმებია ცოლად გაყოლაზე.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი აძლევს პირობას ხუციშვილს, მაგრამ ერთგვარ უხერხულობას გრძნობს გუდიაშვილის წინაშე.

— თუ გუდიაშვილია მთავარი დაბრკოლება, მას ისე გავაქრობ, რომ ეშმაკმაც ვერ ნახოს მისი გზა-კვალი,—ეუბნება ხუციშვილი აფციაურის ქალს.

ხუციშვილი და აფციაურის ქალი უკვე შეხმატკბილდნენ. მათ ერთად შეიმუშავეს გუდიაშვილის მოკვლის გეგმა.

და ერთ ღამეს, როცა გუდიაშვილი კრებიდან ბრუნდებოდა, ხუციშვილი ჩაუსაფრდა და მხეცურად მოჰკლა იგი.

ხუციშვილმა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებში საკმაოდ გამოცდილი იყო, შესძლო ბოროტმოქმედების კვალის დაფარვა, მით უფრო, რომ იმ ხანებში ის თვითონ ასრულებდა ხელისუფლების წარმომადგენლის როლს.

მარო აფციაური მოერთო შავებში და გუდიაშვილის ცხედარი „გლოვით" მიაცილა სამარემდე.

ხუციშვილმა დაპირება ცოლად შერთვის შესახებ ვერ მოიყვანა სისრულეში, რადგან მეორე ცოლი მოკვლით დაემუქრა მას.

როცა ეს საზიზღარი მკვლელობა გამოაშკარავდა, ხუციშვილს პირში წაუდგა აფციაურის ქალი, რომელმაც ბოლოს გულახდილად ილაპარაკა ყველაფერი და ითხოვა, როგორც მისი ისე, ხუციშვილის სასტიკად დასჯა.

საქმის გამოძიება დამთავრებულია. ხუციშვილი და აფციაურის ქალი გასამართლებული იქნებიან საჩვენებელი პროცესით ადგილობრივ.

ვერ.

ხელოვნება

სომხური დრამა

სეზონის გახსნა

პიესა „ახჩა-კუიმა"

სომხური დრამის სეზონი რუსთაველის თეატრში წელს ცოტა დაგვიანებით გაიხსნა — 13 ნოემბერს — ა. კუხიკოვისა და ლვოვის პიესით „ახჩა-კუიმა".

სომხური დრამის ხელმძღვანელთ მიმდინარე წელსაც განზრახული აქვთ რეპერტუარის დარგში მტკიცედ განაგრძონ ის კურსი (ისეთი პიესების დადგმა, რომელნიც თანამედროვე რევოლუციონურ მოთხოვნებს შეეფერებიან), რომელიც ამდენად ნაყოფიერი გამოდგა გასული წლის სეზონში.

ამხ. კუხიკოვისა და ლვოვის პიესა ეხება ბაქოს 1918 წლის იმ ამბებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ 26 კომუნარის დახვრეტას. პიესის ავტორებმა ამოცანად დაისახეს თეატრალური ფორმით მოეცათ იმის აღწერა, რაც განიცადა ბაქომ 1918 წელს. რა მოეთხოვება ასეთ სათეატრო ქრონიკას? ამბების გადმოცემის სისწორე და შემდეგ სანახაობის თეატრალობა, ე. ი. პიესის ყურება უნდა შეიძლებოდეს ხალისით და ინტერესით. პირველი მოთხოვნა ავტორებს თითქმის სრულიად დაუკმაყოფილებიათ: რკინის გზის დარაჯის დახვრეტის ფინალური სცენისა (რის მთლიანად დადასტურებაც არ შეიძლება) და დაპატიმრებულ კომუნართა ევაკუაციის სცენის გარდა, ყველგან დაცულია გადმოცემულის ისტორიული სისწორე (რა თქმა უნდა, არაფერს ვამბობთ რომანტიულ ეპიზოდზე, რომელიც ჩართულია პიესაში). რაც შეეხება პიესის თეატრალობას, ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზე ვერ არის. საუკეთესო სცენებია — მე-7, მე-8 და მე-10 სურათები, ხოლო დანარჩენ სურათებს ემჩნევა დინამიურობის (სცენიური მოძრაობის) ნაკლებობა და ზოგიერთი გაჭიანურება. ჩვენთვის, ვინც მოსწრებია და ვისაც ნაწილობრივ უნახავს კიდეც, პიესში აღწერილი ამბები, პიესა „ახჩა-კუიმა", როგორც ისტორიული ქრონიკა, იმდენად დიდ ინტერესს არ წარმოადგენს, მაგრამ გაივლის წლები და ეს პიესა უეჭველად განსაკუთრებით საინტერესო გახდება, თუ მასში შეტანილი იქნება აუცილებელი გაუმჯობესებანი თეატრალობის მხრივ. ახალგაზრდა ავტორების პირველი ცდა წარმატებით დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

პიესა რეჟისორულად ძალიან კარგად არის დადგმული, მასიური სცენები აღსავსეა სიცოცხლით, მხოლოდ მიტინგის სცენაში კარგი იქნებოდა ხმაურობის რამდენადმე შემცირება, თორემ ზოგჯერ ძნელი ხდება მასას განწყობილების გაგება. კარგია დეკორაციები, მაგრამ მათი სილამაზე მაყურებელს ცოტა არ იყოს ძვირად უჯდება: ანტრაქტები მეტად გაჭიანურებულია!..

შესრულება მწყობრია. ცალკე შემსრულებელთაგან აღსანიშნავია ხეჩარი (სონია), რომელმაც ძლიერი გრძნობით ჩაატარა სცენა ტიგ ჯონსონთან, და არმენიანი, რომელმაც მოგვცა გენერალ დენსტერვილის კოლორიტული ფიგურა. ტიგ ჯონსონის როლი მეტად მკრთალია და ალიხანიანმა ამ როლით ვერაფრის შექმნა ვერ შესძლო. შეიძლებოდა დაგვესახელებია ზოგიერთი სხვა შემსრულებელიც, მაგრამ, სამწუხაროდ, აფიშების უქონლობა გვისპობს საშუალებას დავასახელოთ ეს მსახიობები (თუ ასე ძნელია პატარა აფიშების დაბეჭდვა, ნუ თუ არ შეიძლებოდა თეატრის დერეფანში გამოეკრათ 1—2 დაწვრილებითი აფიშა მსახიობთა გვარებით?).

პ. დ.

ხელოვნების ქრონიკა

ლიტერატურული საღამოები

პარასკევს, 15 ნოემბერს, წითელ არმიის სახლში საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აწყობს ლიტერატურულ საღამოს. მოხსენება ქართულ და რუსულ ენაზე: ქიქოძე, როზენფელდი; მონაწილეობას იღებენ — მწერლები: ს. ეული, ალ. მაშაშვილი, ნაროუშვილი, ხერხეაშვილი, ქუჩიშვილი, სამსონიძე, კაჭახიძე, ბობოხიძე, ჩიქოვანი ს., გრებენშჩიკოვი, სიტკოვსკი და კრეიტანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

პარასკევს, 15 ნოემბერს, მეტყველთა კლუბში საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აწყობს ლიტერატურულ საღამოს. შესავალი სიტყვა: ალ. სულავა. მონაწილეობას იღებენ მწერლები: ნავთლუღელი, შინატეხელი, ლორთქიფანიძე, აბაშიძე, ადამია, ერთაწმინდელი, გ. რუხაძე, შიშმან პოლოსიან, რუბენ აგაბაბ, პაიაზატ, ხალატ, გრიკ, ვართან სიმონიან; დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— : —

◆ ოპერის თეატრში მე-10 აბონემენტისათვის დღეს წარმოდგენილი იქნება „გედების ტბა".

◆ რუსთაველის თეატრში ხვალ, პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „ღვარძლი".

◆ მოზარდ მაყურებელთა თეატრში დღეს გაიმართება დიდი საბავშო კონცერტი.

ჭადრაკი

რკინისგზელთა კავშირის ჩემპიონატი

კვირას, 10 ნოემბერს, ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში რკინის გზელთა კავშირთან არსებულმა საჭადრაკო სექციამ გამართა ჭადრაკის საღამო, რომელზედაც ვ. ნენაროკოვმა გააკეთა მოხსენება „ალიოხინის და ბოგოლიუბოვის მატჩის შესახებ". მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა - გამოცვლა; ამ მატჩის შესახებ დასასრულ გაიმართა ბლიცტურნირი თბილისის საუკეთესო მოჭადრაკეების მონაწილეობით (30 კაცის შემადგენლობით), რომელშიაც პირველი ადგილი ჰხვდა ვ. გოგლიძეს, მეორე ადგილი — ვ. ნენაროკოვს.

სამშაბათს, 12 ნოემბერს, გათამაშებული იქნა შეჯიბრების პირველი ტური: გოგლიძემ მოუგო პეტროსიანს, კანკავამ—გოლბას, შიშოვმა — სემიანიშინს, ხოტელაშვილმა — ალიმბარაშვილს. დანარჩენი პარტიები გადადებულია. შაბათს 16 ნოემბერს გათამაშებული იქნება მეორე ტური. თამაში სწარმოებს კვირაში ორჯერ: სამშაბათობით და შაბათობით. თამაშის დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 15 ნოემბერი

დილით, თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს „მუშათა შუადღე"-ს; პროგრამაში—კონცერტი და ახალი ამბები.

საღამოს 5 საათიდან გადაცემული იქნება —მუსიკა ნასადილევს; მოსწავლისა და პიონერის საათი — „ჩვენი სკოლა", სომხურ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზეთი „ენი კენდი" რადიოთი, თურქულ ენაზე; ლექცია სამეცნიერო ბუნებისმეტყველებიდან — „სიცოცხლის წარმოშობა დედა-მიწაზე, ქართულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); დროის შემოწმება და ცნობების გადაცემა. კონცერტი სტუდიიდან; ბალეტ „გედების ტბა"-ს მუსიკის ტრანსლიაცია სახ. ოპერიდან; უკანასკნელი ამბები.

ნარევი

დედამიწის მოსახლეობა

ერთა ლიგის სამდივნოს მიერ გამოშვებულ სტატისტიკურ ცნობარში გამოქვეყნებულია საინტერესო ცნობები დედამიწის მოსახლეობის ზრდის შესახებ უკანასკნელი 15-16 წლის განმავლობაში. 1913 წელს დედამიწის მოსახლეობა უდრიდა 1.808 მილიონ სულს. 1926 წლისათვის ეს ციფრი გაიზარდა 134 მილიონით (7 პროც.-ით) ე.ი. 1.932 მილიონს მიაღწია. თუ ჩავთვლით, რომ დედამიწის მოსახლეობა ასეთივე ტემპით იზრდება, იგი ახლა 1.950 მილიონ სულს უნდა შეადგენდეს.

დედამიწის მოსახლეობა ქვეყნიერების მხარეების მიხედვით ასე ნაწილდება: აზიაში ცხოვრობს კაცობრიობის ნახევარზე მეტი 1.026 მილიონი, ევროპაზე მოდის 514 მილიონი, ამერიკაზე — 232 მილიონი, აფრიკაზე — 146 და ავსტრალიაზე და წყნარ ოკეანეს კუნძულებზე—9 მილიონი. მოსახლეობის ყველაზე მეტ ზრდას იძლევა აზია. ევროპაში მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა უკანასკნელი 15-16 წლის განმავლობაში 3 პროცენტს უდრის.

ტრანსატლანტიური მიმოსვლა ცეპელინებით

უახლოესი წლების განმავლობაში განზრახულია ცეპელინებით მიმოსვლის მოწყობა გერმანიისა და ამერიკის შუა. ამ მიზნით აგებული იქნება 4 ახალი ცეპელინი, ნაწილობრივ ამერიკული, ნაწილობრივ კი გერმანიის საშუალებებით. ახალ დირიჟაბლებს რამდენიმეთ სხვა ფორმა ექნება ვიდრე არსებულ ცეპელინებს: მათი სიმაღლე მეტი იქნება, განი კი ვიწრო. ტრანსატლანტიური მიმოსვლის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით მუშავდება გერმანიაში, საფრანგეთში და შეერთ. შტატებში ახალი საჰაერო სადგურების მოწყობის საკითხი.

რკინისგზაზე

რატომ იყო შეწყვეტილი მოძრაობა

გუშინ, ა.-კ. რკინის გზების აღმოსავლეთის უბანზე მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილი იყო 6 საათის განმავლობაში.

ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: სადგ. ლეჯეთიდან წასვლის დროს ბაქო - როსტოვის სახალხო მატარებლის ორთქლმავალს გაუტყდა ღერძი; მატარებელი გაჩერდა გზაში. მის დასახმარებლად ხაჩმასიდან და დერბენტიდან გაგზავნეს სპეციალური მატარებელი.

გზა დაკავებული იყო 6 საათის განმავლობაში და ამის გამო მოძრაობაც არ სწარმოებდა.

საქმის შესრულების შემოწმება

ა.-კ. რკინის გზების გამგეობასთან დაარსდა საკონტროლო - საგეგმო ბიურო, რომელსაც დაევალა თვალყური ადევნოს ყველა იმ დავალებათა შესრულებას, რომელთაც გზის გამგეობა აკისრებს ცალკე განყოფილებებს. ბიუროში შედის სამი კაცი.

დაწესებულია აგრეთვე კონტროლი განყოფილებებში საქმის შესრულებაზე.

ორთქლმავლების გაფუჭება

გუშინ ა.-კ. რკინის გზებზე ადგილი ჰქონდა ორთქლმავლების გაფუჭების ორ შემთხვევას. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ბალაჯარი-ხურდალანს შუა. გაფუჭდა მატ. № 1003-ს ორთქლმავალი; ამის გამო მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილი იყო 1 საათ. ნახევრით.

მეორე მარცხი შემთხვა მოსკოვ—თბილისის ჩქარი მატარებლის № 18-ს ორთქლმავალს სადგ. აჯიკაბულში. ორთქლმავალში გასკდა სახურებელი მილი. ორთქლმავლის შეცვლამდე მატარებელი გაჩერებული იყო 36 წუთს.

შემთხვევები

მძარცველთა ბანდის ლიკვიდაცია

უკანასკნელ ხანებში თბილისის ოლქში გახშირდა ოთხფეხა საქონლის მოპარვა. სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდნენ: სამად ორუჯ-ოღლი, მუსა-ოღლი და მამედ ისმაილ-ოღლი. ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით მძარცველები დაკლულ საქონლის ხორცს ფლავდენ სპეციალურად ამოთხრილ ორმოში. ხოლო ტყავს ყიდდენ.

ყველა ქურდები დაპატიმრებულია.

ქურდობა

მექანიკურ სახელოსნოდან (კლარა ცეტკინის ქ. № 137) მოიპარეს 1000 მანეთის კალა. ამ საქმეზე დააპატიმრეს: ბენედიქტე ალექსანდრეს ძე მუქერია, რუს. ოსმანოვი და ტალჰად არმიხედ-ოღლი.—გაქურდეს ს. არუთინოვის ბინა (მცხ. ნარიყალის ქ. № 5), საიდანაც წაიღეს 200 მანეთის ნივთები,—ბარბალე კონნიკჩენკოს ბინიდან (კრილოვის ქ. № 4) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები,—ვარლამ ქარსელაძის ბინიდან (კალინინის მოედანი № 13) მოიპარეს 182 მანეთის ნივთები,—გაქურდეს მუშკოოპის № 475 მაღაზია (კომინტერნის ქ. № 8); წაიღეს ფულად 360 მანეთი.

ჯიბგირობა

მუშკოოპის მაღაზიაში (კომინტერნის ქუჩა) გრ. ჰელიძეს ჯიბიდან ამოაცალეს ფულად 59 მანეთი და ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები,—ც. სულიასოვს კომუნალურ ბანკში ვიღაც უცნობმა პირმა ჯიბიდან ამოაცალა 45 მანეთი. ბოროტმოქმედნი —ვალენტინ პაველს ძე პაველიჩევი და ვლადიმერ ივანეს ძე გიდროცევი იქვე დააპატიმრეს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს წიგნ. № 00156299.

კითხვა:

ვარ მზრდელთა კავშირის წევრი. მორიგ შვებულების დროს ავად გავხდი. ვიწექი სანატორიუმში ორი თვე. შვებულება მქონდა მოცემული ერთი თვით. მეკუთვნის თუ არა ავადმყოფობის დროს გაცდენილი დღეების და აგრეთვე სანატორიუმის საფასური.

პასუხი:

თუ თქვენ მწოლიარე ავადმყოფი იყავით, ის დრო, რაც ავად იყავით, არ უნდა ჩაგეთვალოთ შვებულების ვადაში და ამ დროის განმავლობაში თქვენ უნდა მოგეცეთ დახმარება დროებით შრომის უნარიანობის დაკარგვის გამო.

უფასო სამკურნალო დახმარება სანატორიუმებში მოთავსებით ყველა მუშა - მოსამსახურეს ვერ მიეცემა, რადგან სანატორიუმებში უფასო საწოლების რიცხვი განსაზღვრულია. ადგილები სანატორიუმებში ნაწილდება კავშირების მიერ, განსაკუთრებული წესით. ამის გამო, სანატორიუმში გადახდილი ფულის დაბრუნებისათვის არ მოიპოვება საფუძველი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

პურის დამზადების რაიონებში სასყიდლიანი შრომითი ჭაპანწყვეტის ბეგარის შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს სასოფლო საბჭოებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის, პურის დამამზადებელი ორგანიზაციების შუამდგომლობით და თვითეულ ცალკე შემთხვევაში საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, სასყიდლიანი შრომითი ჭაპანწყვეტის ბეგარა დამზადებული პურის პროდუქტების გადასაზიდად რკინისგზისა და წყალსავალი გზის დატვირთვის ადგილამდე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ბეგარა შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ პურეულის ტვირთის გადაზიდვა ხელშეკრულებითი შეთანხმებით შეუძლებელია ან იმის გამო, რომ ამა თუ იმ ადგილას ჭაპანწყვეტის ტრანსპორტი არ იშოვება, ან იმის გამო, რომ ჭაპანწყვეტის ტრანსპორტზე ადგილობრივ მეტად დიდი თავისუფალი ფასებია.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ ბეგარის წესით პურეულის ტვირთის გადაზიდვისათვის სასყიდლის გაღება მოხდება მტკიცე შეფასებით, რასაც დააწესებს ა.-კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველო.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკისა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. მდივანი ს. თოდრია.

1929 წ. ნოემბრის 11.

თბილისი,—სასახლე.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

პურეული ტვირთის დასატვირთავად და გადმოსატვირთავად საჭირო მუშაობის შესრულების მიზნით ადგილობრივი საბჭოებისათვის შრომის ბეგარის შემოღების ნებართვის მიცემის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება მიეცეს სასოფლო საბჭოებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის, პურის დამამზადებელი ორგანიზაციების შუამდგომლობით, შრომის ბეგარა პურეულის ტვირთის დასატვირთავად და გადმოსატვირთავად საჭირო მუშაობის შესრულების მიზნით.

2. მოსახლეობის გაწვევა აღნიშნული ბეგარის მოსახდელად შეიძლება იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია შრომის კანონთა კოდექსის 12—14 მუხლებში; ამასთანავე თვითეული ბეგარა — ვალდებული პირი შეიძლება გაწვეულ იქნეს დატვირთვის სამუშაოს შესასრულებლად არა უმეტეს, ვიდრე სამი დღით

3. შრომის სახალხო კომისარიატს ევალება ერთი კვირის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

4. დადგენილება ესე მოქმედობს საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე, აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქითურთ, 1930 წლის თებერვლის 1-მდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ლ. სუხიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტ. მდივანი ს. თოდრია.

1929 წ. ნოემბრის 11.

თბილისი,—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე, კომკავშირის აგროფაკის № 6 უჯრედის ბიურო იწვევს ბიუროს სხდომას აქტივთან ერთად. დასწრება ბიუროს წევრ - კანდიდატთა სავალდებულოა.

— : —

დღეს, 15 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ს. ს. პ. ი. დიდ სამხაზველოში შესდგება ა. ლ. კ. კ. კოლექტივის გაერთიანებული კრება; დღის წესრიგში: ბიურო - კოლექტივის ანგარიში და გადარჩევა

— : —

დღეს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე. რკ. გზის მე-8 შრომის სკოლის შენობაში შესდგება ლენინაიონის განათლების მუშაკთა კომპარტიის და ა. ლ. კ. კ. უჯრედის გაერთიანებული კრება. კომპარტიის წევრებისა, კანდიდატების და კომკავშირის წევრების დასწრება სავალდებულოა.

— : —

შაბათს, 16 ნოემბერს, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში, საღამოს 6-დან 8 საათამდე იმორიგევებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიის, ლენინიზმისა და მიმდინარე პოლიტიკის კონსულტანტი ქართულ ენაზე.

დღეს, 15 ნოემბერს, დღის 1-ლ საათზე, შესდგება სახ.-უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა; აქტივთან ერთად, დასწრება სავალდებულოა ბიურო-კოლექტივისა და ცალკე ბიუროების წევრ - კანდიდატებისათვის. სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: 1) მალაქია ტოროშელიძე, 2) ვაჩნაძე, 3) დოლიძე დავით, 4) გრიშა ჭელიძე, 5) ორლოვი, 6) გაბუნია და პარტიიდან მიმაგრებული ამხანაგები.

— : —

ორშაბათს, 18 ნოემბერს, დღის სრულ 12 საათზე ამხ. ბედიასთან შესდგება თათბირი. აუცილებელია შემდეგი ამხანაგების დასწრება: ჩხეიძე (აბრეშუმის ტრესტი), დმიტრიევი („საქართველოს ჩაი"), კაჭარავა (მიწსახკომი), გვარამია („სოფლის კავშირი"), გოგებაშვილი(ცეკავშირი).

— : —

15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე 26 კომუნარის რაიონული კომიტეტის შენობაში გაგრძელდება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის რაიონული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

სავალდებულოა რაიონული კომიტეტისა და უჯრედების ბიუროების ყველა წევრისა და კანდიდატის, პროპაგანდისტებისა და სკოლების ხელმძღვანელების დასწრება.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება

დამსახურებული პროფესორის

ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, სრულ 3 საათზე რესპუბლიკის მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოს პროზექტურიდან მთაწმინდის სასაფლაოზე.

მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიურო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებული პროფესორის ისტორიკოს

ალექსანდრე ანტონის ძე

ცაგარელის

გარდაცვალებას. (ნ)

საქ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭო და დეკანატი ღრმა მწუხარებით იუწყება

დამსახურებული პროფესორის

ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს სრულ 3 საათზე რესპუბლიკის მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოს პროზექტურიდან მთაწმინდის სასაფლაოზე. 4226

თბ. სახ. უნივერსიტეტის საენათმეცნიერო, სალიტერატურო და საისტორიო წრეები მწუხარებით იუწყებიან—ენათმეცნიერის, სიტყვიერების ისტორიკოსის და ისტორიკოსის

დამსახ. პროფ. ალ. ცაგარელის

გარდაცვალებას. 4236

საქ. გან. მუშ. პროფკავშირის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული ადგილობრივი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას უნივერსიტეტის

დამსახურებულ პროფესორი

ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. (ე)

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ 12 ნოემბერს, გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრი, დამსახურებული პროფესორი

ალექსანდრე ცაგარელი

გამოსვენება დღეს, ნაშუადღევს 3 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან. დაკრძალვა მთაწმინდაზე. 4241

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება დამსახურებული პროფესორის

ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, სრულ 3 საათზე, რესპუბლიკის მთავარი (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოდან მთაწმინდის სასაფლაოზე. 4242

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება საზოგადოების საპატიო წევრისა და დამსახურებულის პროფესორის

ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, მთაწმინდაზე. (ე)

დამწუხრებულნი ბარბალე, დარო, ანტონ და აქსენტი (ასიკო) ცაგარლები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი მამა და ბიძა დამსახურებული პროფესორი

ალექსანდრე ანტონის-ძე ცაგარელი

გამოსვენება დღეს, 3 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან. დაკრძალვა მთაწმინდაზე. ბ. 3345

თავზარდაცემულნი: მეუღლე ქრისტინე, შვილები: ვლადიმერ, გოგი, მიტროფანე, კარმენ, თომა, აგრაფინა და ანეტა, რძლები: ლეონინა, ფაცია და შვილიშვილები; და ირინე და სიძეები: ამბერკი სანიკიძე, დათიკო შენგელია და ქრისტეფორე ვაშაკიძე აუწყებენ საზოგადოებას მათი დაუვიწყარი და უსაყვარლესი

სტეფანე სულაბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ტობანიერში (ქუთ. ოლქი). 4229

საჩხერის მ/კოოპერატივის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 11 ნოემბერს, ღამის 9 საათზე, ჰალის განყოფილების დაწვის დროს ტრაგიკულად დაიღუპა კოოპერაციის ერთგული და დაუღალავი მუშაკი ამხ.

საშა (ალექსანდრე) კონსტანტინეს-ძე აბაშიძე

4235

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სალომე, შვილები—ეფიფანე, ვალერიანი, გიორგი და თამარი, რძალი ვარვარა, შვილიშვილები ვახტანგი და ვენერა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 14 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე ფუალოგის-ძე არჩვაძე

გამოსვენება მოხდება 16 ნოემბერს 4 საათზე არაგვისპირელის (ყოფ. თამარის) ქ. № 3, კუკიის სასაფლაოზე. (ე)

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წლის სეზონი

პარასკევი, 15 ნოემბერი მე-10 აბონ. 1-ლი წარმოდგ. ახალი დადგმა **გედების ტბა**
12 ნოემბრისათვის აღებული ბილეთები ძალაშია 15 ნოემბერს
შაბათი, 16 ნოემბერი მე-6 აბონემენტის მე-2 წარმ. ნ. გ. პეჩკოვსკის მონაწილეობით **ევგენი ონეგინი**
კვირა, 17 ნოემბერი აბონემენტის გარეშე აბონემენტის ციკლში არ შედის მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით **სამსონი და დალილა**

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930
ნ. 3342 2—1

შაბათს, 16 ნოემბერს,
სერია ა მე-2 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა
ვ. იალცევი **ღვარძლი**
დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.
დადგმა—ალ. ახმეტელის და ქ. პატარიძის
მხატვარი—ნ. პელიონკინი
მუს. ნაწ. გამგე—გრ. კილაძე დასაწყისი სრულ 8 საათზე
თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.
დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც. დაკლებით, სტუდენტებისათვის 50 კაპ.

აპოლო პრემიერა
ცოცხალი ლეში
სოლეი ლ. ტოლსტოის დრამის მიხედვით
რეჟისორი ოცეპი
მთ. როლებში: პუდოვკინი, მარია იაკობინი, ნატა ვაჩნაძე.
მინიონი სეანსების დასაწყ. I—5 ს. 50 წ., II—7 ს. 20 წ., III -9 ს., IV-10 ს. 40 წ.
მალე—მჭედარი მარუში 0—7

პალასი ოსი ოსვალდი კომედიაში **ეს ჩემი საქმროა**
არფასტო საზღ.-გარეთ. ნაწარმ. **შავი ციკლონი**
დარბაზი **ზეროს ვაჟი** ვილიამსის გასტროლები

მალე
კინო-სოლეიში: ნიკოლოზ კოლინი სურათში **პოეტი**
კინო-მინიონში: საუკეთესო ამერიკული ფილმი **სიცოცხლის ფასად** (ინჟენერ სტრონგის პროექტი)

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ.
ტელეფონი 8—64.
პარასკევს, 15 ნოემბერს
საგასტროლო წარმოდგენა
სამ დიდ განყოფილებად
საბჭოთა კავშირში და უცხოეთში სახელგანთქმულ მოანგარიშეს ა. ხეიფეცის გასტროლები. ფენომენალური მეხსიერება. ცოცხალი საანგარიშო მანქანა. მისი ექსპერიმენტები ობივატელთა თვალში სასწაულს უდრის. აგრეთვე მონაწილეობს 4 დეიმონტი და გარდა ამისა 12 რჩეული საცირკო ნომერი
კვირას, 17 ნოემბერს, დიდი წარმოდგენა დღისით.
წარმოდგენის დასაწყისი დღის სრულ 2 საათზე. საღამოს წარმოდგენის სალ. 9 საათზე.
ნ. 3344 3—1 წაიკითხეთ აფიშები. დირექცია.

გინახავთ **ჩანგ?**
ნახეთ **ნანუკ**
ჩანგ—ტროპიკები (სამხრეთი)
ნანუკ—ჩრდილოეთი
მალე
კინო-აპოლოში

ა. წ. 17 ნოემბერს, დღის 11 საათზე „მწყემსი"-ს საქონლის ბინაზე (ელიზბარის ტბა), დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სხვადასხვა ფიცრების და ნახმარ ვედროების გასასყიდათ. ცნობები— ყოველდღე „მწყემსში", კალინინის ქ. № 54 დილის 9 საათიდან 11 საათამდე.
2—1 4233 „მწყემსი".

მათემატიკის მასწავლებელი ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში (არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.
8—1 4213

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 - სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—13

ზესტაფონი პ. ს. ანანოვი სიფილისი (შეშხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებ. მიღება: 1—2 დღით, საღამოს 6—8 ს., 25 თებერვლის ქ. 130. 25 12

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—4

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 25—14

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიხის ქ. № 1. ალმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—12

ა. გ. სოლოღაშვილი კბილების მკურნალობა—რუსთაველის პრ. № 12. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

გ. ო. ზანდუკელი შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტრონით. სამკურნალო კაბინეტი. იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82. 25—15

დ. ე. პაპიტაშვილი შინაგანი სნეულებანი, სპეც. კუჭ-ნაწლავების და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დაავადებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე 5—7 საათამდე, კრილოვის ქ. № 8. 25—5

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 13—8

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 6—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—8

პ. ტყეშელაშვილი სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი. ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით 8—9, საღამოთი 6—8. 25—7

ი. გ. ხარებავა-ბაქრაძე კბილის ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25—7

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევს 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასოგოროვის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ლოგოპედი ა. ა. პაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—12

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამი ნოვის) № 22. 25—2

ს. ანდრეევა შინაგან ავადმყ. სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულიოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქიძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

მ. ორლოვსკაია თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა. ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე ამის (ყოფ ქსენიას) ქუჩა, № 9. 25—5

ი. გაგიჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი. ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—4

ი. ი. ჭეიშვილი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი იღებს: დილ. 8—9 საათ., საღ. 6—8 საათ., ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის) ქუჩა. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25—4

გ. ე. ფხალაძე სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება დილით: 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალების. მაოტის ქ. № 6 (ყ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან. 25—4

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—3

ქუთაისი თ. ვ. აპოფაშვილი შინაგანი სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა ბროსეს ქ., № 7 (მე-3 საბჭოთა აფთიაქის გვერდზე).

ალ. მაღალაშვილი საღამოს 5—7 საათამდის, ყორღანოვის ქუჩა № 12. 25—1

ა. დ. კეკელია სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ოდე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67.

ა. ვადაჭკორია ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

მალაევი თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

ი. ვ. ხანდამოვი სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დღის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ი. დ. თოფურიძე იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნატით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

ნ. გ. გეგეჭკორი შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6—7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

თოდაძე სპეციალ. ქირურგია და უროლოგია თირკმელების, ბუშტის და სასქესო ორგანოების დაავადებანი. ბელგიის ქ. № 1. 4—5 საათამდე. 25—20

მიხა ცხაკაიას სახელობის
ფიზიატრიისა და კუროლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი
(ლენინის ქ. № 49)
მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინჰალაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონარული.
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან 1 საათამდე.
შინაგანი (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობანი, რევმატიული დაავადებანი და სხვ.), ნერვიული და ქალთა ავადმყოფობანი.
ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.
ფასიან ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87. ნ. 3303.

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

აცხადებს, რომ ის 19 ნოემბერს 1929 წ. დღის 1 საათზე სახლში № 15 ავჭალის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გაბრიელ ოძელაშვილის უძრავ ქონებას: ერთ სახლს ერთ სართულიანს 6 ოთახით და ეზოთი, შეფასებულს 750 მანეთად მოქ. ნინო ბაბუნიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორისაგან 1929 წ. 14 ოქტომბრის თარიღით გაცემულ აღსრულებითი წარწერისა № 894.

საჯარო ვაჭრობა იწარმოებს თანახმად ს.ს.ს.კ. 301, 310, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებისა. 4231

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად.

- კავშირის წიგნაკი № 14874, გაცემული ქუთაისის სამაზრო განათლების მუშაკთა კავშირის მიერ, ბენია კვირიკაძის სახელზე. 4218
- მუშკოოპის წიგნაკი № 9730 ნესტორ ალექსანდრეს-ძე კორძაიას სახელზე. 4225
- მუშკოოპის წიგნაკი № 65410 კალისტრა გიორგის ასული დედაბრიშვილი-კოდუას სახელზე. 4230
- პურის წიგნაკი № 6844 ბ. მიხეილ დათიაშვილის სახელზე. 4230
- „ზაკტპოს" წიგნაკი № 3662 და ორდერი მანუფაქ. გამოს. თედორე ლომთათიძის სახელზე. 4233
- საბინაო წიგნაკი სახლის მდებარე იუველირის შეს. № 10 გოზალიშვილის სახელზე. 4234
- კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 4913/7800 მარიამ მიხეილის ასული ჭუბაბრიას სახელზე. ბ. 3343
- პირადობის მოწმობა, გაცემული ასტრახანის ქალაქის მილიციის სამართველოს მიერ, იუსტინე დიმიტრის-ძე უგულავას სახელზე. ბ. 3343
- კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 6680, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ, სტეფანე კაცარენკოს სახელზე. ბ. 3343
- პროფკავშირის წიგნაკი და საანგარიშო წიგნაკი თამარ სიმონის ასული კლდიაშვილის სახელზე. ბ. 3343
- მატრიკული, გაცემული ქუთაისის მედტექნიკუმის მიერ, ვერა პავლეს ასული უგრეხელიძის სახელზე. ბ. 3343
- კოოპერატივის წიგნაკი № 7910 სონა ბენიაიუსის ასული ელიაშვილის სახელზე. ბ. 3343
- კოოპერატ.-ვის წიგნაკი № 7683 დავით ჩიკვაშვილის სახელზე. 4237
- „ზაკტპოს" წიგნაკი № 42343 დიმიტრი ჯავაიევის სახელზე.
- მუშკოოპის წიგ. ალექსანდრა ფარნაოზის ასული თოფურიძის სახ. 4239

ტირაჟი—43.158

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68

მთავლიტი № 904